



# საბჭოეთის საბჭოთაული

ს.ს.ს.წ.  
იუსტისაზარტის  
თრავიწუული  
თრბანო

## → შინაუწესი ←

- კ. მიქელაძე.—მეზობლური ურთიერთობის მოწესრიგების საფუძვლები საბჭოთა სამართლით.
- ე. მირიანაშვილი.—ქორწინების შეკერის წესები.
- ლ. შურღაია.—პირველი საკავშირო საპენიტენციარო ყრილობა.
- ა. ჭიჭინაძე.—დაკითხვის ტექნიკა, მისი მნიშვნელობა და შედეგი.
- მ. ნახიძე.—მიწის ყიდვა-გაყიდვის შესახებ.

გამოკვლევის შედეგები  
 დამცველთა კოლეგიაში  
 იურიდიული დახმარება  
 კანონმდებლობის მიმოხილვა  
 ოფიციალური ნაწილი

### № 17

სექტემბერი  
1928

# სახალხო სასამართლოების და სახალხო გამოძიებლების საშუალებად

„საბჭოთა სამართლის“ რედაქცია სთხოვს სახალხო სასამართლოებს და სახ. გამოძიებლებს, რომლებმაც მიიღეს ხუენი-ქუჩნალის კომპლექტები ფასდადებით და გამოიყიდეს—ამის შესახებ სასწრაფოდ გვაცნობონ, რათა საშუალება მოგვეცეს თავის დროზე ქუჩნალების გადაგზავნისა.

მიიღება ხელისმომწერა მითრე ნახევარიფლისათვის

ქუჩნალ „საბჭოთა სამართალ“-ზე

1928 წ. 1 ივლისიდან 1929 წ. 1 იანვრამდე


ხელისმომწერის ფასი: 6 თვით—5 მან. 50 კ. 3 თვით—3 მან.

სამ თვეზე ნაკლები ხელისმომწერა არ მიიღება.

რადიკალური შიიკლება აბრათვა შიიკანა ა. წ. 1 იანვრიდან შიიკალა  
გამოსული ნომრებისა.

რედაქცია დაბეჯითებით სთხოვს იმ სახალხო სასამართლოებს, რომელთაც მოე-  
წოდებათ **პირვალე ნომერი** გაუვიდველი სასწრაფოდ  
გადმოგზავნონ უკან.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, ტრიბუნალის ქ., № 32 „საბჭოთა სამართ-  
ლის“ რედაქციას. ტელეფონი № 10-51.



# საპატია საპატული

ს. 13. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

რედაქციის და კანტორის  
მისამართი:

თბილისი, ტრიბუნალის  
ძ. № 32

ტელ. № 10-51

საღიგებულების ფასი:


წლიურად — 10 მან.  
6 თვით — 5 მ. 50 კ.  
3 თვით — 3 მ.  
1 ნომერი 50 კ.

№ 17

საქართველო 1928 წ.

№ 17

## გეოგრაფიული ურთიერთობის მოწესრიგების საფუძვლადი საპატოს



მამულთა შორის ისეთი სამსახურებრივი დამოკიდებულების დამყარება, რაც თავისი შინაარსით არ განსხვავდება საადგილმამულო სერვიტუტისაგან, შესაძლებელია საპატოს სოციალ-ეკონომიურ და სამართლებრივ სისტემის თვალსაზრისით. ასეთი დამოკიდებულებას დამყარების შესაძლებლობაზე მიუთითებს მიწის კოდექსის ის მუხლი, სადაც დადგენილია, რომ სისწორით შესრულებულ პროექტში უნდა იქნეს აღნიშნული, რა განსაკუთრებული პირობები, ბეგარა და რწმუნებამოსილობა მყარდება მოსარგებლეთათვის მიწების გადაცემასთან დაკავშირებით (მიწ. კოდ. 135 მუხ.). თუ მივიღებთ მხედველობაში ამ გარემოებას, რომ კანონმდებელი მიწათმოქმედების საქმეში უმთავრეს ადგილს უთმობს მეურნეობის ინტერესს, პირს და ოჯახს კი იმდენად უწევს ანგარიშს, რამდენად საქმე ეხება მიწის ნორმის განსაზღვრას და ოჯახის წევრთა შემადგენლობის მიხედვით სარგებლობაში გადასაცემ მიწის ნაკვეთზე სასოფლო მეურნეობის წარმოების შესაძლებლობას, უნდა მივიღოთ იმ დასკვნამდე, რომ მიწათმოქმედების მეშვეობით მიწის მოსარგებლესათვის განსაკუთრებულ პირობების და რწმუნებამოსილობის დამყარება ნათლად გამოსახავს ერთი მამულის სამსახურის დაწესებას მეორე მამულის სასარგებლოდ და სახეიროდ.

მამულის დატვირთვა სამსახურით სხვის მეურნეობის სასარგებლოდ და სახეიროდ შეიძლება არა მარტო მიწათმოქმედების წესით, არამედ მის გარეშეც. ასეთ შესაძლებლობაზე მიუთითებს კანონის ის დადგენილება, რომელშიც გათვალისწინებულია მიწის გაცვლა-გამოცვლის შემთხვევები. აქ სხვა შემთხვევათა შორის აღნიშნულია კომლის გაყარაც. მართლაც, კომლის გაყრა, რომელიც მდგომარეობს ერთი მეურნეობის ნაცვლად ორი ან მეტი მეურნეობის დაარსებაში, კომლის მიწისა და საერთო ქონების განაწილებასთან დაკავშირებით, გამოხატავს ისედაც მცირე ნაკვეთის დანაწილებას, დაქუცმაცებას, რასაც შეიძლება თან მოჰყვეს ის, რომ ცალკე ნაკვეთებს არ ექნებათ მეურნეობისათვის საჭირო ბუნებრივი ძალები, რაც მათ ჰქონდათ, სანამ ერთი მეურნეობის ფარგლებში

იყო მიქცეული. თუ კომლის გაყრის დროს მიწის ნაკვეთების გაცვლა გამოცვლით შეუძლებელი გახდება მეურნეობის წარმოებისათვის იმ დაბრკოლების თავიდან აცილება, რასაც თან უნდა მიჰყვეს მეორე მამულის დახმარება დარჩენილი ნაკლის შესავსებათ ან გამოსასწორებლად, ამ შემთხვევაში იბადება საჭიროება დაწესებულ იქნეს ერთი განაყოფისთვის უფლებამოსილობა მეორე განაყოფის მიმართ, რომლის მიწის ნაკვეთს შეუძლია ისეთი სამსახური გაუწიოს და მით გამოსასწოროს პირველი განაყოფის მიწის ნაკვეთის ნაკლი. კომლის გაყრის დროს თვითვე განაყოფს საკუთარი მეურნეობის ინტერესი უკარნახებს მიწის განაწილება ისე გაატაროს, რომ მასთან დაკავშირებით განიმტკიცოს უფლებამოსილობა, რომლის ძალითაც შესაძლებელი იქნება მეორე განაყოფის ადგილმამულის გამოყენება.

შესაძლებელია, რომ განაყოფთა შორის მიწა ისე გაიყოს, რომ რომელიმე განაყოფს არ დარჩეს გასავალი გზა ან დარჩეს წყალი ერთსა ან რამდენიმე ნაკვეთში, დანარჩენი მეურნეობანი კი ამას იქნენ მოკლებულნი. ასეთი შესაძლებლობა იმის საფუძველია, რომ შეთანხმებით დაწესდეს განაყოფთა შორის ერთის მამულის სამსახური სხვის მამულის სასარგებლოდ, რომელიც მოკლებულია ზოგიერთს, მეურნეობისათვის აუცილებელ ბუნებრივ ძალებს ან თვისებებს. განაყოფთა შეთანხმებით ერთ მამულზე საადგილმამულო სამსახურის დაწესება მეორე მამულის სასარგებლოდ და სახეიროდ კანონს არ ეწინააღმდეგება, რამდენად ასეთი სამსახურის დამყარება გამოწვეულია სამეურნეო ინტერესით და ამიტომ ის თანახმად მიწის კოდექსის 52 მუხლის „ე“ პუნქტისა შეიძლება აღნიშნულ იქნეს გაყრის ქალაქში.

როგორც იმ შემთხვევაში, როცა სწარმოებს მიწათმოქმედება, ისე მაშინ, როცა კომლის წევრები მის კომლის გაყრის გამო აწყობენ დამოუკიდებელ მეურნეობას, ამა თუ იმ რწმუნებამოსილობის დასამყარებლად საჭიროა არა ოჯახის შემადგენლობის პირადი ინტერესები, არამედ მეურნეობის ინტერესები. კანონით დაშვებულია კომლის გაყრა მის წევრთა შეთანხმებით, მაგრამ იმისათვის, რომ ეს შეთანხმება იყოს კანონიერი, უნდა იქნეს დაცული

1) იხ. „საპატოს სამართლის“ № 16.

გარდა იმ ძირითადი პირობისა, რომ თვითეულ განაყოფს უნდა შეხედეს არა ნაკლები მიწის ნახევარი ნორმისა (48 მუხ.), სხვა პირობებიც, რომლებიც ემსახურებიან მეურნეობის ინტერესს. ამ მიზნით დაწესებულია სახელმწიფოს ადგილობრივი ორგანოს კონტროლი, რომელიც სინჯავს კომლის ასეთი მოქმედების კანონიერებას გაყრის ქალაქი უნდა წარედგინოს თემის აღმასრულებელ კომიტეტს გასასინჯავად იმ მხრივ, თუ რამდენად მისი პირობები არიან შეფარდებული კანონს (52 მუხ.). თემის აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლია უარი სთქვას გაყრის ქალაქის რეგისტრაციაზე, თუ გაყრის პირობები კანონს ეწინააღმდეგებიან (54 მუხ.).

შესაძლებელია აგრეთვე, რომ გარეშე კომლის გაყრისა და მიწათმოწყობის პროცესის მეურნეობის სასარგებლოდ და სახეიროდ დაწესდეს სხვისი მამულის სამსახური მიწის მოსარგებლეთა შეთანხმებით. ასეთი შეთანხმება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მიწის სარგებლობის პრინციპის საწინააღმდეგო მოქმედებათ, თუ სხვისი ნაკვეთის გამოყენება ემსახურება მეურნეობის ინტერესებს. კომლი შეიძლება იყოს ისე მოწყობილი, რომ მას არ სჭირდებოდეს მეორე კომლის მიწის ნაკვეთის გამოყენება, მაგრამ მისი მდგომარეობა ობიექტიურ პირობათა ზეგავლენით შეიძლება ისე შეიცვალოს, რომ ასეთი გამოყენება აუცილებელი გახდეს. ამ დებულების ნათელსაყოფად მოვიყვანთ ისეთ შემთხვევას, რომელიც გამოხატავს მეურნეობის მდგომარეობის შეცვლას ბუნებრივ პირობების შეცვლის ზეგავლენის გამო. ჩვენ ვიცით, რომ ზოგი მდინარე იცვლის მიმართულებას. თუ მდინარის მიმართულების კალაპოტის შეცვლამ ერთი მეურნეობა ისეთ მდგომარეობაში ჩააყენა, რომ მისთვის გაძნელებულია ამ მდინარით სარგებლობა და ზოგჯერ კი შეუძლებელიცაა, უკეთეს ამას არ ამსახურა მეზობლის მიწის ნაკვეთი, მისთვის იბადება ბუნებრივად მოთხოვნილება მეზობლის მამულის გამოყენებისა. ამ ნიადაგზე მეზობელთა შორის შეიძლება მოხდეს შეთანხმება.

ერთი მამულის მეორე მამულის სასარგებლოდ სამსახურის დაწესების საბაზათ შეიძლება გახდნენ სხვა შემთხვევებიც. ამ შეთანხმების სავალდებულო ძალა მხარეთათვის უნდა იზომებოდეს სამეურნეო თვალსაზრისით და არა იმ მხრივ, არის თუ არა ამაზე სახელმწიფოს საადგილ მამულო ორგანოების სანქცია. მაგრამ აქედან იმ დასკვნის გაკეთება არ შეიძლება, რომ ამ წესით სამსახურის დაწესება არ შეიძლებოდეს გასინჯულ იქნეს იმ მხრივ, რამდენად ის კანონიერია. ასეთ გასინჯვას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მიწათმოწყობის დროს აგრეთვე სასამართლოს წესით, უკანასკნელ შემთხვევაში; როცა საქმე დავის გამო წარედგინება სასამართლოს განსახილველად. საადგილმამულო სამსახურის დამყარების დაკანონება შეიძლება როგორც სასამართლოს, ისე სამიწათმოწყობო წესით და რეგისტრაციის საშუალებითაც. ასე რომ თუ ერთის მამულის სამსახური მეორე მეურნეობაზე განპოტკივებული სთანადო წესით, ის უნდა დარჩეს ძალაში, სანამ ასეთის საჭიროება არსებობს. ისე, როგორც საადგილმამულო სერვიტუტების მიმართ, ერთის მამულის მეორის მამულისადმი სამსახურის არსებობისათვის იმას აქვს მნიშვნელობა, აქვს

თუ არა მამულს ასეთი სამსახურის საჭიროება, და არა იმას, ვის ხელშია მეურნეობა.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ სამსახურებრივი დამოკიდებულება შეიძლება დამყარდეს არა მარტო კომლობრივ მეურნეობათა შორის, არამედ სხვა მეურნეობათა და მამულთა შორის. ამ უკანასკნელთა მიმართ, როგორც კომლობრივ მეურნეობათა მიმართაც საადგილმამულო სამსახურის დაწესება განიხილება სასოფლო მეურნეობის წარმოების გაადვილების თვალსაზრისით, ე. ი. იმ თვალსაზრისით, შეეფერება თუ არა იგი იმ მეურნეობის ინტერესს, რომელიც სამსახურს უწევს საწარმოო ძალთა განვითარებას. ამრიგად თუ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში ვისმეს მამულის სასარგებლოდ და სახეიროდ დაწესება სხვის მამულის სამსახურისა ისახლვრება მემამულის კერძო ინტერესით, საბჭოთა სახელმწიფოში ასეთი სამსახურის დაწესება დაპირობებულია იმ ინტერესით, რომ გაადვილდეს სასოფლო მეურნეობათა წარმოება, რომლებსათვის სათანადო პირობების შექმნა ემსახურება ქვეყნის საწარმო ძალთა განვითარებას სასოფლო მეურნეობის დარგში და ამასთან დაკავშირებით მრეწველობაშიც.

ამ რიგად მიწის კოდექსის მოყვანილი დადგენილებანი ააშკარავებენ, რომ იმ მიწაზე, რომელსაც კანონიერ საფუძველზე იყენებს მისი მოსარგებლე სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ დანიშნულების თანახმად, შეიძლება დამყარდეს იმ შინაარსის სამსახურებრივი დამოკიდებულება, რასაც სერვიტუტი გამოხატავს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ერთი მამულის მეორე მამულთან სამსახურებრივი დამოკიდებულება საბჭოთა სინამდვილეში იყოს სერვიტუტი. ეს ადვილი გასაგებია უნდა იყოს, რადგან სერვიტუტი არის კერძო სანივთო უფლება და ას, როგორც ასეთი. ტვირთად აწევს მოსამსახურე მამულს და მაშასადამე ის არის მამულის პატრონის უფლების შემზღუდავი ინსტიტუტი<sup>1)</sup>.

საბჭოთა სახელმწიფოში ასეთი სამსახურებრივი დამოკიდებულება არ არის დაკავშირებული მოსამსახურე მამულთან, როგორც კერძო საკუთრებასთან. აქ მამული, ვის ხელშიც უნდა იყოს იგი, მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს საკუთრებაა. ასეთი საკუთრების იურიდიული ცნება ვერ შეივსება ცივილისტური საკუთრების ცნების შინაარსით. სახელმწიფოს საკუთრებას ცივილისტურ საკუთრებასთან საერთო აქვს მხოლოდ სახელწოდება. მიწას, როგორც მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს საკუთრებას, არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს ცივილისტური შინაარსი ერთი იმიტომ, რომ ის (რუნდიდან, კერძო საკუთრებიდან არის გამორიცხული და მერე იმიტომ, რომ ისაა კერძო საკუთრება სამუდამოდ არის გაუქმებული. ასეთ ქონებაზე, ექვს გარეშე, არ შეიძლება დაწესდეს კერძო სამართლებრივი ინსტიტუტი, როგორც არის, მაგ., სერვიტუტი. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მიუ-

1) აღსანიშნავია ის, რომ სერვიტუტი, როგორც უფლება მეზობლის მამულის გამოყენებისა საკუთარი მამულის, ზღუდავს მოსამსახურე მამულის გამოყენების უფლებას. ამის მიხედვით უნდა ითქვას, რომ სერვიტუტით შეიზღუდება მოსამსახურე მამულის არა მარტო მის მებატრონის მხრივ გამოყენება, არამედ იმათ მხრითაც, ვისაც ამ მამულს მისი მებატრონე გადასცემს სარგებლობისათვის.



ხედავად იმისა, რომ სერვიტუტი და ის სამსახურებრივი დამოკიდებულება, რაც შეიძლება განმტკიცებულ იქნეს საბჭოთა სინამდვილეში მამულთა შორის, ერთიერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან შინაარსის მხრივ მაინც არ შეიძლება იმის ცნობა, რომ ამ დამოკიდებულებას ჰქონდეს სასერვიტუტო დამოკიდებულების ბუნება. წინააღმდეგის დაშვება იმ დასკვნამდე მოგვიყვანს, რომ თითქოს საბჭოთა სახელმწიფოში შეიძლება აღდგეს მიწისადმი ცივილისტური მიმართების დამყარება.

საბჭოთა სახელმწიფოში მიწა, ვის სარგებლობაში უნდა იყოს იგი და ეს სარგებლობა რა საფუძველზე უნდა იყოს აგებული, არ შეიძლება გახდეს კერძო სანიეტო უფლების მოქმედების საგანი. ყველა ის უფლება, რაც მიწაზე დაწესდება, ბუნებრივ კავშირში უნდა იყოს იმ უფლებასთან, რომელიც აქვს მიწაზე, მის მოსარგებლეს. ეს უფლება მიწის მოსარგებლისა კი არის საჯარო უფლება. აქედან ცხადია შემდეგი: თუ მიწისადმი მისი მოსარგებლის მიმართება არ არის კერძო უფლებრივი, არ შეიძლება, რომ ამ უფლების შემზღუდავი უფლება იყოს ცივილისტური. მეორე მხრით, თუ მიწის მოსარგებლის უფლება მიწაზე არის უფლება მიწის გამოყენებისა თანახმად იმ დანიშნულებისა, რომლისთვისაც ის მას გადაეცემა სარგებლობაში, და ამ გამოყენების შესაძლებლობას საფუძვლად აქვს საქვეყნო აქტით გადაცემა მიწისა, მეზობელ მიწის მოსარგებლეს არ უძირდება ჰქონდეს ცივილისტური უფლება მიწის ამ სახით გამოყენებისა, რასაც ორ მამულის შორის სამსახურებრივი დამოკიდებულება გამოხატავს. საწინააღმდეგო დებულება რომ დაუშვათ, გამოვა, რომ მიწის მოსარგებლეს აქვს მიწის გამოყენების ისეთი უფლება, რომელიც მიუთითებს ცივილისტურ განარგულებაზე, და რომ სამსახურებრივი დამოკიდებულებაკორ მამულის შორის განისაზღვრება არა საქვეყნო ინტერესით, არამედ მხოლოდ მიწის მოსარგებლის კერძო ინტერესით. ამის დაშვება იქნება იმ პრინციპიალური დებულებისათვის გვერდის ახვევა, რომ მოქალაქეზე განმტკიცება უფლება მიწაზე იმ მიზნით, რომ ის, უფლება იქნეს გამოყენებული საქვეყნო ინტერესისათვის, ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებისათვის. ასე რომ თუმცა მიწის მოსარგებლე მიწაზე უფლებას იყენებს საკუთარი ინტერესისათვის, მაგრამ იმისათვის, რომ უფლების ასეთი გამოყენება იყოს კანონზომიერი, ის უნდა შეეფერებოდეს და უნდა იქნეს შეფარდებული საქვეყნო ინტერესთან.

საბჭოთა სინამდვილეში მამულთა შორის სამსახურებრივი დამოკიდებულება ზღუდავს მიწის მოსარგებლის უფლებას მიწაზე, რომელიც არის მისთვის გადაცემული ზემოდ აღნიშნული მიზნით. ასე რომ ეს დამოკიდებულება მიწის გამოყენების უფლების შეზღუდვას გამოხატავს, მაგრამ ის არ განამტკიცებს განკარგულების უფლებას არც ცივილისტური შინაარსით და არც იმ შინაარსით, რითაც ივსება ცნება „მიწის განკარგულება“ სახელმწიფოს მიერ.

მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს აქვს მიწის განკარგულების უზენაესი უფლება და ეს უკანასკნელი არის

მხოლოდ ე. ი. უფლება მიწის ისე გამოყენებისა, როგორც ამას მოითხოვს საქვეყნო ინტერესი, ე. ი. იმ დანიშნულებისათვის, რაც შეეფერება ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებას. მიწას საბჭოთა სახელმწიფოში აქვს კანონით განსაზღვრული დანიშნულება, ის დანიშნულება, რომელიც უფრო აკმაყოფილებს საწარმოო ძალთა განვითარების მოთხოვნებს, მოთხოვნილებებს. მაგრამ მიწის საერთო დანიშნულება არ უარყოფს იმის შესაძლებლობას, რომ მიწის ესა თუ ის ნაკვეთი იქნეს გამოყენებული არა იმ დანიშნულებისათვის, რაც მას საზოგადოდ აქვს მიკუთვნებული, არამედ სხვა მიმართულებით, რასაც განსაზღვრავს საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნილებანი. თუ მიწის ესა თუ ის ნაკვეთი გამოსადეგია სოფლის მეურნეობისათვის, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ის უსათუოდ გამოყენებულ უნდა იქნეს სასოფლო მეურნეობისათვის. სახელმწიფოს დღევანდელმა ინტერესმა შეიძლება მოითხოვოს, რომ სასოფლო მეურნეობისათვის გამოსადეგი მიწის ნაკვეთი ემსახუროს, მაგ., სახელმწიფოს მიზნის შესაფერ სპეციალურ დანიშნულებას. მიწის ნაკვეთების დანიშნულებას ასეთი შეცვლა უნდა ემსახურებოდეს საწარმოო ძალთა განვითარებას, მაგრამ არა მხოლოდ უშუალოდ. მიწის ისეთი გამოყენება, რომელიც სცილდება მის ჰირდაპირ დანიშნულებას, მაგრამ უზრუნველყოფს ყველა იმ პირობას, რაც ემსახურება საქვეყნო ინტერესს, არის რა თქმა უნდა, გამოყენება საერთო მიზნის მისაღწევად. მიწის გამოყენების სფეროში სახელმწიფო ხსენებული ხაზით არის შეზღუდული; მიწის მოსარგებლე კი, რა საფუძველზედაც უნდა იყოს მისი სარგებლობა, შეზღუდულია იმ დანიშნულებით, რომელსაც განსაზღვრავს მიწის გადაცემა სახელმწიფოს მიერ. აქედან ცხადია, რომ მიწის მოსარგებლის უფლება მიწაზე, რომლის წარმოშობა და მოქმედება ემყარება საწარმოო ძალთა განვითარების საჭიროებას, უნდა იქნეს განხორციელებული იმ სახით და იმ მიმართულებით, რაც მისთვის მიწის გადაცემით იქნება განსაზღვრული. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ასეთი უფლება მიწაზე არ შეიძლება იყოს ცივილისტური. მაგრამ ასეთ საფუძველზე მიწის სარგებლობა აძლევს მის სუბიექტს შესაძლებლობას გამოიყენოს იგი კერძო ინტერესის მისაღწევად. კერძო ინტერესი არის მამოძრავებელი ფაქტორი მიწის მოსარგებლისათვის, რომელსაც სამეურნეო მიზნის მისაღწევად სჭირდება მეზობლის მიწის ნაკვეთის გამოყენება თავისი მეურნეობის სახიეროდ. მაგრამ ამ შემთხვევაშიც სხვისი მიწის გამოყენება სამსახურს უნდა უწყევდეს მეურნეობის ინტერესს. ასე რომ თუ მიუღიქვით მამულთა შორის სამსახურებრივ დამოკიდებულებას იმ უფლების შეზღუდვის მხრივ, რომელიც მიეცემა მის მოსარგებლეს საჯარო წესით და რომელიც მამასადამე არის საჯარო ხასიათისა და ბუნების, უნდა ვაღიაროთ, რომ ხსენებულ დამოკიდებულებას არ შეიძლება ჰქონდეს სერვიტუტის ბუნება.

კ. მიქელაძე.

### ქორწინების უპიკრის წესები\*).

ახლანდელი ქართული ზნეჩვეულებით საქმრო ვაჟს ღ მის მშობლებს ევალებათ საცოლოსათვის საჩუქრის მიტანა (ეგრედ წოდებული „ნიშანი“, „პირისანახავი“, „ხელის-დასადები“), ხოლო საცოლოს მშობლებს ევალებათ, რომ თავიანთ ქალს მისცენ მზითვენი. დაახლოებით ამ 30 წლის წინად ეს ჩვეულება „ნიშანი“ ისე იყო გავრცელებული ახალციხე-ახალქალაქის მხარეში (ძველი სამცხე-საათაბეგოში) და იმოდენად იყო სავალდებულო, რომ ზოგნი ქალს იტაცებდნენ, ვინაიდან შეძლება არ ჰქონდათ, რომ საჩუქარი („ნიშანი“) მიეტანათ საცოლესათვის ამავე ჩვეულებაზე მიგვითითებს კანონმდებელი ვახტანგი VI თავის დებულებაში, როდესაც ამბობს: „სასიძოს ან საპატარძლოს სიკვდილის შემდეგ ნიშანი მთლად უბრუნდება სასიძოს სახლს<sup>1)</sup>. ძველად მზითვის მიცემა იყო გავრცელებული საქართველოში. მემამულენი მზითვის წიგნებს აძლევდნენ თავიანთ გაახოვილ ქალიშვილებს ნამზითვი ქონების აღნუსხვ თ. მაგ. 1712 წ. ანუკა ბატონიშვილისათვის, რომელიც ვახუშტი აბაშიძეს მისთხოვდა, მშობლებს მიუციათ მზითვის წიგნი, რომელშიც ჩამოთვლილია გასაოცარი რაოდენობის სიმდიდრე: დიდ ძალი ოქრო, ვერცხლი, განძეულობა, ძვირფასი ქვები, ოჯახის მოწყობილობა, გლეხები და სხ.<sup>2)</sup>.

აქედან სჩანს, რომ ეხლანდელი ნიშანი ანუ ვაჟის მიერ საცოლოსათვის საჩუქრის მიტანა ძველი ქართული ზნეჩვეულებაა და ნაშთია იმ ძველის-ძველი ხანისა, როდესაც ქალის ცოლად შერთვა სყიდვით შეიძლებოდა. ამასვე ამოწმებს საცოლოს მიერ ქონების მიტანა ანუ მზითვენი, რომელიც საქართველოში უკვე 8-9 საუკუნეებში არსებობდა და შემდეგ ჩვეულებრივ მოვლენად იქცა<sup>3)</sup>. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ დროთა მსვლელობაში, როდესაც საცოლოს სყიდვის ადრთი ისპობოდა ცხოვრებაში, სასყიდელი, რომელიც საქმროს უნდა მიეტანა საცოლოსთვის, გადაიქცა მზითვად.

კერძოდ რომაელების შესახებ უნდა ითქვას შემდეგი: რომაელების სამართალი იცოდა სამგვარი წესი ქორწინების შეკვრისა: „confarratio“, „coemptio“ ღ „usus“, პირველი წესით ქორწინდებოდნენ მხოლოდ პატრიციები და მას ჰქონდა სარწმუნოებრივი ხასიათი (ამაზე ქვემოთ) მეორე წესით პლებეებსაც შეეძლოთ დაქორწინება და მას ჰქონდა სყიდვის ხასიათი; იგი წააგავს საკუთრების უფლების შექმნას, საქონლის გაცვლილობას; ეს იყო სიმბოლიური სყიდვა საცოლოსი და ხდებოდა ხუთი მოწმის და მწონავის თანადასწრებით, ვინაიდან თვით აქტი ქორწინებისა მდგომარეობდა ფულის აწონაში, რომელსაც (ფულს) აძლევდა საცოლოს შემძენელი. მესამე წესიც პლებეებისთვის იყო და როგორც სჩანს, აქ საქმრო

იმენს საცოლოს ხანდაზმულობით ე. ი. მამაკაცის და დედაკაცის ერთად ცხოვრება რამდენიმე ხნის განმავლობაში ხდებოდა ქორწინებად — „matrimonium cum manu“<sup>4)</sup>. ამ ზემოაღწერილ სამ საქორწინო წესთაგან ერთი, სახელდობრ „coemptio“, ჰმოწმობს იმას, ამბობს კოვალევსკი, რომ ოდესმე რომაელების უძველეს ცხოვრებაში ადგილი ჰქონდა ქალის ცოლად შერთვას სყიდვის წესით<sup>5)</sup>. ამაზედვე უთითებს ლებოკი, როდესაც ამბობს, რომ რომაელების ქორწინების ფორმა ანუ წესი „coemptio“ უზვენებს იმას, რომ მათ ერთ დროს ჩვეულებად ჰქონდათ ცოლის შერთვა სყიდვით, როგორც ეხლა მიღებულია ბევრ ველურ ხალხში<sup>6)</sup>. ეს წესი ქორწინებისა „coemptio“ არსებობდა რომის იმპერატორების ხანაშიაც და აგრეთვე II და III საუკ. ქრ. შემდ., მხოლოდ IV და V საუკ. დასასრულს იგი უკვე გამოსულია ხმარებიდან<sup>7)</sup>.

ამრიგად, ჩვენა ვხედავთ, რომ კაცობრიობის ისტორიის ძველის-ძველ ხანებში ქალის ცოლად შერთვა ე. ი. ქორწინება ხდებოდა მოტაცება-სყიდვით და ეს ზნე-ჩვეულება გავრცელებული იყო როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ხალხთა შორის. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ამ ადრთებს იწვევდა იმ დროის საწარმოო ძალთა მდგომარეობა და მასზე დამყარებული ეკონომიური სტრუქტურა საზოგადოებისა. ადამიანები თავის არსებობის დასაწყისიდანვე უნდა შეერთებულიყვნენ იმისთვის, რომ ნაყოფიერად ეწარმოებინათ ბრძოლა ბუნებასთან თავიანთ თავის დასაცავად და არსებობის საშუალებათა მოსაპოვებლად. მათ, მაშასადამე, უნდა ეცხოვრათ ჯგუფებად. მაგრამ ეს პირვანდელი ჯგუფი არ იყო დიდი. რადგანაც თვით მეურნეობა, რომლის ფუნქციების შესრულება შეადგენდა ჯგუფის მიზანს, ტენხიკის განუვითარებლობისა გამო, იყო მარტივი, სადა და პრიმიტიული, და ამგვარ პრიმიტიულ მეურნეობის არა რთულ ფუნქციების შესასრულებლად—კი საკმარისი იყო პატარა ჯგუფიც. ამ პატარა ჯგუფებში, როგორც აღვნიშნეთ ზემოთ, სქესობრივი კავშირი სრულიად თავისუფალი იყო: ყველა მამაკაცი (განურჩევლად მახლობელ ნათესავებისა) ეკუთვნოდა ყველა დედაკაცს და ყველა დედაკაცი—ყველა მამაკაცს; აქ იყო ეგრედ წოდებული გეტერიზმი. დროთა მსვლელობაში აკრძალული იყო სქესობრივი კავშირი მახლობელი ნათესავებს შორის (აღბად მიხედნენ, რა შედეგი მოსდევდა შთამომავლობისათვის სქესობრივ კავშირს მახლობელ ნათესავებს შორის).

ამგვარ აკრძალვის შედეგი იყო ის, რომ ვინაიდან იმ დროის ჯგუფები პატარანი იყვნენ და თავიანთ ჯგუფების დედაკაცები არ ჰყოფნიდათ, საცოლოების შექმნა იწყეს სხვა ჯგუფებიდან ამკარა მოტაცების ან მოპარვის წესით<sup>8)</sup>. დროთა მსვლელობაში ტენხიკა (შრომის იარა-

\*) იხ. „საბჭოთა სამართალი“ № 16.  
 1) იხ. сб. „Зак. Груз. царя Вахтанга VI“, გვ. 67, მუხ. 233.  
 2) იხ. გ. გიორგაძე „ფეოდალიური ურთიერთობა საქართველოში“ ტფილისი, 1926 წ., გვ. 14.  
 3) იხ. ივ. ჯავახიშვილი... „ქართველი ერის ისტორია“. მეოთხე წიგნი, I ნაწ., ტფილისი, 1924 წ. გვ. 45.

1) იხ. Проф. В. М. Хвостов. „История римского права“. Москва, 1907 г., გვ. 94. Энциклопедич. словарь Брокгауза и Ефрона, т. IV, ст. „Брак“.  
 2) იხ. Ковалевский. „Первобытное право“, вып. II, Москва, 1886 г., გვ. 117-118.  
 3) იხ. Сер. Джон Лებოკ. „Начало цивилизации и первобытное состояние человека“. С.П.Б., 1896 г., გვ. 7-8).  
 4) იხ. Ковалевский. ibid გვ. 118-119.  
 5) იხ. Вольфсон. „Очерки Обществоведения“. გვ. 46-47.

საქართველოს  
ისტორიის

ლების სისტემა) ვითარდება, საწარმოვო ძალები ფართო-  
ვდება, იზრდება და ვითარდება შრომის საზოგადოე-  
ბრივი განაწილება, იზრდება კერძო საკუთრება, გროვდე-  
ბა ზედმეტი სიმდიდრე, გაცვლილობითი და ფულადი  
მეურნეობა ფეხს იკიდებს. ადამიანს აქვს უკვე ზედმეტი  
სიმდიდრე და წარმოდგენა ფულსა და გაცვლილობაზე.  
ამ გვარ პირობებში დედაკაცი საქონლად გადაიქცა. მათ  
აფასებენ როგორც სამუშაო ძალას, იგი ვახდა კერძო  
საკუთრების და გაცვლილობის ობიექტი. საცოლოს მო-  
ტაცება საჭირო აღარ არის, მათ ყიდულობენ ისე, რო-  
გორც ყიდულობენ რაიმე საგანს, საქონელს, მონას. სა-  
ცოლოს სყიდვა ხდება ფულით ან სხვა ნივთებზე გაც-  
ვლით<sup>1)</sup>. ცოლის შერთვა სყიდვის წესით მომეტებულ ნა-  
წილად იზრდება და იზრდება პატრიარქალურ ორგანიზა-  
ციის ნიადაგზე, როდესაც ოჯახის მამა იყო სრული და  
შეუზღუდველი გამგე თავის ოჯახის წევრების ბედ-ილ-  
ბლისა, და აგრეთვე ფეოდალურ-ბატონყმურ ეპოქაში,  
როდესაც დედაკაცს უყურებენ როგორც სამუშაო ძალას  
და როდესაც ფულადი მეურნეობის განვითარებასთან ერ-

თად დედაკაცი გადაიქცა საქონლად. ასეთი იყო პირობა-  
დელი და ძველის ძველი ადათი და რჯული დედაკაცის  
და მამაკაცის საქორწინო კავშირის სფეროში.

დროთა მსვლელობაში ქორწინების შეკვრის ეს წე-  
სებიც—მოტაცება და სყიდვა-ჩაპბარდნენ ისტორიის და  
ცხოვრებამ წამოაყენა სრულიად სხვა ფორმები და წე-  
სები ქორწინებისა. აქ ჩვენ სახეში გვაქვს საწმუნოე-  
ბრივ საეკლესიო წესები საქორწინო კავშირის შეკვრისა.  
უნდა ვსთქვათ, რომ აქაც იგივე ეკონომიური ფაქტორი  
მუშაობს, აქაც ადათსა თუ კანონს, რომლებშიც გამოი-  
ხატებიან გარეგნულად ეს წესები, შინაარსს აძლევდენ  
იგივე საწარმოვო ძალები და მათზე დამყარებულნი სა-  
წარმოვო ურთიერთობანი [ე. ი. ტენიკის განვითარება  
და ეკონომიური სტრუქტურა საზოგადოებისა]. ქორწი-  
ნების წესები საწმუნოებრივს, რელიგიურ ხასიათს ღე-  
ბულობენ, რელიგიის შემდეგი ფორმების განვითარებაც  
ჰხდება ისევე ეკონომიურ (საწარმოვო) ურთიერთობათა  
ნიადაგზე. იცვლება და ვითარდება ტენიკა, იცვლებიან ეს  
საწარმოვო ურთიერთობანი და იცვლებიან აგრეთვე რელი-  
გიის ფორმებიც (მრავალღმერთობა, ერთღმერთობა და სხ.<sup>1)</sup>).

1) იხ. Наумов. „Введение в изучение экономической науки“, Москва, 1923 г., გვ. 87. Тайлор, „Антропология“. СПб, 1882 г. გვ. 399.

1) იხ. Н. Бухарин. „Теория исторического материализма“. 1924 г., გვ. 186—187.

## გამოკვლევის შედეგები (პ. ტვილისის I უბნის სახალხო სასამართ- ლოს გამოკვლევის აქტიდან)

### დამოკიდებულება პარტიულ, საბჭოთა და პროფესიო- ნალურ ორგანიზაციებთან.

უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო თავის მუშაო-  
ბაში სრულიად მოწყვეტილი ყოფილა აღნიშნულ ორგა-  
ნიზაციებთან. კომუჯრედში ან რაიკომში სასამართლოს  
მუშაობაზე მოხსენების გაკეთება იშვიათი მოვლენა. არა-  
სდროს არ ყოფილა შემთხვევა, რომ მოსამართლეს გაე-  
კეთებინოს მოხსენება სასამართლოს მუშაობის შესახებ  
ტვილისის აღმასკომის და საბჭოს პრეზიდიუმში ან საბ-  
ჭოს სექციებში. დამოკიდებულება აღმასკომთან მხოლოდ  
ფინანსური.

აგრეთვე არ ყოფილა შემთხვევა, რომ პროფკავში-  
რები დაინტერესებულიყვნენ სასამართლოს მუშაობით, ან  
სასამართლოს მუშაობის შესახებ გაკეთებულიყვეს მოხსე-  
ნება იუსტსახკომის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრე-  
ბაზე, ან პროფკავშირებში.

ყველა ეს მოწმობს იმას, რომ კავშირი სასამარ-  
თლოსა და ფართე მასას შორის არ არსებობს და სასა-  
მართლო არავითარ კულტურულ-განმანათლებელ მუშა-  
ობას მასაში არ აწარმოებს. საანგარიშო მოხსენებების  
გაკეთება მასიურ კრებებზე სასამართლოს პრაქტიკაში  
არ ყოფილა შემოღებული. მოსამართლე მოხსენებით გა-  
მოდის მხოლოდ წელიწადში ერთხელ, სახალხო მსაჯულთა  
არჩევნების დროს, როდესაც მოსამართლე აკეთებს მოხ-  
სენებას საბჭოთა სასამართლოს და სახალხო მსაჯულთა  
ინსტიტუტის მნიშვნელობის შესახებ.

არავითარი მუდმივი კავშირი სახალხო მსაჯულებთან,  
რომელნიც მიმაგრებულნი არიან I უბნის სახალხო სასა-

მართლოსთან, არ არსებობს. არ ეწყობა დრო—გამომწე-  
ბითი კრებები და თათბირები სახალხო მსაჯულებისა,  
რომლებზედაც შეიძლებოდა მათთან ერთად სასამარ-  
თლოს მუშაობის სხვადასხვა მხარეების გაშუქება.

კავშირი მუშკორებთან და პრესასთან არ არსებობს.  
სასამართლოს მუშაობის დადებითი ან უარყოფითი მხა-  
რების გაშუქება პრესაში არ ხდება. გაზეთებში იბეჭდე-  
ბა ანგარიშები მხოლოდ ზოგიერთ განხილულ საქმეებზე.

ყველა აღნიშნული გარემოება ხელს უწყობს იმ  
მდგომარეობას, რომ სასამართლოს მუშაობა უცნობია  
მშრომელ მასისათვის, სასამართლოს მუშაობაზე არ არსე-  
ბობს მშრომელ მასის კონტრალი. მას ეძლევა ვიწრო  
კარჩაკეტილი ბიუროკრატიული დაწესებულების ხასიათი,  
რაიც ერთის მხრივ ხელს უშლის სასამართლოს მუშაო-  
ბის ნაყოფიერების აწევას და მეორე მხრივ ხელს უწყ-  
ობს სასამართლოში ბიუროკრატიზმის და ვოლოკიტის  
გამეფებას.

რაც შეეხება სასამართლოს მუშაობაში ჩარევას და  
გავლენის მოხდენას ცალკე ორგანიზაციების და დაწესე-  
ბულებების ან თანამდებობის პირების მხრივ, ასეთ მოვლენას  
I უბნის სახალხო სასამართლოში არ ჰქონია ადგილი.

### სასამართლოს მუშაობა სისხლის სამართლის დარგში.

სისხლის სამართლის საქმეთა ხასიათის მიხედვით  
უმეტესი ნაწილი საქმეების შეადგენს კერძო პიროვნების  
საწინააღმდეგო დანაშაულის საქმეებს, მეორე ადგილი  
უჭირავს—ქონებრივი დანაშაულის საქმეებს (ქურდობას).  
შემდეგ მმართველობის საწინააღმდეგო და თანამდებობ-  
რივი ხასიათის დანაშაული (მითვისება-გაფლანგვა).

მოსამართლეები საერთოდ გაცნობილნი არიან მო-  
სახლეობის ცხოვრების კულტურულ და ეკონომიურ პირო-  
ბებს, მაგრამ დანაშაულთა სტატისტიკური შესწავლა, მა-

საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
მინისტრის  
გამოცემის

ყველა საზოგადოებას თავისი შესაფერისი რელიგია აქვს. „რელიგიური ქვეყანა, ამოხსნა კ. მარქსი, არის მხოლოდ რეფლექსი რეალური ქვეყნიერებისა, საქონელთ მწარმოებლების საზოგადოებისთვის, რომლის საზოგადოებრივ-საწარმოო ურთი-ერთობა მდგომარეობს იმაში რომ შრომის პროდუქტები მათთვის წარმოადგენენ საქონლებს ე. ი. ღირებულებებს, ან რომ ამ ნივთიერი სახით უთანასწოროდებიან აქ ერთმანეთს მათი ცალკეული კერძო ნაშუშევრები, როგორც ერთნაირი ადამიანის შრომა, — ამისთანა საზოგადოებისათვის ყველაზე შესაფერისი ფორმა რელიგიისა არის ქრისტიანობა მისი აბსტრაქტული ადამიანის კულტით, განსაკუთრებით ქრისტიანობა მისი ბურჟუაზიულ სხვა და სხვა სახით, როგორც არის პროტესტანტიზმი, დეიზმი და სხ.1).

აქედან ვხედავთ, რომ საზოგადოთ რელიგია და მისი სხვა და სხვა ფორმები (კერძოდ ქრისტიანობა თავისი ფორმებით: კათოლიციზმი, პროტესტანტიზმი, მართლმადიდებლობა) წარმოიშვებოდნენ ღ ვითარდებოდენ საწარმოო ძალთა მდგომარეობის ღ საზოგადოების ეკონომიუო სტრუქტურის ნიადაგზე. წარმოშობილი ესა თუ ის რელიგია

1) იხ. К. Маркс. „Капитал“, т. I, СПб, 1899 г. под ред. П. Струве, 83. 41.

თი მიზეზების შესწავლა მოსამაოთლეთა მხრივ არ სწარმოებს და სტატისტიკური მასალის დამუშავება ხდება იუსტისაქომის სტატისტიკურ განყოფილებაში და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში, მაგრამ შედეგები ამ გამოკვლევისა სასამართლოს არ ეცნობება ხოლმე.

გარდა ამისა სასამართლოებს ერთი-მეორესთან კავშირი არა აქვს, არ ხდება მოსამართლეთა თათბირები, სადაც შეიძლება ერთი—მეორის პრაქტიკის და გამოცდილების გაცნობა და ერთგვარი საერთო გეზის გამოწახვა ამა თუ იმ დანაშაულთან საბრძოლველად და სხვა.

**დეფექტები სისხლის სამართლ. საქმეებში.**

1. ბევრ საქმეებს ემჩნევა მეტის მეტად გაჭიანურება. არის საქმეები, მათ შორის გაფლანგვის საქმეებიც, რომელნიც რამდენიმე თვეობით და წელიწადზე მეტიც სრულიად არ დაუნიშნავთ განსახილველად. მაგალითად საქმე № 2/28 წ. ბატუაშვილის ბრალდებისა გამო, თანახმად 186 მ. ს. ს. კ. ძველი რედაქციით. შემოსულია სასამართლოში 29/IV-25 წ.—დამთავრებულია 29/II-28 წ. პირველად ეს საქმე დანიშნული ყოფილა განსახილველად 10/V 26 წ. ესე იგი ერთი წლის შემდეგ დღიდან შემოსვლისა.

საქმე № 25/28 წ. ავტოვივის ბრალდებისა გამო, თანახმად 116 მ. ს. ს. კ. (ძველი რედაქციით) საქმე გადადებულია და დანიშნულია ხელმეორეთ 7 თვის შემდეგ. მეორეთ გადადებულია და გადის კიდევ 7 თვე და შემდეგ ინიშნება საქმე.

საქმე № 1/28 წ. ალექსანდრე მუსელიანის ბრალ გამო. თანახმად 195 მ. ს. ს. კ. (ძველი რედაქციით).

საქმე დანიშნული ყოფილა განსახილველად 1 წლის და 2 1/2 თვის განვლის შემდეგ დღიდან საქმის შემოსვლისა.

თავის მხრივ გავლენას ახდენდა საზოგადოებრივ ცხოვრების სხვა დარგებზედაც. ხშირად რელიგია და მისი წარმომადგენელი (ქურუმები, საეკლესიო იერარქია) ხელში იგდებდნენ ხოლმე საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა დარგს და ამგვარად სარწმუნოებრივ ელფერს აძლევდნენ მთელს ცხოვრებას. ჯერ კიდევ წარმართობის ხანაში ქურუმებს დიდი გავლენა ჰქონდათ ხალხის ცხოვრებაზე, ცხოვრების ყველა დარგში ქურუმებში იყვნენ ხელმძღვანელებად, ესენივე ასრულებდნენ ქორწინების და მიცვალებულთა დასაფლავების წესებს. საშუალო საუკუნოებში კათოლიკურმა ეკლესიამ ხელში ჩაიგდო იმ დროის დასავლეთ ევროპის მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება და თავისი ბეჭედი დაასვა ყველა მის დარგს: სახელმწიფოს, სამართალს, ზნეობას, ადამიანის აზროვნებას და მეცნიერებას. ქორწინება და სხვა ინსტიტუტები გამსქვალულნი იყვნენ კათოლიკურ ეკლესიის თვალსაზრისით. ამის შემდეგ უსაფუძვლო და გასაოცარი აღარ იქნება, თუ რომ ვიტყვი, რომ რელიგიამ, რომელიც წარმოიშვა და განვითარდა ეკონომიურ ნიადაგზე, თავისი დალი დაასვა საქორწინო კავშირს და მისი შეკვრის წესებსაც ე. ი. ძველი წესები ისპობიან და ცხოვრებაში ბატონდება სარწმუნოებრივი წესი ქორწინებისა.

**საქმე № 29/28 წ.** გეგინის ბრალ. გამო გაფლანგვაში დანიშნული ყოფილა განსახილველად 1 წლის შემდეგ დღიდან შემოსვლისა.

ამისთანა მაგალათები ბევრი არის. კომისიის დაკვირვებით საქმეების დანიშვნა განსახილველად ხდება უწყსოთ და უსისტემოთ. არის მრავალი შემთხვევა, როგორც 1927 წელს, ისე 1928 წელშიაც, რომ სისხლის სამართლის საქმეები უფრო მნიშვნელოვანი, როგორც არის მითვისება-გაფლანგვა, ქურდობა, სიყალბე და სხვა, მრავალ თვეობით არ ყოფილა დანიშნული და იმავე დროს უმნიშვნელო საქმეები, რომელიც ეხება მაგალითად შეურაცყოფას — დანიშნული და განხილულია 1—2 თვის განმავლობაში.


საქმეების მეტის მეტად გაჭიანურების მიზეზი არის აგრეთვე საქმეების მრავალჯერ გადადება. არის მრავალი სისხლის სამართლის საქმეები, რომელიც 8—12-ჯერ გადადებულია, ხშირად უმნიშვნელო საბაბის გამო, რომელთა განხილვაც შეიძლება პირველ სხდომაზე. სასამართლო ხშირად აკმაყოფილებს მხარეების უნიადაგო შუამდგომლობას დამატებითი მოწმეების ან ექსპერტების გამოწვევის შესახებ და სხვა, როდესაც ეს არავითარ საქიროებას არ წარმოადგენს საქმისათვის.

საერთოთ სასამართლო ბევრ შემთხვევაში კრიტიკას არ უკეთებს მხარეების ამა თუ იმ შუამდგომლობას, მექანიკურად აკმაყოფილებს მას და ხშირად საქმის გადადებას სრულიად არ ანაბუთებს.

მაგალითად საქმე № 35/28 წ. ფროლიკავის ბრალდების შესახებ 1.038 მ. გაფლანგვაში (კოოპერატივ „ბოეცის“ მალაზიის გამეგ).

საქმე დაიწყო სასამართლოში 13/X-26 წ. წინასწარ გამოძიებაზე მოხდენილ იყო ექსპერტიზა და ბრალდებულს თავი ეცნო დამნაშავეთ. 8 დეკემბერს 1926 წ.





ამგვარმა მოვლენამ თავი იჩინა რელიგიის არსებობის დასაწყისიდანვე. რელიგიის დასაწყისს წარმოადგენს ეგრედ წოდებული წინაპართა კულტი. ამ კულტმა, ამბობს მ. კოვალევსკი, დიდი გავლენა იქონია უფლებრივ ინსტიტუტზე და კერძოდ ქორწინების წესზე. როგორც ბერძნების და რომაელების, ისე ინდუსების, სლავიანების და გერმანელების ქორწინების წესს აზის ამ კულტის ბეჭედი.

ძველი რომაელების და ბერძნების ქორწინების წესმა მიიღო წარმართულ-სარწმუნოებრივი ფორმა, რომელმაც დაიჭირა ძველი ფორმების ადგილი. ასე მოხდა არა მარტო რომაელების და ბერძნების ცხოვრებაში, არამედ ყველგან, სადაც-კი წარმოიშო და განვითარდა ესა თუ ის რელიგია. მაგრამ ძველ წესებს (მოტაცებას, სყიდვას) უტბად არ დაუთმიათ ადგილი ქორწინების ახალ წესებისთვის და ძველი მაინც განაგრძობს არსებობას ახალთან ერთად. ეს ასეც უნდა მომხდარიყო: ძველი იდეები და ცნებები ყოველთვის გამსჭვალულნი არიან კონსერვატიული ხასიათით, ძველსა და ახალს შორის ყოველთვის სწარმოებს სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა არსებობისათვის და პირველი უთმობს ადგილს მეორეს მხოლოდ ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ. იმ დროისთვის

სარწმუნოებრივი წესები ქორწინებისა ახალ ცნებებს წარმოადგენდნენ და ეს ახალი ცნებები ცხოვრებაში განმტკიცდნენ და გაბატონდნენ მხოლოდ ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ძველთან.

აქამდინ ჩვენ სახეში გვქონდა წარმართული სარწმუნოებრივი წესები ქორწინებისა. მაგრამ ქვეყნიერებაზე არა არის რა უცვლელი და მარადიული. ხანა წარმართობისა და წარმართულ-სარწმუნოებრივ ქორწინებისა კაცობრიობამ განვლო. რომის იმპერიაში წარმოიშვა ახალი სარწმუნოება-ქრისტიანობა. (წარმოიშვა, რასაკვირველია ეკონომიურ ნიადაგზე, მაგრამ ამ საკითხის განხილვა არ შეადგენს ჩვენი წერილის საგანს). ამ დროს რომი წარმოადგენდა უდიდეს იმპერიას და იპყრობდა იმ დროის თითქმის მთელს მსოფლიოს. ძველი საბერძნეთიც შედიოდა რომის მსოფლიო იმპერიის ფარგლებში. ქრისტიანობა აღიარებულ იქმნა სახელმწიფოებრივ სარწმუნოებად მეფე კონსტანტინე დიდის მიერ. რომის იმპერია გაიყო ორად (395 წ.): აღმოსავლეთისა და დასავლეთისა. ამის შემდეგ დასავლეთის იმპერია არსებობდა 476 წლამდე, როდესაც იგი საბოლოოდ დაიპყრეს გერმანელებმა და მის ტერიტორიაზე დაარსეს თავიანთი სახელმწიფოები. ამის შემდეგ აღმოსავლეთის რომის იმპერია ბიზანტიის

სასამართლოს სხდომაზე გამოცხადდა ექსპერტი. დამცველმა მოითხოვა სამი ექსპერტის გამოწვევა, ვინაიდან ერთი ექსპერტი არ კმარაო. სასამართლომ საქმე გადასდო და დააკმაყოფილა დამცველის შუამდგომლობა, მხოლოდ გაუგებარია, რატომ იყო საჭირო სამი ექსპერტის გამოწვევა საქმე შემდეგ 1927 წლის განმავლობაში ორჯელ იყო გადადებული ექსპერტების გამოუცხადებლობის გამო, და ბოლოს 1928 წელს 16 თებერვალს გაირჩა ეს საქმე ექსპერტების დაუსწრებლათ. ამრიგად სასამართლოს დაუდევრობით საქმე გაჭინაურდა 1 წელიწადი და 5 თვე.

საქმე № 5/28 წ. ალექსანდრე ლამის და მიხეილ თედიაშვილის ბრალდების შესახებ—746 მან. გაფლანგვაში. საქმე დაიწყო სასამართლოში 29/VI-25 წ. და დამთავრდა 31/I-28 წ. საქმე ამ ხნის განმავლობაში გადადებულია 12-ჯერ, თუმცა წინასწარ გამოძიებაზე და სასამართლოს სხდომაზე ბრალდებულებმა თავი სცნეს დამნაშავეთ. სასამართლომ პირველ სხდომაზე არ გაარჩია საქმე სამი მოწმის გამოუცხადებლობის გამო რომელიც წასული იყვნენ ერთი საზღვარ-გარეთ და ორი კი მოსკოვში. ამ მიზეზით საქმე 12-ჯერ გადადებულია და ბოლოს საქმე მაინც გაირჩა მოწმეთა დაუსწრებლათ

ამ გვარი მავალითები ბევრი არის.  
2. სასამართლოს მიუღია წარმოებაში მრავალი საქმე, რომელშიაც არაერთი დანაშაულის ნიშნები არ არის და ზოგი მათგანიც წმინდა სამოქალაქო ხასიათისაა. როგორც ეტყობა მოსამართლე არ ეცნობა თავიდანვე შემოსულ მასალას, რის გამო სასამართლო ზედმეტად იტვირთება ისეთი საქმეებით, რომელიც წარმოებაში არ უნდა მიიღოთ.

მაგალითად საქმე № III—ლევან ჩიქნავერიანცის ბრალდების შესახებ, თანახმად 192 მ. ს. ს. კ. საქმეში არა-

ვითარი ნიშნები დანაშაულისა არ არის, სამოქალაქო ხასიათის საქმეა.

საქმე 4-ჯერ ყოფილა დანიშნული და გადადებული, და ბოლოს მოსპობილი უჩენავს სასამართლოს მიერ დანაშაულის ნიშნების უქონლობის გამო.

საქმე № 321/27 წ. „მოქ. შალვა სუპატაშვილის განცხადების შესახებ“. ვის რა ბრალდება საქმიდან არა ჩნანს. საქმეში არავითარი ნიშნები დანაშაულისა არ არის, საქმე კი ყოფილა წარმოებაში წელიწადზე მეტი.

საქმე № 286/27 წ. ტრუბაჩევის ბრალდების შესახებ, თანახმად 177 მ. ს. ს. კ.

საქმე უკანონოთ არის აღძრული 7 წლის ბავშვის წინააღმდეგ, ეს საქმე თავიდანვე უნდა მოესპო სასამართლოს, როგორც აღძრული მცირეწლოვანის მიმართ. წარმოებაში ყოფილა 1 წელიწადი.

3. სასამართლოში დაგროვილი არის ძველი საქმეები, აღძრული 1925 წელს, დანაშაული ჩადენილი არის, 1924-25 წ., ეს საქმეები მრავალჯერ ყოფილა გადადებული, ამჟამად დაკარგული აქვთ ყოველგვარი მნიშვნელობა და შესაძლებელია ამ საქმეების მოსპობა მიზანშეუწონლობის გამო. ასეთი საქმეები, დაახლოებით 40 მდე, ზედმეტ ტვირთად აწევს სასამართლოს და აფერხებს მის მუშაობას. სასამართლოს არავითარი ზომები არ მიუღია მათ მოსასპობად. არის საქმეები მოსასპობი უკანასკნელ ამნისტიის ძალით, რომელიც სასამართლოს თავის დროზე არ მოუხპია.

4. ზოგიერთ დამთავრებულ საქმეებზე სასამართლოს სოციალურ დაცვის ღონისძიების შეფარდების საქმეში ემჩნევა მერყეობა და კლასიური მიდგომის დამახინჯება.

ზოგ შემთხვევაში შეფარდებულა ძალიან სუსტი სოციალური დაცვის ღონისძიება, ზოგან კი სასტიკი. მაგალითად, საქმე № 948/27 წ. პეტრე მარლანის ბრალ-

იმპერიის სახელწოდებით არსებობდა კიდევ 1453 წლამდე (476—1453 წ.). ახალი ქრისტიანული სარწმუნოება მოედო როგორც აღმოსავლეთს (მართლმადიდებლობის სახით), ისე დასავლეთს (კათოლიციზმ პროტესტანტიზმის სახით), და მისი გარეგანი ორგანიზაცია—ეკლესია ზოგან დაუკავშირდა გაბატონებულ კლასების საერთო სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას და ზოგან ბატონობა მოიპოვა თვით ამ ხელისუფლებაზე. ორივე შემთხვევაში იგი ჩაერია საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა დარგში და მის ყველა ინსტიტუტს მისცა თავისი ცრუმორწმუნოებრივი ელფერი და ხასიათი. ქრისტიანულმა ეკლესიამ შეიტანა ახალი ცნება ქორწინებაზე, უკანასკნელი იცნო თავის საკუთარ საქმედ და ცალკეული ცოლქმრობის მოძღვრება დააწესა. მართლ-მადიდებლობისა და კათოლიციზმის მოძღვრებით ქორწინება არ არის არა უბრალო ხელშეკრულება, არამედ საიდუმლოება, როგორც სიმბოლო ქრისტეს ერთობისა ეკლესიასთან, ამისათვის იგი, როგორც ღვთისაგან ნაკურთხი, არის მუდმივი და დაურღვეველი. პროტესტანტიზმი არ სთვლის ქორწინებას საიდუმლოებად, მაგრამ ისიც, როგორც მართლ-მადიდებლობა და კათოლიციზმი, თხოულობს ეკლესიისაგან კურთხევას. ასე თუ ისე, ქრისტიანულმა ეკლესიამ თავიდანვე თავისი სარწმუნოებრი-

ვი წესი დაუდგა ქორწინებას და დევნა დაუწყო ქორწინების წინანდელ წარმართულ-სარწმუნოებრივ წესებს.

შემდეგში ეკლესიამ შეაყენა განსაკუთრებული წესი მღვდელმოქმედებისა ქორწინების საკურთხებლად<sup>1)</sup> მაგრამ პირველ ხანებში ქრისტიანულ წესს ქორწინებისას არ ჰქონდა იურიდიული მნიშვნელობა და არ იყო იგი სავალდებულო ცოლ-ქმრულ კავშირის დამყარებისათვის. ამგვარად ისტორია იძლევა ცნობებს ერთის მხრივ იმის შესახებ, რომ ქრისტიანებს შორის გავრცელებული იყო საეკლესიო წესი ქორწინებისა ე. ი. მათ ჰქონდათ ჩვეულებად მიემართნათ ეკლესიისათვის ცოლ-ქმრულ კავშირის საკურთხეველად,—და მეორეს მხრივ იმის შესახებ, რომ ქრისტიან-იმპერატორებს დიდი ხნის განმავლობაში არ მიაჩნდათ სავალდებულოდ ქორწინების კურთხევა ეკლესიის მიერ. თვით ბიზანტიის იმპერატორი იუსტინიანი-ე-კ-ი (მეფობდა 565 წლამდე) არას ამბობს საეკლესიო კურთხევაზე, როგორც ქორწინების წესზე. იუსტინიანეს კანონები განმეორებულა ლევ ისაერის (717—741 წ.) ეგლოგაში მხოლოდ იმ მოდაფიკაციით, რომ არა მდიდრებს მინიჭებული აქვს ქორწინების შეკვრის უფ-

<sup>1)</sup> იხ. Н. Суворов. „Учебник церковного права“ Москва, 1902 г., гл. 372—373.

გამო ვაფლანგვაში. „ავიოქიმის“ ცენტრალურ გამგეობის საქმეთა მმართველს, ინტელიგენტს, რომელსაც ჰქონდა ჯამაგირი 120 მან., ვაუფლანგავს სისტემატიურად 1183 მან. სასამართლომ შეუფარდა მას პირობითი სასჯელი.

საქმეზე № 789/27 წ. საფონდო ბირჟის შიკრიკს იუზბაშევს, 18 წ., რომელსაც ჰქონდა 35 მან. ჯამაგირი, რომლის კმაყოფაზეც ყოფილა დედა და ორი მცირე წლოვანი და შემოებარჯა 60 მანეთი სახაზინო ფული, დის — მძიმე ავადმყოფობის გამო, სასამართლომ მიუსაჯა მას თავისუფლების აღკვეთა 1 წლით გამსახლში მოთავსებით.

საქმე № 29/28 ნიკოლოზ გეგინი, ცოლშვილიანი, უმუშევარი, კომკავშირის წევრი, მუშაობდა შრომის ბირჟასთან არსებულ გამგრილებელ წყლების კოლექტივში, ჰყიდდა ნარზანს. ანგარიშის გასწორების დროს დაედო ვალად 54 მან., რომლის შესახებ მან გასცა ხელწერილი, რა თანხაც დროზე ვერ გადაიხადა უმუშევრობის გამო. მას აპატიმრებენ სისხლის სამართლის მილიციაში და სასამართლო უსჯის მას 1 წელიწადს, როგორც გამფლანგველს, მიუხედავად იმისა, რომ საქმეში არავითარი ნიშნები დანაშაულისა არ არის და ეს დავალიანება არის მისი ზარალი, გამოწვეული ყინულის დადნობით.

სასამართლოს მიერ არის მოსპობილი სრულიად უკანონოთ საქმე № 1534/27 წ. ვინმე იასონ აბაშიძის, ინტელიგენტი, უმაღლესი იურიდიულის სწავლის მქონე, რომელიც ყოფილა საბჭოთა და საეკურ. მოსამსახურეთა კავშირის ცენტრალურ გამგეობის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე და მიუთვისებია 142 მან. კავშირის ფული.

საქმე № 136/28 წ. I უზნის სახ. სასამართლო ანთავისუფლებს თავდებ-ქვეშევინმე იზრაილ სტერლინგს დახელოვნებულ ქურდ-ჯიბგირს, რომელმაც მუშკოპოის მაღაზიაში ერთ მოქალაქეს ამოაცალა 240 მან. და რომელსაც საბჭოთა კავშირის სხვა და სხვა ქალაქებში ჰქონია

22 რეგისტრაცია და რამოდენიმე გასამართლება და განთავისუფლების შემდეგ სტერლინგი თავს არიდებს სასამართლოს მიდის, ქ. ბაქოში, სადაც კვლავ სჩადის ამგვარივე დანაშაულს, რისთვისაც მას უსჯიან თავისუფლების აღკვეთას ექვსი თვით; ასეთ სოციალურად საშიშ პიროვნებას I უზნის სახ. სასამართლო ეპყრობა მეტის-მეტად ლმოქიერათ და უსჯის მხოლოდ 6 თვით თავისუფლების აღკვეთას.

5. ზოგიერთ სისხლის სამართლის საქმეებს ემჩნევა კიდევ სხვა დეფექტებიც, არა სწორი კვალიფიკაცია, განაჩენები დაწერილია ვრცლათ ერთი და იგივე დებულებების განმეორებით.

სხდომის ოქმები იწერება ძალიან დაურევრათ, ბუნდოვანათ, აზრის არეგ-დარევით, მთავარი მომენტები საქმისა არ არის აღნიშნული, პირიქით იწერება ისეთი რამ, რასაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვს. ეს გარემოება მოწმობს ტენხიკურ თანამშრომლების დაბალ კვალიფიკაციას, მოუმზადებლობას და აგრეთვე იმას, რომ თვით მოსამართლეს ალბათ არ კითხულობს ოქმებს და არ აძლევს მდივნებს მითითებას თუ როგორ უნდა იწერებოდეს ოქმი.

6. განაჩენების აღსრულება ხდება თავის დროზე, მხოლოდ ბევრ საქმეებზე სამაგიდო რეესტრში არ არის აღნიშნული განაჩენის სისრულეში. მოყვანის სათანადო ცნობა.

განაჩენის სისრულეში მოყვანის სტადიაში სასამართლო სრულიად მოწყვეტილია იმ გამასწორებელ დაწესებულებას, რომელსაც მოჰყავს განაჩენი სისრულეში და რომელიც უფარდებს შრომა გასწორების რეკიმს ამა თუ იმ პატიმარს. სასამართლოს მოქმედება სრულიად თავდება განაჩენის გამოტანით, იგი მოწყვეტილია შრომა-გასწორების პოლტიკას და მისთვის უცნობია რა ბედი ეწვია იმ პატიმარს, რომელსაც შეუფარდა ესა თუ ის



ლება ან მეგობართა თანადასწრებით, ან და საეკლესიო კურთხევის წესითა<sup>1)</sup>. ამგვარად ჩვენ ვხედავთ, რომ ქორწინების ქრისტიანულ წესს იურიდიული მნიშვნელობა არ ჰქონია ქრისტიან მეფეების დროსაც-კი, იგი არ ყოფილა ჩამოყალიბებული სამართლის ნორმებში და არ ყოფილა დაკანონებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მიერ. ქორწინების საეკლესიო წესი სავალდებულო შეიქმნა მხოლოდ IX საუკუნის დასასრულს (893 წ.), როდესაც ბიზანტიის მეფემ ლევ ბრძენმა (886—919 წ.) გამოსცა კანონი, რომლითაც ქორწინების საეკლესიო კურთხევა სავალდებულოდ იყო აღიარებული. შემდეგში საეკლესიო კურთხევა იმპერატორმა ალექსი კომნენმა (1081—1118 წ.) 1095 წ. განავრცელა მონებზედაც, რომლებზედაც წინად საეკლესიო წესი არ ვრცელდებოდა. მაშასადამე, მხოლოდ IX საუკ. დამლევს საეკლესიო წესი ქორწინების აღიარებულ იქმნა იურიდიულ მნიშვნელობის წესად<sup>2)</sup>.

დასავლეთში, როდესაც ქრისტიანობამ მიიღო კათოლიციზმის სახე, ტრიდენტის კრებამდე არ იყო კანონი

1) იხ. Н. Суворов. ibid. გვ. 373.  
 2) იხ. Суворов. ibid. 373—374. Хвостов. „Ист. рим. права“ გვ. 393, შენიშვნ. 3. მისივე: „Системы римского права“, IV—V, Москва, 1907 г., გვ. 6.

სოცდაცვის ღონისძიება. არ ყოფილა შემთხვევა, რომ მოსამართლე წასულიყოს გამსახლში, რათა დაეთვალიერებია პატიმრები და სხვა.

7. სასამართლო დანაშაულთან საბრძოლველად არავითარ კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას არ აწარმოებს.

8. სასამართლოს მუშაობაში არ პოულობს გამოხატულებას ბრძოლა ბიუროკრატიზმთან, უყაირათობასთან და დაუდევრობასთან.

სასამართლოში ყოფილა საქმე ვინმე მურალოვის-რომელსაც ბრალად ედება გაფლანგვა სახაზინო თანხას. დანაშაული მიუძღვის აგრეთვე დაწესებულების უმფროსაც დაუდევრობაში, რომლის შედეგად არის გაფლანგვა, მაგრამ სასამართლოს საკითხი მისი პასუხისგებაში მიცემისა დაუტოვებია ღიად.

**სასამართლოს მუშაობა სამოქალაქო სამარ. დარგში.**

სამოქალაქო საქმეთა დათვალიერებით ირკვევა, რომ ალიმენტების საქმეები ინიშნება განსახილველათ დაჩქარებით, გაჭიანურებას ასეთ საქმეებზე არ აქვს ადგილი, გადაწყვეტილებები არის სწორი და სამართლიანი, კლასიური ხაზის დარღვევა არ ემჩნევა.

რაც შეეხება დანარჩენ ხასიათის საქმეებს, რომელიც ეხება კერძო პირებს და სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებს, ზოგიერთ საქმეებს ემჩნევა მეტის-მეტად გაჭიანურება, მრავალჯერ გადადება უმნიშვნელო საბაბის გამო. არის წარმოებაში ძველი საქმეები, დაწყებული 1924 წელს და მეტის-მეტად გაჭიანურებული.

მაგალ. საქმე ესტატე გოშაძის სარჩელის გამო ნიკოლოზ კულიჯთან და პავლე სნიტიკინთან 120 მან. ფრანგული ბულკების ღირებულების შესახებ, დაწყებულია 1924 წელს და დამთავრებულია 1928 წელს, გადადებულია 9-ჯერ ერთხელ საქმე გადადებულია შემდეგ, რომ სასა-

ნით დადებული რამე სარწმუნოებრივი წესი ქორწინებისა. თუმცა კარლოს დიდმა უფრო ადრე, ვიდრე ლევ ბრძენმა ბიზანტიაში, გამოსცა კანონი, რომლის ძალით ეპისკოპოსებს და მღვდლებს ხალხის უფროსებთან ერთად უნდა მოეხდინათ გამოძიება იმის შესახებ, საქმროსა და საცოლოს შორის ხომ არ არსებობს რამე ნათესაობა, და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მომხდარიყო ქორწინების კურთხევა მღვდლის მიერ, მაგრამ ამ კანონს ძალა არ მიუღია დასავლეთში<sup>1)</sup>. მხოლოდ XVI საუკუნეში თანახმად ტრიდენტის კრების დადგენილებისა ეკლესიის მონაწილეობა საქორწინო კავშირის დადებაში სავალდებულო გახდა.

რუსეთმა ქრისტიანობა მიიღო ბიზანტიიდან, სადაც საეკლესიო წესი ქორწინებისა უკვე იყო შემოღებული და სავალდებულოდ დაკანონებული. ბიზანტიის სამართლის ზედგავლენით რუსეთის ეკლესიამაც შემოიღო ეს წესი, რომელიც უკვე გათვალისწინებულია ეგრედწოდებულ „ასთავიანში“ („სტოგლავი“)<sup>2)</sup>. მაგრამ XVII საუკუნის გასვლამდე აქ ჯერ კიდევ არის ნიშნები თავისუფალი

1) იხ. Н. Суворов. ib. გვ. 374—375.  
 2) იხ. Н. Суворов. ibid. გვ. 377.


მართლოს მოუთხოვია მაძიებლისათვის წარმოედგინა მუშკოპის ერთ-ერთი საკანდიტროდან ცნობა ფრანგული ბულკის ღირებულების შესახებ.

**სასამართლოს მუშაობის ზოგიერთი მხარეები.**

სასამართლოს მუშაობის მთავარი ნაკლი—ეს არის გაჭიანურება, ბიუროკრატიზმი, ვოლოკიტა, დაუსრულებელი გადადება და სხვა. სასამართლოს პრაქტიკაში არ არის შემოღებული წესი, რომ თვითველ შემოსულ საქმეს, მეტადრე სამოქალაქო საქმეს, წინასწარ მოსამართლე ეცნობოდეს და ლეგულობდეს ზომებს უზრუნველყოფის საქმის დამთავრება პირველ სხდომაზე. ხშირად საქმე იდება იმიტომ, რომ საქმეზე პირველ სხდომისათვის არ არის შეკრებილი საჭირო დამამტკიცებელი საბუთი, დროზე არ არის გამოწვეული საჭირო მოწმე ან ექსპერტი და პირველი სხდომა ამისთვის იდება და შემდეგ საქმე კიანურდება.

უწყებების ჩაბარების წესი აგრეთვე არ არის მიზანშეწონილი. სასამართლოს ჰყავს 2 შიკრიკი სამოქალაქო საქმეებზე უწყებების ჩასაბარებლათ, რომელნიც ახდევი ნებენ მხარეს 15 კაპ. თითო უწყებაზე და იმ საქმეებზე, რომელზედაც მაძიებელი განთავისუფლებულია ხარჯისაგან, მაგ. ალიმენტები და სახელმწიფო დაწესებულებები, უწყებებს აბარებენ გვიან, ან სრულიად არ აბარებენ, რაც იწვევს საქმეების გადადებას. შიკრიკებს სპეც-ტანისამოსი (ფეხსაცმელები) და საგზაო (ტრამვაის) ხარჯი არ ეძლევათ.

შემოსულ საქმეებს და მიმოწერას ეცნობა მხოლოდ მდივანი და მისი მოხსენების თანახმად ხდება საქმეების შეყენება. ხშირად მდივანი და არა მოსამართლე უკეთებს კვალიფიკაციას. მოხონელების მიღებისათვის არ არის განსაკუთრებული საათები, რის გამო მოხონელებს უხდებათ მთელი დღით ლოდინი, ან მეორე დღეს მოსვლა, როდესაც მოსამართლე სხდომაზე არის.





განქორწინებისა ურთიერთი შეთანხმებით და აგრეთვე იმის ნიშნები, რომ საეკლესიო წესს ქორწინებისა ანგარიშს არ უწყევნ. XVIII საუკუნეში-კი თვით სახელმწიფოებრივი ხელისუფლება ენერგიულად მოითხოვს საქორწინო კავშირის დადებას საეკლესიო წესით<sup>1</sup>). ამგვარად, ქრისტიანული წესი ქორწინებისა რუსეთში ცნობილი იქმნა პარველად de facto და შემდეგ de jure<sup>2</sup>).

(დასასრული იქნება).

**ე. მირიანაშვილი.**

<sup>1</sup> იხ. Шершеневич. „Учебник русского гражданского права“. Москва, 1912 г., გვ. 681—682.

<sup>2</sup>) ასე თუ ისე, რუსეთის ისტორიის პირვანდელმა ხანამ იცის ქალის ცოლად შერთვა მხოლოდ მოტაცებისა და სყიდვის წესით. ქრისტიანობის შემოღებიდან აქ ვრცელდება ქორწინების საეკლესიო ფორმა, რომელიც პირველად ხმარებაშია მხოლოდ „ბოიარებს“ შორის. რუსეთის სავაჭრო კაპიტალიზმის ეპოქაში—XVI—XVIII საუკუნეში—საქორწინო სამართალი გადადის ეკლესიის ხელში, უკანასკნელი აწესრიგებს საქორწინო ურთიერთობებს და ქორწინების საეკლესიო ფორმაც (ჯვარის დაწერა) ხდება სავალდებულოდ. (С Юшков. „Русское право“ в Энциклопедии государства и права“ вып. 5).

გამწესრიგებელ სხდომისათვის განსაკუთრებული დღე არა აქვთ მიჩნეული. საკითხების დანიშვნას და განხილვას შემთხვევითი და აჩქარებითი ხასიათი აქვს და ამიტომ მოსამართლე ხშირად ვერ ეცნობა საკითხებს, რომელსაც ახსენებს მდივანი. სახალხო მსაჯულები ზოგიერთ შემთხვევაში ცხადდებიან სხდომაზე დაგვიანებით, არის შემთხვევა, რომ სულ არ ცხადდებიან, რის გამო სასამართლო წინასწარ იწყებს ერთ მსაჯულს ზედმეტს, როგორც სათადარიგოს. სასამართლოს სხდომაზე მხოლოდ ნაწილი იჩენს აქტივობას. სასამართლოში არ სწარმოებს არავითარი დაკვირვება და აღრიცხვა მათი მუშაობისა და აქტივობისა იმ მიზნით, რომ მსაჯულთა აქტივიდან წამოყენებული ყოფილიყო ვინმე მოსამართლის თანამდებობაზე. სასამართლოს პრაქტიკაში ძალიან იშვიათია პროცესის გადატანა მასაში, საჩვენებელ პროცესის მოწყობა ფაბრიკა-ქარხანაში. ასეთი 1927-28 წ. არ მომხდარა, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს წარმოებაში არის საქმეები, რომელთაც აქვთ ყოფა-ცხოვრებითი და საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

პროკურატურის ზედამხედველობა მეტად სუსტია. პროკურორის გამოსვლა პროცესზე არის იშვიათი მოვლენა. ასეთი ხდება სასამართლოს მოწვევით, მხოლოდ ისეთ საქმეებზე, რომელიც ეხება მითვისება-გაფლანგვას. 1928 წ. პროკურორი მხოლოდ ერთხელ გამოსულა, და მეორეთ ყოფილა მოწვეული სხვა საქმეზე, მაგრამ არ გამოცხადებულა და უცნობებია სასამართლოსათვის, რომ დროის უქონლობის გამო ვერ დაესწრება.

1927 და 1928 წ. წ. განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ გამოსულიყო რაიმე საქმეზე საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი. ხელმძღვანელობა უზენაეს სასამართლოს მხრივ არის მხოლოდ ფორმალური, იმ საკასაციო დადგენილებების სახით, რომელიც ეგზავნება ამა თუ იმ საქმეზე

**პირველი საკავშირო საპენიტენციარო შრილობა**

ა. წ. 20 სექტემბერს მოსკოვში იწყება პირველი საკავშირო საპენიტენციარო ყრილობა, რსფსრ-ის ინიციატივით. ასეთი ყრილობა სწორედ დროულია, 10 წლის განმავლობაში კავშირის პროლეტარიატმა თავის დიქტატურის განმტკიცების ხანაში აწარმოვა სასტიკი ბრძოლა როგორც კლასიურ მტრების, ისე დეკლასირებულ ელემენტების წინააღმდეგ და დააგროვა დაკვირვება-ცდის დიდი მასალა. თუ სხვადასხვა სახელმწიფოების ბურჟუაზია გრძნობდა ამ საქმეში თანამშრომლობის საჭიროებას, მიუხედავად ეკონომიურ-პოლიტიკურ ანტაგონიზმისა, მით უფრო უნდა შეიგნოს ასეთი თანამშრომლობის აუცილებლობა პროლეტარიატმა, რომელიც ასეთ ანტაგონიზმისგან თავისუფალია.

მართალია, არ შეიძლება სრული ანალოგიის გაყვანა საერთაშორისო საპენიტენციარო კონგრესებსა და საკავშირო საპენიტენციარო ყრილობებს შორის, რამდენადაც ყველა მონაწილენი ამ ყრილობისა შეადგენენ ერთ სახელმწიფოებრივ კავშირს, მაგრამ იგი მაინც უახლოვდება საერთაშორისო კონგრესს და ამიტომ არ იქნება ზედმეტი მოვიგონოთ კონგრესების ისტორია.

სასამართლოს. თვით სასამართლოს მუშაობით, — რამდენად ნაყოფიერია მისი მუშაობა, რამდენად სწორია სასამართლოს პოლიტიკა და რამდენად სწორათ ანხორციელებს კლასიურ ხაზს—ამით უზენაესი სასამართლო არ არის დაინტერესებული. აგრეთვე სუსტია ხელმძღვანელობა სასამართლო მმართველობის განყოფილების მხრივ საინსტრუქტორო ნაწილის სახით. ინსტრუქტაჟს აქვს შემთხვევითი ხასიათი, როდესაც ესა თუ ის მოსამართლე მიმართავს რჩევისათვის რაიმე ცალკე საკითხის გასაშუქებლად. მუდმივ ცოცხალ ინსტრუქტორობას არა აქვს ადგილი.

ერთი მოსამართლის გადმომცემით, დამცველთა კოლეგიის წევრები საერთოდ ნაკლებად ეხმარებიან სასამართლოს საქმის განხილვის დროს. იმ შემთხვევაში როდესაც ვეჭილები გამოდიან კერძო ინტერესების დამცველთა, კერძო შეთანხმებით, აქვს ხოლმე ადგილი ხრიკებს და ცდას გააქიანურონ საქმე. მხოლოდ თუ ისინი გამოდიან, როგორც რწმუნებულნი სახელმწიფო დაწესებულებების, ამ შემთხვევაში კი დახმარებას უწყვენ სასამართლოს და ამიტომ მოსამართლეს მიზანშეწონილათ მიაჩნია დამცველთა კოლეგიის რეორგანიზაცია კოლექტივის პრინციპის საფუძველზე. რაც, შეეხება სასამართლოს ავტორიტეტს მშრომელთა მასებში, თუ მივიღებთ მხედველობაში სასამართლოს მუშაობის მოწყვეტას საზოგადოებრივ აზრის კონტროლისაგან და სასამართლოში გამეფებულ ბიუროკრატიზმს და ვოლოკიტას—კომისიის აზრით ეს ავტორიტეტი არ უნდა იყოს მაღალი.

კომისიამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა 1 უბნის სახ. სასამართლოს გამოკვლევა—გამოიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი სასამართლოს მუშაობის გასაუმჯობესებლად.

საპენიტენციარო მეცნიერება ახალია. მას საძირკველი ჩაეყარა მე-18 საუკუნის დამლევს ცნობილ ინგლისელ რეფორმატორ მოლვაწეების **ჯონ-გოვარდის** და ფილოსოფოს-უტილიტარისტის **იერემია ბენტამის** შრომით. იმავე ხანებში იწყება ასეთივე მოძრაობა საპატიმროს გარდაქმნისათვის ჩრდილო-ამერიკაში, სადაც ინგლისელ ემიგრანტებმა შექმნეს ახალი სახელმწიფო და ჩაიტანეს სამშობლოდან საპატიმროს რაციონალურად მოწყობის იდეები.

ამერიკელებს მიბაძეს კონტინენტალურ ევროპის სახელმწიფოებმა, რომლებმაც გადმოიტანეს ამერიკის ახალი სისტემები. გაცხოველდა მუშაობა ყველა სახელმწიფოებში.

ამან წარმოშვა მოთხოვნა საერთაშორისო კონგრესებისა. 1846 წ. მოხდა კერძო ინციატივით პირველი საერთაშორისო საპენიტენციარო ყრილობა, მდ. მაინცზე მდებარე ფრანკფურტში, მეორე ყრილობა მოხდა ბრიუსელში 1847 წ. მესამე იმავე ფრანკფურტში 1857 წ.

სამივე კონგრესი იყო კერძო ხასიათის, რამდენადაც არც ერთ სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენელი იქ არ ყოფილა. პირველი საერთაშორისო კონგრესი სახელმწიფოების ოფიციალ წარმომადგენლების მონაწილეობით მოხდა ლონდონში 1872 წ. მას მოყვა ასეთივე კონგრესები სხვადასხვა სატახტო ქალაქებში. მათ შორის ყოფ. პეტერბურგში 1895 წ.

ეხლა, როდესაც მთელი კაცობრიობა დაყოფილია ორ ბანაკად, საბჭოთა რესპუბლიკებს უხდება დამოუკი-

ოებლად და უმეტესად თავისი ძალღონით თავის პრაქტიკის და თეორიის დამუშავება ამ დარგში. სწორედ ამ მხრივ უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს პირველ საკავშირო საპენიტენციარო ყრილობას მომავალში, კომუნისტურ ხანაში, არ იქნება სახელმწიფო, როგორც გაბატონებული კლასის ორგანიზაცია, რადგან მაშინ იქნება ერთი მთლიანი საზოგადოება და არ იქნება საჭირო საზოგადოების ერთი ნაწილის მიერ მეორე ნაწილის იძუება და დათრგუნვა. მაშინ მოკვდება სახელმწიფოსთან ერთად თვით სამართალი, სასამართლო და საპატიმროც სხვა იძულების ორგანოებთან ერთად. ხოლო ამ გარდასვალ ხანაში, სანამდის გამარჯვებულ მუშათა კლასისთვის საჭიროა სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია მომავალ მდგომარეობაში გადასასვლელად, უნდა ვეცადოთ, რომ ეს იარაღი მან საუკეთესოდ და მიზანშეწონილად მიმარჯვოს, აქედან კი იბადება საჭიროება, რომ რაციონალურად იყოს მოწყობილი და მუშაობდეს პროლეტარულ სახელმწიფოს ყველა ორგანოები, მათ შორის გამასწორებელ შრომის დაწესებულებები. საკავშირო საპენიტენციარო ყრილობის მიზანია ხელი შეუწყოს ამ საქმეს.

ყრილობის პროგრამის მიხედვით, მას მიზნად აქვს დასახული განიხილოს ყველა მნიშვნელოვანი საპენიტენციარო საკითხები.

- პროგრამა ასეთია:
1. მიღწევები და პერსპექტივები კავშირის საპენიტენციარო საქმეში.

## დაგვიყვით კოლეგიაში

### დაგვიყვით კოლეგიის მუშაობა დასავლეთ საქართველოში.

დამცველთა კოლეგიის პრეზიდენტის დავალებით პრეზიდენტის თავმჯდომარის ნ. კორინთლის მიერ დათვალეირებული იქნა დასავლეთ საქართველოში არსებული საკონსულტაციო კამერები, რათა შემუშავებული გეგმის მიხედვით გამოერკვია ადგილობრივ დ. კ. წევრების მდგომარეობა, მათი მუშაობის პირობები და ურთიერთობა ადგილობრივ ორგანოებთან. ამ მიზნით მოვლილი იყო შემდეგი ქალაქები და დაბები:

ქუთაისი, ხონი, ბაღდადი, ონი, ლაილაში, ცაგერი, სამტრედია, ოზურგეთი, ვანი, აბაშა, ახალ-სენაკი, ფოთი, ზუგდიდი, ზესტაფონი, კიათურა, ჩხარი, საჩხერე და კრებალო.

1. **ქუთაისის კამერა:** იურიდიული რჩევა დარიგება. მიცემულია ა. წ. 1 იანვრიდან 1 ივნისამდე
- |                      |            |
|----------------------|------------|
| სიტყვიერი . . . . .  | 41         |
| წერილობითი . . . . . | 236        |
| <b>სულ . . . . .</b> | <b>277</b> |

ბიუროში მორიგეობა ყოფილა . . . . . 98  
 შემოსავალი ამავე ხნის განმავლობაში—10 მ. 10 კ. ხარჯი —8 მან. 10 კ. სახაზინო დაცვა ძალიან ხშირია. მუშაობა ქუთაისის კამერის არაა დამაკმაყოფილებელი.

ქუთაისში და სხვა რაიონებში მომუშავე დ. კ. წევრები სრულებით არ არიან დაინტერესებულნი კამერის მუშაობის გაუმჯობესობის მხრივ, მორიგეები თავის დროზე არ ცხადდებიან კამერაში, რის გამო მუშაობა არა ნორმალურ პირობებში მიმდინარებს. აუცილებელია საჭიროა მთელი რიგი ზომებისა, რომ კამერების მდგომარეობა გამოსწორდეს და მუშაობაც სათანადო სიმაღლეზე იქნეს დაყენებული.

2. **ხონის კამერა:** მუშაობა დაუწყიათ ა. წ. 19 იანვრიდან და რჩევა-დარიგება მიცემულია 1 ივნისამდე—93. კამერა არ მუშაობს ნორმალურ პირობებში, ვინაიდან მორიგეობა არ არის დაცული თითო კვირაობით.

3. **ონის კამერა:** რჩევა დარიგება ა. წ. 1 იანვრიდან 1 ივნისამდე მიცემულია 64.

აქაც კამერა არა ნორმალურ პირობებში მუშაობს. არა აქვთ კამერისათვის ცალკე ოთახი, მუშაობენ გამომძიებლის ოთახში. როგორც გადმომცეს იქაური მოსამართლე ნებას აძლევს ფარულ „აბლაკატებს“ გაცნონ საქმეებს, „აბლაკატები“ სწერენ საკასაცო საჩივარს და სხვა: მაგალითისათვის ავიღოთ ერთ-ერთი თვის—თებერვლის მუშაობის ანგარიში:

2	თებერვალს	რჩევა	დარიგება	მიეცა	—1
9	„	„	„	„	—2
24	„	„	„	„	—1
26	„	„	„	„	—1
მთელი თვის განმავლობაში სულ . . .					5

4. **სამტრედიის კამერა:** მუშაობა დაუწყიათ ა. წ. 3 მარტიდან.

2. ვადამდე განთავისუფლება და მისი შეფარდების პოლიტიკა.

3. შესწავლა დამნაშავეს დამნაშავეობის და პიროვნების.

4. ცენტრალიზაცია საპენიტენციარო საქმეში და მისი ფარგლები.

5. სოციალურ დაცვის ღონისძიებათა აუცილებელი რეფორმები.

6. ამოცანები და მეთოდები საწარმოო-სამწეო ნაწილისა საპატიმრო ადგილებში.

7. იძულებითი მუშაობა დაუპატიმრებლად.

8. ამოცანები და მეთოდები კულტურულ-განმანათლებელ მუშაობისა საპატიმრო ადგილებში.

8. დახმარება საპატიმროდან განთავისუფლებულებს,

10. შრომის სახლები სამართლის არასრულწლოვან დამრღვევთათვის, საბავშვო დანაშაულობასთან საბრძოლველ დაწესებულებების სისტემაში.

11. საპენიტენციარო სამართალი და მისი სწავლება სსრკ-ში.

12. სოციალურ დაცვის ღონისძიებანი მედიკური ხასიათისა, პროფილაქტიკა და სანიტარია გამასწორებელ შრომის საქმეში.

მოხსენებებს ამ საკითხებზე ამზადებს რსფსრ, ხოლო თუ სხვა რესპუბლიკიდან წარდგენილი იქნება ასეთი შეძლება მოსმენილ იქნეს თანამოხსენების სახით. ყრილობაზე მი-

რჩევა დარიგება მიცემულია 3 მარტიდან 1 ივნისამდე 84.

გამოტოვებულია მორიგეობა 2, 3 და 4 დღისა ზედიზედ. კამერას ცალკე ოთახი არა აქვს. სამტრედიის სასამართლოში ადგილი ჰქონდა უმართებულო მოქმედებას დამცველის მხრივ: დამცველი სასამართლოს სხდომაზე მდივანს უკარნახებდა სხდომის ოქმში ამა თუ იმ გარემოების შეტანას, რაც დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს, როგორც საქმეებიდან სჩანს კამერის წევრებს ჰქონიათ რამოდენიმე კრება. ოქმების შინაარსი ასეთია:

ოქმი № 4 სახაზინო დამცველის დანიშვნის შესახებ. თებერვლის 8 დღესა განვიხილეთ რა სიტყვიერი განცხადება გარდაცვალებულის სევერიან შენგელიას ობლების და ქონების მეურვის მარიამ შენგელიასი სახაზინო დამცველის დანიშვნის შესახებ დავადგინეთ დენიშნოს დამცველი. ოქმები № 5 და 6 იმავე შინაარსისაა.

უნდა აღინიშნოს, რომ სამტრედიის კამერის მუშაობა მოისუსტებს და შესაძლებელი კია იქ უკეთესათ იქნეს მოწესრიგებული მუშაობა.

5. ოზურგეთის კამერა: კამერას მუშაობა დაუწყია ა. წ. 9 იანვრიდან.

რჩევა-დარიგება მიცემულია იანვრის განმავლობაში.

სულ . . . . .	3 ჯერ.
სიტყვიერი . . . . .	27 „
თებერვალში . . . . .	4 „
სიტყვიერი . . . . .	28 „

დანარჩენ თვეებშიც ასეთივე მუშაობა ყოფილა, აქც მუშაობა უნდა ჩაითვალოს ძალიან სუსტათ. ორ-ორი

წვეულნი არიან რსფსრ-ის ფარგლებში საპატიმროების ყველა ინსპექტორები, ყველა მნიშვნელოვან გამასწორებელ-შრომის დაწესებულებების უფროსები, სრულიად რუსეთის და ადგილობრივი პატიმართა დამხმარე კომიტეტების წარმომადგენლები, დანაშაულობის და დამნაშავეს შესწავლის სახელმწიფო ინსტიტუტის და ადგილობრივი კაბინეტების წარმომადგენლები, საკრიმინალო-სამართლის და პენიტენციარის კათედრების წარმომადგენლები, მოსკოვის, ლენინგრადის, სარატოვის და ირკუტსკის უნივერსიტეტებიდან. ამათ გარდა, მოწვეულია ყველა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკების წარმომადგენლები და აგრეთვე მეცნიერები. აქედან აშკარაა, რომ მიღებულია ზომები, რათა ფართოდ და ღრმად იქნეს განხილული ყველა მნიშვნელოვანი საპენიტენციარო საკითხები.

სხვა კითხვათა შორის ყრილობაზე განსახილველად დასმულია საკითხი საპენიტენციარო სამართლის სწავლების შესახებ.

თეორიული ცოდნა არის ის ლამპარი, რომლის მეშვეობით მუშათა კლასმა უნდა გაიკვილოს გზა მომავლისკენ. ამიტომ არ სპობს სოციალურ მეცნიერებათა სწავლებას უმაღლეს სასწავლებლებში, მხოლოდ ცდომილს განათავისუფლოს ასეთები ძველი იდეოლოგიის გავლენისაგან და შექმნას ჭეშმარიტი პროლეტარული მეცნიერება.

მართლმსაჯულების საქმე და კერძოდ საპენიტენციარო საქმე, სანამდის არსებობს სამართალი, უაღრესად

კვირაა გამოშვებული სამუშაო დღეები და ზოგჯერ მეტიც.

ოზურგეთის სასამართლოში მუშაობენ არა კოლეგიის წევრები ხელაძე და ჭეიშვილი. უკანასკნელი გამოირიცხულია კომისიის მიერ.

6. ზესტაფონის კამერა: მუშაობა დაუწყიათ ა. წ. 21 მარტიდან დ. კ. წევრები მორიგეობენ კვირაში 4-ჯერ. რჩევა-დარიგება მიცემულია 21 მარტიდან 1 იანვრამდე 90. აქაც საჭიროა მუშაობის გაცხოველება.

7. ახალ-სენაკის კამერა: კამერის მუშაობა სწარმოებს 1925 წლიდან. ა. წ. 1 იანვრიდან 1 ივნისამდე რჩევა-დარიგება მიცემულია 150. უნდა აღინიშნოს, რომ სენაკში მუშაობა ნორმალურ პირობებში მიმდინარეობს. შემოსულია ნაღდ ფულად 27 მან. 70 კაპ.

საქმეებში არის ოქმი 1928 წ. აპრილის თვის დადგენილებით, რომ შემოსული თანხა მოხმარდეს კამერას, მაგრამ დამამტკიცებელი საბუთები, თუ რა შეიძინეს ამ თანხით, არ აღმოჩნდა.

8. ფოთის კამერა: მუშაობა დაწყებულია ა. წ. 22 მარტიდან.

რჩევა-დარიგება მიცემულია 22 მარტიდან 1 ივნისამდე—19.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ფოთის კამერაში მუშაობა საეცებით ჩაკლულია და მის მუშაობას ყურადღებას არავინ აქცევს. მუშაობისათვის ნიადაგი კი ფოთს კარგი აქვს. იქ ითვლება 4 დამცველთა კოლეგიის წევრი, ფაქტიურად კი მუშაობს მხოლოდ 2 კაცი.

მნიშვნელოვანი დარგია სახელმწიფოებრივ მოღვაწეობის, ვინაიდან საკრიმინალო და საპენიტენციარო სამართალი ეხება ადამიანის უძვირფასეს განძს, როგორც არის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, თავისუფლება, პიროვნების ღირსება. თუ ეკონომიკა ფუძეა სახელმწიფოს კეთილდღეობის, დანაშაულობა საზომია მისი ჯანსაღობის.

მაგრამ აქ შეიძლება დაისვას საკითხი, საჭიროა თუ არა საპენიტენციარო სამართლის ცალკე საგნად სწავლება, თუ საკმარისია ასეთი ცოდნის გადაცემა საკრიმინალო სამართლის ფარგლებში. მომავალ ყრილობაზე ესა და ამისგან გამომდინარე საკითხები იქნება განხილული. ჩვენ ვიცით, რომ სოციალური მეცნიერებები იშუა ერთი მეორისგან. თუ საპენიტენციარო სამართალი იმდენად მომწიფდა, რომ დაბადებულად უნდა ჩაითვალოს. მაშინ, რასაკვირველია, იგი ცალკე საგნად უნდა არსებობდეს უნივერსიტეტებში.

ამ მოკლე წერილში ჩვენ ვერ განვიხილავთ ვრცლად ამ საკითხს, მაგრამ რადგან ეს საკითხი დაკავშირებულია იმასთან, როგორ უყურებს საბჭოთა ხელისუფლება საერთოდ საპენიტენციარო საქმეს, საპენიტენციარო ყრილობას და სამეცნიერო მუშაობას ამ დარგში, არ იქნება ზედმეტი გაკვირვებით შევხვით ამ საკითხს.

ძველ სამართალში დამნაშავეს პასუხისმგებლობა დაფუძნებულია **მორალურ ბრალეულობის** ცნებაზე. ამიტომ იქ მთავარია ბრალეულობის და სასჯელის რაოდენობის გადაწყვეტა, რაც სასამართლოს ფუნქციას შეად-

გენს, ხოლო განაჩენის ასრულება ნაკლებად მნიშვნელოვან საქმედ ითვლება. იმ სახელმწიფოებში, სადაც ასეთი სამართალია, განაჩენის ასრულება ხდება რეგლამენტის ან წესდების ძალით, ამ საქმეს განაგებს დამოუკიდებლად რომელიმე სამინისტრო და შესაძლებელი ხდება თვითნებობა. საბჭოთა სამართალმა **უკუაგდო ბრალეულობის და სასჯელის** ცნება, დანაშაულის წინააღმდეგ უფლებრივ ბრძოლას საფუძვლად უდევს სოციალურ დაცვის ცნებას და მიმართავს სასჯელის ცნების ნაცვლად სოციალურ დაცვის ღონისძიების ცნებას. აქ უკვე არ არის მთავარი მორალურ ბრალეულობის და დამსახურებულ სასჯელის ზუსტად განსაზღვრა. დანაშაულის წინააღმდეგ უფლებრივ ბრძოლაში თავიდან ბოლომდე სახელმძღვანელოა **მიზანშეწონილობის** პრინციპი. ამიტომ, თუ მთელ ამ ბრძოლის პროცესს გავყოფთ ორ პერიოდით—განაჩენის გამოტანამდე და ამის შემდგომით—ჩვენ ვერ ვიტყვიტომ რომ საბჭოთა კანონმდებელი მეტ მნიშვნელობას პირველ პერიოდს აძლევდეს. ორივე პერიოდს თანაბარი მნიშვნელობა აქვს. გარეგნულად ეს გამოიხატება იმაში, რომ საპენიტენციარო საქმეს, როგორც აგრეთვე სასამართლო საქმეს, აწესრიგებს **კოდექსი** და არა ძველებურად რეგლამენტი ან წესდება. ამით კანონმდებელმა საპენიტენციარო საქმის მნიშვნელობა ასწია სასამართლო საქმის დონემდე:

პრაქტიკამ დაამტკიცა ძველი აზროვნების უვარგისობა ამ დარგში და გადააგდო ეს აზროვნება მეორე

**კონკრეტი ღონისძიებანი:**

9. **ზუგდილის კამერა:** მუშაობა ფაქტიურად სწარმოებს ა. წ. 28 მარტიდან. სასამართლოს შენობის დაწვის დროს დაიწვა აგრეთვე კამერის წიგნიც, რის გამო წარსული მუშაობის შესახებ ცნობებს მიღება არ შეიძლებოდა.

ჩრევა-დარიგება ამ ხნის განმავლობაში მიცემულია —100. სასამართლოს მიერ დაშვებულია ერთი უმუშევარი ფასიანი სამუშაო მიდის მის სასარგებლოდ.

10. **საჩხერის**, 11. **აბაშის** და 12. **ჭრებალოს** კამერების მდგომარეობა არ ყოფილა გამორკვეული.

საერთოდ მატერიალური მდგომარეობა დამკველების მძიმეა. ზოგიერთი წევრები განიცდიან დიდს ნივთიერ გაჭირვებას, ზოგიერთებს კი აქვთ კარგი პრაქტიკა, სახლები, მიწის ნორმები, ხილის ბაღი, საქონელი, წისქვილები, ფუტკარი და სხვა. ზოგიერთები მსახურობენ და არაფერი აქვთ საერთო სასამართლოებთან.

ზოგიერთ წევრებს მთლიანად უნდა ჩამოეწეროს ძველი დავალიანება, ზოგს უნდა გაუნახევრდეს და ზოგს კი უნდა მიეცეს ვადა.

ურთიერთობა ადგილობრივ ორგანოებთან თითქმის ყველგან ნორმალურია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთ გამონაკლისს აგრეთვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფრიად მნიშვნელოვანი მუშაობა, რომელსაც აწარმოებენ დ. კ. წ. სხვადასხვა ორგანოებში, კოოპერაციის საკითხების მოწესრიგებაში, ადგილობრივ საბჭოებში და სხვა.

მუშაობის გასაცხოველებლად საჭიროა განხორციელებულ იქნეს შემდეგი

1. ეთხოვოს იუსტიციის სახ. კომისარს, რათა სათანადო ცირკულარული განკარგულებით მოუხსნოს საშუალება ფარულ „აბლაკატებს“ სასამართლოებში მუშაობისა.

2. ეთხოვოს უზენაეს სასამართლოს და კომისარიატს მიიღონ ზომები, რათა სასამართლოებში არ იქნენ დაშვებული სამუშაოდ კომისიის მიერ გაპორიცხული პირები და აგრეთვე კერძოდ მიეწეროს ჭიათურის სახ. სასამართლოს დაუყოვნებლივ მოხსნას ის უმუშევარი, რომელიც მუშაობს საკონსულტაციო კამერაში პრეზიდენტის ნებადაურთველად.

3. გამოყოფილ იქნეს კომისია პრეზიდენტის შედგენილობიდან, რომელსაც დაევალოს მოკლე ხანში შეიმუშავოს კამერებისათვის სათანადო წესი მუშაობის გაძლიერების მიზნით.

4. საწევრო გადასახადის სისტემატიურად შემოუტანლობის გამო გამოირიცხონ დროებით ის წევრები, რომლებსაც 3 თვის განმავლობაში არ შემოუტანიათ საწევრო გადასახადი.

5. აგრეთვე გამორკვეულ იქნეს დამკველთა კოლეგიის იმ წევრების მდგომარეობა, რომლებიც მსახურობენ სხვადასხვა დაწესებულებებში.

6. სასტიკათ უნდა აეკრძალოს დამკველთა კოლეგიის წევრებს თავის ნებით ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადასვლა სამუშაოდ.

უკიდურესობაში: განუსაზღვრელ განაჩენის მოთხოვნაში, როდესაც პატიმრის ბედი განსაზღვრულ ფარგლებში ვადის მხრივ საესეებით საპატიმრო მართველობის ორგანოების ხელშია. საბჭოთა კანონმდებლობამ მიიღო საშუალო მდგომარეობა: სასამართლო საზღვრავს დაპატიმრების ან დაუპატიმრებლად იძულებითი მუშაობის ვადას, ხოლო განსაკუთრებულ საუწყებათაშორის კომისიას, სასამართლოს წარმომადგენლების მონაწილეობით, დაკისრებული აქვს თვალყური ადევნოს განაჩენის ასრულებას და ზომები მიიღოს პატიმრობისგან ან დაუპატიმრებლად იძულებით მუშაობისგან გასანთავისუფლებლად იმ წამიდან, რა წამიდანაც ასეთი ღონისძიების გაგრძელება არა-მიზანშეწონილია. ამ საკითხის გადაწყვეტა, განსაზღვრულ შემთხვევებში, შეადგენს უშუალოდ კომისიის კომპეტენციას. განმანაწილებელი კომისია, რომელიც ხელმძღვანელი და გამაწყვეტი ორგანოა საბჭოთა საპენიტენციარო პროგრესიულ სისტემის გატარებისა, არის საბჭოთა კანონმდებლობის წმინდა ნაყოფი, რომლის ბადალი არც ერთ სახელმწიფოში არ არსებობს. სასამართლოს სფეროდან ნაწილი მოღვაწეობისა გადატანილია საპენიტენციარო მოღვაწეობის სფეროში.

საპენიტენციარო დარგი არსებობს საბჭოთა რესპუბლიკაში ცალკე და თანაბარ მნიშვნელობით სასამართლო მოღვაწეობასთან, ამიტომ იგი უნდა იყოს საგანი (ობიექტი) ცალკე არსებულ სამეცნიერო დარგისა. ყოველ სამეცნიერო დარგს ახასიათებს ობიექტი და მეთოდი. ჩვენ აღვნიშნეთ, რა საპენიტენციარო სამართალს აქვს თავისი საგანი. აქვს თუ არა მას სამეცნიერო მეთოდი? თუ საკრიმინალო სამართალი მიმართავს უმთავრესად დაკვირვებას და სტატისტიკას, საპენიტენციარო სამართალი ერთადერთი დარგია სოციალურ მეცნიერებათა შორის, რომელიც ხმარობს ცდას და ამ მხრივ იგი უახლოვდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგს, რაც მისი უპირატესობაა. ამრიგად, საპენიტენციარო სამართალს აქვს თავისი საგანი და მეთოდი, ამიტომ იგი უნდა არსებობდეს ცალკე საგნად უნივერსიტეტში. უნდა მივალწიოთ იმ მდგომარეობას, რომ საპენიტენციარო საქმე იყოს საკირო დონეზე, რომ სასამართლოს განაჩენის ასრულების საქმე იყოს მეცნიერულად მომზადებულ პირების ხელში, როგორც ეს უნდა იყოს სასამართლოს საქმის მიმართ.

ეს საკითხები ავტორიტეტულად იქნება გადაწყვეტილი საპენიტენციარო ყრილობაზე საკრიმინალო (სადანაშაულო) და საპენიტენციარო სამართლის პროფესორების მონაწილეობით.

ყრილობის პროგრამაში შედის მრავალი სხვა ვრცად საინტერესო საკითხები. მე იმათ გაკვირთაც ვერ შევებები ამ წერილში.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ყრილობასთან პარალელურად ეწყობა პატიმრების ნაწარმოების გამოფენა.

განზრახულია დელეგატების გაგზავნა ჩვენი რესპუბლიკიდან როგორც საპატიმროთა სამმართველოსგან, ისე პატიმართა დამხმარე კომიტეტისგან.

უკვე იგზავნება ექსპონატები პატიმართა ნაწარმოების გამოფენაზე. ჩვენი რესპუბლიკის მონაწილეობა ამ ყრილობაში აუცილებელია.

ლ. შურღაია.

**დაკითხვის ტექნიკა, მისი მნიშვნელობა და შედეგები<sup>1)</sup>.**

(მოწმე და ბრალდებული)

თუ როგორ უნდა იქნეს დაკითხული სასამართლოში მოწმე ან ბრალდებული, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართლის საქმეებში. ამ წერილში ჩვენ შევეხებით კერძოდ მოწმის დაკითხვის საკითხს და რამდენადაც შესაძლებელი იქნება უფრო ფართოდ გავაშუქებთ იმ უმთავრეს საშუალებებს, რომელიც უნდა ვიხმაროთ ბრალდებულის დაკითხვის დროს.

მოწმის ჩვენებას, როგორც დამამტკიცებელი საბუთის ერთ ერთს უმთავრეს სახეობას, სამართლის ისტორიაში თანდათანობით უფრო და უფრო დიდი მნიშვნელობა ეძლევა. საბჭოთა სამართალიც მოწმის ჩვენებას, როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის საქმეებში, სთვლის დამამტკიცებელ საბუთების ერთ-ერთ მთავარ სახეობად. ჩვენი კანონის თანახმად მოწმის ჩვენებით შეიძლება ისეთი საფრთხილო ფაქტის დადასტურებაც, როგორიცაა, მაგალითად, მამობის დადასტურება ალიმენტების საქმეში (თუ რასაკვირველია არ მოიპოვება ურყევი დამამტკიცებელი საბუთები, როგორც, მაგ., ინტიმური მიმოწერა მოდავე მხარეთა შორის)<sup>2)</sup> სისხლის სამართლის საქმეები-კი სხვა საფუძველთან ერთად მოწმის ჩვენების ნიადაგზე ჰხდება პასუხისგებაში მიცემულის სიკვდილსიცოცხლის, ღირსებისა და თავისუფლების საკითხის გადაჭრა. და აი როდესაც მოწმის ჩვენებას ასეთი გამაწყვეტი მნიშვნელობა აქვს, მას რაც შეიძლება მეტის სიფრთხილით, ანალიზით და ერთგვარი კრიტიკით უნდა მოვექცეთ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, რათა მოწმისაგან მივიღოთ საქმისათვის საჭირო უტყუარი და ნათელი ჩვენება.

ვერობის ქვეყნებში, რათა მეტი გარანტია იქნეს, რომ მოწმემ სასამართლოს მიაწოდებს სწორს ჩვენებას, შემოღებულია მოწმის დაკითხვამდე მისი დაფიცება, ასეთივე წესი იყო შემოღებული მეფის რუსეთშიც. ფიცის უკუგდებასთან ერთად საბჭოთა კანონმდებლობამ შემოიღო სხვა საშუალება, რომლითაც სასამართლოს წინაშე ჩვენების მიცემამდე მოწმე გაფრთხილებული უნდა იქნეს სათანადო ხელწერილის ჩამორთმევით (სის. სამ. საპ. კ. მუხ. მუხ. 164, 274 და სამ. სამ. საპ. კ. მუხ. 133), ექვს გარეშეა, რომ ეს საშუალება გაცილებით უფრო საღია და მისი შედეგებიც აუცილებლად უფრო ნაყოფიერია ვიდრე მთელი რელიგიური პროცედურა—ფიცი, მაგრამ საუბედუროდ ზოგიერთი ჩვენი სასამართლო ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს ისე ასრულებს, თითქოს რომელიმე და-

<sup>1)</sup> დისკუსიის წესით.

<sup>2)</sup> რაც შეეხება მამობის დადასტურებას სისხლის გასინჯვის საშუალებით (იზოგემოაგლიუტინაცია) ჯერ-ჯერობით გამოურკვეველ და სადაო საკითხს წარმოადგენს და ამიტომ ს. ს. რ. კ. სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატი უკრძალავს თავის ორგანოებს სისხლის გასინჯვის შედეგების შესახებ ოფიციალურ ცნობების გაცემასა-იუსტიციის კომისარიატი-კი წინადადებას აძლევს სასამართლოს ორ განოებს, რათა მათ სისხლის გასინჯვით ალიმენტების საკითხში, როგორც დამამტკიცებელი საბუთით, არ ისარგებლონ (ი. ს. კ. ცირ № 120 25 წ.).



წესებულება უმნიშვნელო ანკეტას ავსებს, იმ დროს, როდესაც გაფრთხილებას, თუ-კი ის სათანადოდ შესრულებული იქნება, დიდი და თითქმის გამომწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ჩვენ აქ იმას თქმა-კი არ გვინდა, რომ სასამართლო არ ასრულებს ფორმალურად ამ პროცოდურას, არამედ ლაპარაკი იმაზეა, რომ მრავალ-ჯერ ეს მნიშვნელოვანი საპროცესო ფორმალობა „კაზიონურად სრულდება“.

შესაძლებელია, რომ ყოველ დღე ერთის და იმისავე განმეორება მეტად მოსაბეზრებელი იყოს, მაგრამ რადგანაც ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ამიტომ აუცილებელია, რომ ყველას გამოეცხადოს გაფრთხილება არა ტრაფარეტულად, არამედ მდაბიო ენით და სათანადო განმარტებით, თუ როგორ ჩვენებას თხოულობს სასამართლო და თუ რა შედეგი მოჰყვება მის არა-სწორს ჩვენებას. ეს კი შესრულებულია, თუ კი დაკითხვის წინ სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლი (ძველი 185, ახალი 95) ფართოდ განემარტება მოწმეს, სულ სხვა გავლენა და შედეგები ექნება ისეთ განმარტებას, რომელიც მოწმეს გააგებინებს, რომ ტყუილი ჩვენებისთვის მას ელის თავისუფლების აღკვეთა ამდენი და ამდენი ვადით.

ყველას, ვისაც უხდება მოწმის დაკითხვა, თვალწინ უნდა უდგეს ორი აუცილებელი ამოცანა, რომელიც თავის გარეგნული გამოხატულებით ძალიან დაშორებულია ერთი მეორეს, ხოლო მეორეს მხრივ ერთი უმეორისოდ არ ვარგა. რას წარმოადგენენ ეს ამოცანები და რა გზით უნდა იქნენ ისინი შესრულებულნი?

როდესაც სასამართლოს წარუდგება ესა თუ ის პირი ჩვენების მისაცემად, მას აუცილებლივ სასამართლოსადმი უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული პატივისცემა, იგი უნდა გრძნობდეს მის ძალას და სათანადო შემთხვევებში მის სიმკაცრესაც. ყველა ეს დამკითხველმა დასაკითხავს აუცილებლივ უნდა აგრძნობინოს, შთააგონოს, ეს არის პირველი ამოცანა, რომელიც დამკითხველმა აუცილებლივ უნდა შეასრულოს და ამით დასაკითხავი პირი ჩააყენოს ისეთ მდგომარეობაში, რომ იგი ჩვენების მიცემის დროს გრძნობდეს, თუ ვის წინაშე სდგას იგი და რა შედეგებ, მოჰყვება მის არა სწორს ჩვენებას. ეს ამოცანა სულ ადივილი მისაღწევია, თუ რომ დამკითხველი მოიქცევა ისე-როგორც ჩვენ ზევით აღვნიშნეთ (მდაბიო ენით განმარტება, ახსნა სათანადო მუხლის ძალისა და სხვ.); მაგრამ ამასთან, დამკითხველს არას დროს არ უნდა დაავიწყდეს ის გარემოება, რომ ამ ამოცანასთან აუცილებლად დაკავშირებულია და განუყოფელია მეორე ამოცანა. ჩვენების მიცემის დროს ესა თუ ის პირი იჩენს ერთგვარ მღელვარებას, მეორე—სიფრთხილეს და სხვა, რაც აუცილებლივ საგრძნობს დალს აჩენს მოწმის მთელს ჩვენებას. რაოა აცილებულ იქნეს თავიდან საქმისთვის ეს არა სასურველი მოვლენები, დამკითხველმა ასეთი მოწმეთა კატეგორია (განსაკუთრებით მდაბიო ხალხი) უნდა გაამხნევოს და რაც შეიძლება მოინადიროს თავისკენ და ამით მას, მოწმეს ჩვენება თავისუფლად ათქმევინოს. აი ის ორი ამოცანა, რომელიც აუცილებლივ უნდა შეითვისოს ყოველმა დამკითხველმა, განსაკუთრებით-კი სასამართლომ თავის სამჯავრო გამოძიების დროს, და თუ ეს მიღწეული იქნება,

დარწმუნებული უნდა ვიყვეთ, რომ ასეთი დაკითხვის საშუალებით ამა თუ იმ მოწმისაგან ჩვენ მივიღებთ გადასაწყვეტი საქმისათვის ჭეშმარიტსა და სრულს ჩვენებას.

საუბედუროდ ბევრი დამკითხველი (განსაკუთრებით პროვინციაში მომუშავე) ვერ იქცევა წესიერად და მოწმეს ზევითან ქვევით მედიდურად უყურებს და ამით არასასურველ მდგომარეობას ქმნის გადასაწყვეტ საქმისთვის. მოწმის დაკითხვის შესახებ აქ მეტს არაფერს ვიტყვით, მხოლოდ როდესაც ლაპარაკი გვექნება ბრალდებულის დაკითხვის შესახებ, ზოგიერთ საშუალებებს შეძლებისამებრ გავავრცელებთ მოწმეთა ზოგი კატეგორიის დაკითხვაზე-დაც. აქ მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ ხაზგასმით, რომ ის ორი ამოცანა, რომელზედაც ზევით იყო ლაპარაკი, უნდა ახსოვდეს, როგორც სასამართლოს წევრებს, ისე პროცესში მონაწილე მხარეებს. ესეა გადავიდეთ იმ საკითხზე, თუ როგორ უნდა ვაწარმოოთ ბრალდებულის დაკითხვა.

ბოროტმოქმედების ჩადენის მიზეზები ფრიად მრავალფეროვანია, მაგრამ ისინი თითქოს იკვანძებიან და შესდგებიან ორი მთავარი ფესვისაგან: ერთი მოთავსებულია ბოროტმოქმედის პიროვნებაში და ბოროტმოქმედის კონსტიტუციის განსხვავებულ თვისებისაგან შესდგება; მეორე-კი გარეგანი ფაქტებისაგან, რომლებიც ხელს უწყობენ პიროვნებას დანაშაული ჩაიდინოს. პირველ ელემენტებს ეწოდება ენდოგენიური ფაქტორები მეორე ელემენტებს-კი ეწოდება დანაშაულის ექსოგენიური ფაქტორები. აი ის ორი მთავარი ფაქტორი, რომლის გავლენით ჰხდება ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვა და სხვა სახის დანაშაული, ხოლო ამა თუ იმ შემთხვევაში დანაშაულის ჩადენისას მთავარი მნიშვნელობა აქვს ან ერთს-ენდოგენიურს ან მეორეს-ექსოგენიურ ფაქტორს. დანაშაულის ჩამდენნი უფრო ხშირად ისეთ პირთა კატეგორიას ეკუთვნიან, რომლების კონსტიტუციაში მრავლად მოიპოვება ენდოგენიური ფაქტორები. რასაკვირველია, ამასთან ერთად ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს ის გარემოება, რომ დანაშაულის ჩადენას ხელს უწყობენ და აადვილებენ ის გარეგანი მოვლენანი, რომელნიც ახლოს არიან დანაშაულის ჩამდენთან. უპარველესად ასეთი მოვლენები სოციალური პირობანია, მაგრამ მაინც არც ერთი დანაშაულის ახსნა ჩვენ არ შეგვიძლიან მხოლოდ გარეგანი მოვლენებით და გვერდი ავუქციოთ ბოროტმოქმედის ბუნებას, მის კონსტიტუციას მართლაც დანაშაულის ჩადენას გარეგანი მოვლენები რომ ხელს უწყობდეს, დანაშაული მაინც არ მოხდება, თუ ამას უმთავრესად ხელი არ შეუწყობ ბოროტმოქმედის პიროვნებამ. ავიღოთ მაგალითისთვის ორი პიროვნება და ორივე ჩავაყენოთ ერთსა და იმავე პირობებში. ერთი არ ჩაიდენს დანაშაულს, მის პიროვნებაში აუცილებლივ თავს იჩენს მისი კონსტიტუციის კრიმინოგენული ელემენტები, რომლებიც დასძლევენ დანაშაულობისადმი მიდრეკილებას, თუ პიროვნების კონსტიტუციაში ეს კრიმინოგენული ელემენტები ძალიან სუსტია ან სრულებით არ მოიპოვება, იგი ჩაიდენს დანაშაულს და მოიქმედებს ამას თითქმის მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვისაც. რეალურ ცხოვრებაში ჩვენ საქმე გვაქვს ბოროტმოქმედთა ორ კატეგორიასთან. აი ზოგა-

დათ ეს ორი კატეგორია დამნაშავეთა: ა) როზელთაც დანაშნული ჩაუდენიათ გარდუვალი მოგერების მიზნით, შეურაცხადს მდგომარეობაში, აუექტის გაელენით და სხ. ბ) რომელთაც დანაშაული ჩაუდენიათ ანგარებით, წინასწარი განზრახვით, მრავალჯერ (რეციდივი) და სხ. ჩვენ მთავარი ყურადღება ბოროტმომქმედთა კატეგორიებად დაყოფას იმიტომ მივაქციეთ, რომ ვავითვალისწინოთ, თუ როგორია დამნაშავეთა ესა თუ ის სახეობა და როგორ უნდა ვაწარმოოთ მათი დაკითხვა: „ა“ ჯგუფის დამნაშავენი მეტ ნაწილად შესაბრალოსნი არიან, მათ დანაშაული უნებურათ ჩაუდენიათ და გამოფხიზლებულნი—თავზარდაცემულნი დგანან ფაქტის წინაშე და თუ სასამართლო ოდნავ მოხერხებულად დაჰკითხავს მათ, ის, სწორსა და საქმისათვის საჭირო ჩვენებას მიიღებს. ხოლო დაკითხვის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საშუალება ამ შემთხვევაში უფრო ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული, ვინაიდან ბრალდებული ხშირად ერთგვარ უნდობლობას გრძნობს სასამართლოსადმი, იგი ფექრობს, რომ სასამართლოსა და მხარეებს აინტერესებს მარტოდენ მისი ბრალდებულის, სასტიკი დასჯა. ასეთია უპეტეს შემთხვევაში ბრალდებულის ფსიქიკა და ამიტომ ერთ-ერთს საშუალებას დაკითხვისას ბრალდებულის სასამართლოსადმი განწყობილებას საქმისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იმ დამნაშავეთა შორის, რომელნიც ჩვენ „ა“ ჯგუფში მოვაქციეთ, ხშირად ისეთებიცაა, რომელნიც ამა თუ იმ მიზეზის გამო ფარავენ თავიანთ დანაშაულს და ამით, რასაკვირველია, მეტისმეტად ხელს უშლიან საქმის განხილვას, მაგრამ მათი დაკითხვის წესს საშუალებების მიხედვით, ჩვენ აქ არ შევეხებით და ვეცდებით მათზე გავავრცელოთ დაკითხვის ის საშუალებანი, რომელნიც უნდა ვიხმაროთ მეორე ჯგუფის დამნაშავეთა დაკითხვის დროს.

ის პირები, რომელთაც დანაშაულის ჩადენა თითქოს ხელობად გადაქცევიათ, დაკითხვის დროს საშინელ გულჩვილობას იჩენენ, მტკიცედ იცავენ თავის საიდუმლოებას და ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რათა ქეშმარატება დაფარონ და ამით დანაშაულის სიმძიმე თავიდან აიცილინონ. აი სწორედ ამიტომ მათი დაკითხვისას საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილე, ხერხიანობა, გამჭრიახობა, რათა გამორკვეულ იქნეს საქმის ნამდვილი ვითარება. კანონი გვეუბნება მხოლოდ იმას, თუ როგორ უნდა სწარმოებდეს დაკითხვა და როგორ არ უნდა იქნეს გამოძიებული ქეშმარიტება, მაგრამ კანონმდებელი ამით არ ზღუდავს დამკითხველს, მის ინიციატივას, დაკითხვის საშუალებებს, არამედ იგი სათანადო ნორმების მეშვეობით საზღვრავს იმას, რის გადალახვაც კანონით დაუშვებელია. ამ საზღვრამდის-კი დამკითხველმა უნდა იმოქმედოს თავისი შეხედულებით, იხმაროს საქმის სამართლიანი გადაწყვეტისთვის სხვა და სხვა საშუალებანი და სიფრთხილით და გამჭრიახობით მოიქცეს. დავუბრუნდეთ იმ საკითხს, თუ როგორ დავკითხოთ ისეთს ბრალდებულს, რომელთაც განუზრახვით სწორი ჩვენება არ მისცენ სასამართლოს, მაგრამ სანამ ამ საკითხს არსებითად შევეხებოდეთ, განვიხილოთ ერთი რამ. რატომ ფარავს დამნაშავე მის მიერ ჩადენილ დანაშაულს? ამ კითხვის პასუხი

მრავალნაირია, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ზოგიერთს აღვნიშნავთ: ა) მას არ სურს გამოტყდეს, ვინაიდან სასჯელის ეშინია, ბ) მას არ სურს სიმართლე სთქვას, ვინაიდან ამ სიმართლით ჩააბნის თავის ამხანაგს-დამნაშავეს (ამას ის ჩადის ან ამხანაგურად გრძნობს ან კიდევ შიშის ზეგავლენით) გ) იგი არ ამბობს სიმართლეს იმ იმედით, რომ მის მიერ ჩადენილი დანაშაული ჯეროვნად ვერ გამოირკვევა და მას სასჯელი აცდება და სხ. აი სწორედ აქ არის საჭირო ვიხმაროთ ყოველი ღონისძიება, რათა მოხერხებული გზით ჩავევდეთ ბრალდებულის საიდუმლოების სიღრმეს და ამოვიღოთ საჭირო ცნობები, რომელიც სარჩულად დაედება განაჩენს.

I. მრავალწლოვანი პრაქტიკის დაკვირვება და დამნაშავის პიროვნების მეცნიერული შესწავლა გვაძლევს დამნაშავის დაკითხვის სხვა და სხვა საშუალებას. თავის საინტერესო წერილში „დამნაშავის დაკითხვის პსიქოლოგია სისხლის სამართლის პროცესში“ (დაბეჭდილია ჟურნალში „სამართალი და ცხოვრება“ № № 3—4 1924 წ.) პროფ. ლიპმანი ამბობს, რომ სხდომის თავმჯდომარის მთავარ ამოცანას შეადგენს—დაეხმაროს დამნაშავეს, რათა მან ამოსთქვას მთლად, თუ რა იცის საქმეზე; ამისათვის უპირველესად ყოველისა მან საშუალება უნდა მისცეს დამნაშავეს დალაგებოთ სთქვას თავის თავზე ყველაფერი ის, რაც იცის იმისთვის, რომ დაბნეული, აღელვებული და უნდობლად განწყობილი ადამიანი ავალაპარაკოთ, საჭიროა, რომ მასში აღძვრათ ჩვენდამი ნდობა და კეთილგანწყობილება, რბილი მოქცევა დამნაშავისადმი არის ერთად ერთი დასაშვები საშუალება, სიმკაცრე და უხეშობა-კი უუხსავდება. თუ მოსამართლემ მიიღო დამნაშავისაგან მიცემულ შეკითხვაზე პასუხი და გარდა ამისა თუ დამნაშავე დალაგებულად ამბობს ყველაფერს მაშინ მოსამართლეთა განკარგულებაშია ფრიად მნიშვნელოვანი მასალა საქმის გამორკვევისათვის, რაც საშუალებას აძლევს სასამართლოს, რომ გამოკვეული იქნეს დამნაშავის პიროვნება; ასეთი ჩვენება მაინც მოგვეცეს ერთგვარ ძაფს რომ გავიგოთ დამნაშავის ფსიქიკური თვისებანი. დამნაშავისადმი ცალ-ცალკე კითხვების მიცემას დამამტკიცებელი მასალის მიხედვით ლაპმანი მიზანშეწონილად სთვლის მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ბეჯითად გადასინჯული იქნება მთელი დამამტკიცებელი მასალა, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო იძულებული იქნებ დემყაროს წერილობით მასალაზე, რომლის ქეშმარიტება ჯერ სათანადოდ არ არის გამორკვეული და სასამართლო ამნაირად ადვილად გადაიქცევა ბრალმდებელად. ლიპმანის აზრით, როგორც ბრალდებულის, ისე მოწმის დაკითხვისას ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, თუ საიდან იცის ბრალდებულმა ან მოწმემ ის, რასაც ლაპარაკობს, ამ ცოდნის წყაროები აძლევენ სასამართლოს საიმედო მასალას. პროფ. ლიპმანის მიერ აღნიშნული დაკითხვის საშუალება მეტად საყურადღებოა და მას ყოველთვის უნდა ვიხმაროდეთ საქმის სწორი გამორკვევისათვის.

II. დამნაშავე, რომელსაც გადაუწყვეტია ქეშმარიტება დაფაროს, ცდილობს არაფერი წამოცდეს და ამიტომ აქ უნდა ვიხმაროთ ისეთი საშუალება, რომ დამნაშავე



გამოვიყვანოთ ასეთი მდგომარეობიდან და საქმისათვის საჭირო ცნობები ვათქვეფინოთ. ამისთვის დამკვითხველმა უნდა წარუდგინოს მას არა პირდაპირი მხილება, რათა დამნაშავემ ამის საწინააღმდეგოთ წააყენოს თავისი არ-გუმენტები. რამდენადაც ძლიერია წარდგენილი მხილება, იმდენად უფრო ვრცელი განმარტება დასჭირდება დამნა-შავეს, იგი დაიბნევა წინააღმდეგობებში, თავის უნებურად სიმართლეს იტყვის ან უკიდურეს შემთხვევაში, შეიძლება თვით მის წინააღმდეგობებში გამოვარკვიოთ ჭეშმარიტე-ბა, ამნაირად ეს საშუალება ყოველთვის ნაყოფიერია და წარმოადგენს **დაკითხვის ტაქტიკის გამოცდილ წესს.**

III. სიცრუე აუცილებელი ატრიბუტია იმ დამნაშა-ვის ჩვენებისა, რომელსაც წინასწარი განზრახვით უნდა ჭეშმარიტება დაფაროს და სასამართლო შეცდომაში შეი-ყვანოს: ამიტომ დამკითხველი უნდა სცდილობდეს, რომ ეს სიცრუე გამოაშკარავებულ იქნეს, ამისთვის ჩვენ ხელს შეგვიწყობს, თუ ბრალდებულს ვალაპარაკებთ იმ გარე-მოებათა შესახებ, რომელნიც დანაშაულს თან სდევნენ, ძა-ლიან ხშირად პიროვნება, რომელიც იძლევა ჩვენებას, ვერ ითვალისწინებს ასეთს გარემოებას და მის შესახებ აუცი-ლებლივ რასმე იტყვის,— ასე რომ წინააღმდეგობათა გა-მორკვევისას ადვილად შეიძლება დამნაშავე დაეყოლიოთ დანაშაულის აღიარებაზედ.

IV. ბრალდებულისაგან საჭირო მასალის მიღებისა-თვის აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს **მოულოდნელი კითხვების** მიცემას, მაგრამ დამკითხველმა კითხვები გა-ნუთრეველად და უხვად კი არ უნდა დააყაროს ბრალდებ-ულს არამედ ამ დროს უნდა იხელმძღვანელოს სათანადო **გეგმა**: დაკითხვის ტაქტიკა მოითხოვს დახელოვნებულ თავდასხმას, სადაც საჭიროა ერთგვარი **თავდაჭერა** (ВЫ-держка) **დროს** შერჩევა და **სათანადო გარემო-პირობების შექმნა.**

V. ახალი მიმართულების მიხედვით რომლთაც უკუ-გდებულა ვიწრო ფორმალური წესები და რომელიც შე-თვისებულია საბჭოთა სამართლის მიერ დამკითხველი არ არის შეზღუდული განსაკუთრებული ვიწრო ფორმალ-ობით, მას შეუძლია, თუ კი ამას მოითხოვს საჭიროება, იხ-მაროს კითხვების სხვა და სხვა ხერხი, მაგ. **სუგესტიური** ან **კატატიური** კითხვები.

**სუგესტიური** ანუ მიმხვედრელი კითხვები ისეთებია, რომელნიც დასაკითხავ პირის თითქოს უკარნახებენ, თუ დამკითხველისთვის როგორი პასუხია საჭირო, **კატატიური** ანუ გამომჭერი კითხვები კი ისეთებია, რომელნიც თავის წინაარსით სწორია, მაგრამ მათში ისეთი რამ იმალება, რაიც ეწინააღმდეგება ლოლიკის გარდუვალ მოთხოვნილე-ბას, ასეთი კითხვების მიცემას ზოგიერთ შემთხვევაში ნაყოფიერი შედეგები მოაქვს, მათი შემწეობით ადვილად გამოირკვევა ხოლმე ისეთი თითქოს უმნიშვნელო ფაქტი დანაშაულისა, რომელიც ბრალდებულის დამნაშავეობას გამოაშკარავებს. ეს კითხვები დაკითხვის გარდუვალ სა-შუალებას არ წარმოადგენენ, ვინაიდან მათ ზოგიერთ შემ-თხვევაში არა სასურველი შედეგი მოყვება ხოლმე, რო-გორც, მაგ., ჩვენების დაბნევა და სხვ., მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ მათ მრავალი შემთხვევაში შეუძლიანთ ნა-ყოფიერი შედეგები მოგვცენ, ხოლო ეს ნაყოფიერება

დამოკიდებულია იმაზე თუ როგორ და რა დროს იხმარს მათ დამკითხველი. მაგ., თუ ბრალდებული ვრცლად მოუ-თხრობს სასამართლოს დანაშაულის ამბავს ამ დროს ზე-მთ აღნიშნული კითხვების მიცემა მაგნიბელია, ხოლო როდესაც ბრალდებული მიკიბულ-მოკიბულ პასუხებს იძ-ლევა, ასეთი კითხვების მიცემა აუცილებლივ სასურველ ნაყოფს გამოიღებს.

ასეთია ზოგადად ის საშუალებანი, რომელნიც საჭი-რო დროს უნდა იხმარონ სასამართლომ და მხარეებმა, რათა საქმე არ გაქიანურდეს ჭეშმარიტება, გამოირკვეს უდანაშაულო არ დაისაჯოს და დამნაშავეს-კი სამართ-ლიანი სასჯელი მიეზღოს.

ალ. ჭიჭინაძე.

### მიწის ყიდვა-გაყიდვის შესახებ

ჩვენ ვიცით, რომ მიწა აღიარებულია სახელმწიფო კუთვნილება, რომ იგი გამორიცხულია სამოქალაქო ბრუნვიდან; ისიც ვიცით, რომ მიწის, ადგილ-მამულის ყიდვა გაყიდვისათვის დაწესებულია ორნაირი და სამნაირი სასჯელი: დაპატიმრება ორ წლამდე, კონფისკაცია და სახელმწიფო ფონდში გადარიცხვა გაყიდულ მიწისა და აღმასკომის სასარგებლოდ გადახდევინება გამყიდვე-ლისაგან ნასყიდობის ფულისა. მიუხედავად ასეთი მკაც-რი სასჯელისა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სასამართ-ლოები ამ საკითხში არ იჩენენ ლმობიერებას და მიერე-კებიან დამნაშავეთ გამსახლში, ცხოვრება თავისას არ იშ-ლის და დღე-მუდამ იძლევა ახალ-ახალ ნიმუშებს ყიდვა-გაყიდვის ამკრძალავ კანონის დარღვევისას.

რათა ჰხდებოდა ეს უპირველეს ყოვლისა, ჩვენის ფი-ქრით, ცხადია, რომ კანონი ვერ შეგუებია ცხოვრებას, იგი ვერ იძლევა ამომწურავ დახასიათებას იმ ბოროტ-მოქმედებისას, რომელსაც ეწოდება კანონის მიერ აკრძა-ლული „ყიდვა-გაყიდვა“. მეორეც ისა, რომ სასამართლოებს აკლიათ კლასური მიდგომა საკითხისადმი, ისინი ამ შემ-თხვევაში ეძებენ მხოლოდ ერთს—დამნაშავეს, დანარჩენ გარემოებათ კი, როგორცაა ოდენობა ნასყიდობის ობიე-ქტისა, კლასური მიდგომარეობა დამნაშავეთა მიზანშეწო-ნილობა მეურნეობის თვალსაზრისით ყიდვა გაყიდვის გა-რიგებისა და სხვა, ყურადღებას არ აქცევენ, არც ერთი ასეთი საკითხი მოსამართლის სინილისს არ აწუხებს; ყი-დვა-გაყიდვა დამტკიცდა—მორჩა და გათავდა, მზათ არის სასჯელი, გათვალისწინებული ს. ს. კ. 192 მუხლში.

იყო დრო, რომ ასეთი დამნაშავეებით გავავსეთ გამსახლები. სიმკაცრე სასამართლოებისა ავცა კულმი-ნაციურ წერტილამდე, მაგრამ ბოროტებამ არ იკლო და არც იკლებს, ვიდრე არსებობენ ის მიწეზები, რომლებიც იწვევენ მოვლენას.

შემცდარი იქნება, ვინც იფიქრებს, რომ აღნიშნულ აქ მოვლენებს მარტო ჩვენში, საქართველოში, აქვს ადგილი. არა, დიდი ხანია მიაპყრეს ამ მოვლენებს ყურადღება რუსეთშიც და ერთგვარი გამოსავალიც იპოვეს იმ „ჯადო წრედან“, რომელსაც ეწოდება „მიწის ყიდვა-გაყიდვა“.

ჩვენ ვამბობთ და დღეს რუსეთშიც ასე ფიქრობენ, რომ ყიდვა-გაყიდვაც არის და ყიდვა-გაყიდვაც არის.

ყიღვა-გაყიდვა უქველად დასასჯელი, მკაცრად დასასჯელი და არის ყიღვა-გაყიდვა უმნიშვნელო, ცხოვრების მოთხოვნილებათა აუცილებლობით გამოწვეული, უზარალო სახელმწიფოსთვის და სოციალისტური პრინციპებისთვის. ძველი ქართული ანდაზა „ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი—ორივე ქურდია“, არ არის მართალი. არის ქურდობა მკაცრად დასასჯელი, როგორც ერთგვარი სოციალური ბოროტება, მაგრამ არის ქურდობა თავის შედგენილობით, თავის მოცულობით და დამნაშავეის სოციალური მდგომარეობის მიხედვით იმდენად მცირე, უმნიშვნელო, რომ ასეთი ბოროტმოქმედება ახალი ს. ს. კოდექსის 14 მუხლის ძალით არც ისჯება. მაშასადამე, აი თვით ეს მუხლი აბათილებს იმ პრინციპს, ვითომც „ნემსისა და აქლემის ქურდი ორივე ქურდია“.

ნათქვამიდან ერთი რამ ცხადია და უქველი: სასამართლოები არ უნდა სჯიდნენ ყიღვა გაყიდვისთვის ყველას ერთგვარად, ერთის კაბდოს მოსმით. უნდა შედიოდნენ იმის განკითხვაში, თუ ვინ გაყიდა, რად გაყიდა, რამ აიძულა, რა პიროვნებას წარმოადგენს სოციალურად გამყიდველი, რომელ კლასს ეკუთვნის მყიდველი. თუ ყიღვა-გაყიდვას საფუძვლად უძევს სპეკულიაცია, თუ გარიგებაში ურევია ვაჭარი, ყოფილი მემამულე, ყოფილი ღვდელი და სხვა, რასაკვირველია, აქ სასამართლომ უნდა გამოიჩინოს სიმკაცრე, ვინაიდან ასეთი ქმედობა მოხსენებულ პირებისა მიმართულია საბჭოთა ხელისუფლების სახელმწიფოებრივი პრინციპების წინააღმდეგ. სულ სხვა სახისაა ასეთი ყიღვა-გაყიდვა: ღარიბმა გლეხმა, უსახლკარომ რის ვაი-ვაგლახით იშოვა ცოტაოდენი ფული და აპირებს მოწნული ქოხის დადგმას, რომ ცოლ-შვილს ჭერი გაუჩინოს, მაგრამ დახე მის უბედურობას.— მისი ეზო ისეთი ვიწროა, რომ ქოხი არ გაიმართება, მას ესპირობა ნახევარი არშინი მიწა მეზობლიდან, მისთანავე ღარიბ გლეხისაგან; უკანასკნელიც უთმობს და ამაში ახდევინებს 10 მანეთს. მორიდდებიან. გლეხი იშენებს ქოხს. მაგრამ აგერ ვიღამაც დააბეზლა ისინი აღმასკომში. მაშინვე სდგება სათანადო ოქმი მამულის ყიღვა-გაყიდვად და საქმე გადადის სახალხო სასამართლოში. აი ასეთი საქმე მოსასპობია თუ არა სასამართლოში 14 მუხლის ძალით? ჩვენის ფიქრით, დიდაც მოსასპობია, მაგრამ სინამდვილეში ჩვენ ვხედავთ, რომ სასამართლოები სჯიან ასეთ პირობებშიც, გლეხს ანგრევენებენ ქოხს და 1/2 არშინ მიწის ნაკვეთს გადარიცხავენ სახელმწიფო ფონდში. ამ 1/2 არშინ მიწის გამოყენება შეიძლება მიზან-შეწონილად მხოლოდ იმ სახით, რომ იგი მისცეს ისევ იმ ღარიბ გლეხს, რომელსაც სასამართლომ იგი ჩამოართვა საფონდოთ სასჯელის სახით. მიწის მომწყობი ორგანოები უქველად ასეც მოიქცევიან, ვინაიდან ამას მოითხოვს სამეურნეო მიზან-შეწონილობა.

მოგახსენებთ ნამდვილ ამბავსაც, მიგითითებთ ნამდვილ საქმეზედაც, რომელმაც სასამართლოს ყველა ინსტანცია გაიარა და დამთავრდა დასჯით და მიწის კონფისკაციით. ერთი ანაგელი მეჩუსტე, ღარიბი გლეხი, სთხოვს მეორე ღარიბ გლეხს, მეზობელს, დაუთმოს შარავზის პირას 6 კვადრატული საყენი ადგილი, რომელზედაც ის დასდგამს ფიცრულ ღუქანს და შიგ იმუშავებს.

ითქვა-გაკეთდა საქმე. გლეხი უთმობს საღუქანდ 6 კვ. საყენ მიწას, რომელზედაც მყიდველი აშენებს ფიცრულ ხუხულას—ღუქანს და იქ აკერებს ძველ ჯღანმანს. ადგილის დათმობაში „გამყიდველმა“ აიღო 10 მანეთი. ქვეყანა არ დანგრეულა ამ გარიგებით და სახელმწიფოს არაფერი უზარალნია, მაგრამ გაუგია ეს ამბავი აღმასკომს და მოდის სახალხო სასამართლოში ოქმი მამულის ყიღვა-გაყიდვაზე. სასამართლომ სცნო ბრალდება დამტკიცებულად და გარიგების ორსავე მხარეს მიუსაჯა პატიმრობა და 6 კვ. საყენი მიწა ჩამოართვა და გადარიცხა სახელმწიფო ფონდში. ახლა არ იკითხავთ, როგორია პრაქტიკული შედეგები ამ განაჩენისა? მეჩუსტემ ღუქანი დააქცია და ფიცრები წაიღო, ხოლო სახელმწიფოს რათ უნდა და რაში უნდა გამოიყენოს 6 კვ. საყენი მიწა სოფლად შარა გზის პირად? რასაკვირველია, სახელმწიფო არ გამოკიდებია ამ 6 კვ. საყ. მიწას, ის ისევ დარჩა ძველი პატრონის განკარგულებაში და მხოლოდ საწყალი მეჩუსტე ამბობს: „რათა, რისთვის?“

ჩემი ასეთი შეხედულება მამულის ყიღვა-გაყიდვის ზოგიერთ შემთხვევებზე გავუზიარე ბევრს სახალხო მოსამართლეს, მაგრამ არც ერთმა არ მიიღო ჩემი შეხედულება და გამოსთქვეს მტკიცე რწმენა, რომ მამულის ყიღვა-გაყიდვა მკაცრად უნდა ისჯებოდეს ყოველ შემთხვევაში მიუხედავად პიროვნებისა და საქმის გარემოებისა. დაუმატეს ისიც, რომ ამას მოითხოვს არა თუ მიწის კოდექსი, არამედ ცირკულარებიც იუსტსახკომისა, რომლებიც მოითხოვენ ულმობელობას და სიმტკიცეს ასეთ საქმეებში.

არც ეს არის საბუთი. ეს არ არის სწორი, რევოლუციური, მიდგომა საკითხისადმი აბა ახლა ვადვიხდებით დიდი რუსეთის სინამდვილეში და ვნახოთ, როგორია იქაური პრაქტიკა ამ საკითხებში.

ჩვენ ვსარგებლობთ რ. ს. ფ. რ. უზენაეს სასამართლოს 1926 წლის განმარტებით. <sup>1)</sup> „უზენაესი სასამართლო ჰყოფს ყიღვა-გაყიდვის საქმეებს ორ კატეგორიად: ხან კანონი დარღვეულია შეუვებლობით, უცოდინარობით, გარეშე ბოროტი ნებისყოფისა და არა არის—რა ისეთი, რაც მიდიოდეს წინააღმდეგ მშრომელთა ინტერესებისა. ასეთ შემთხვევებში შესაძლოა არ მივმართოთ სისხლის სამართლით დასჯას. თვით (უკანონო) გარიგება შეიძლება სასამართლოს წინადადებისა და დახმარების საშუალებით ჩამოყალიბდეს სათანადო ფორმაში. მაგალითებურად: დადებულია შინაური გარიგება სოფლად სახლის გაყიდვის შესახებ საბჭოს დაუდასტურებლად და ურეგისტრაციოდ. სასამართლოს შეუძლია ასეთ შემთხვევებში, როდესაც მის წინაშე დგანან მშრომელნი, წინადადება მისცეს თემ-აღმასკომს, რეგისტრაცია უყოს გარიგებას, ე. ი. სასამართლო ეხმარება მშრომელებს და ასწორებს მათ შეცდომას“.

შემდეგ იქვე განაგრძობს რ. ს. ფ. ს. რ. უზენაესი სასამართლო: „ხოლო თუ კანონის დარღვევა იქნება ჩადენილი შემეცნებით, განზრახ, რათა თვალი აუბას კანონს, შეგნებული კაცის მიერ, რომელმაც კანონ-

<sup>1)</sup> იხ. „Крестьянский Юрист“ № 1, 1923 წ. გვ. 12.

ნებიც იცის, მით უმეტეს თუ ეს ხდება სპეკულაციის მიზნით ყოფილ მემამულის მიერ, მაშინ კანონი მოქმედებს მკაცრად“.

ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენი შეხედულება სრულიად მართლდება რ. ს. ფ. რ. უზენაეს სასამართლოს განმარტებებით და მიუღებლად არავის უნდა ეჩვენოს.

სასამართლოების პრაქტიკაში მხოლოდ ერთი შემთხვევა ვიცი, როდესაც მოსამართლემ სწორედ ის შეხედულება გაატარა თავის განაჩენში, რომელსაც ჩვენ ვიცავდით: ბრალი ედებოდათ ღარიბ გლეხებს. ერთს დასჯირდა 7-8 კვ. საყენი სასახლე ადგილის წამატება (სახლი არ იმართებოდა უამისოდ) და სთხოვა მეორეს—წაეკრა მისთვის თავის ეზოდან ეს 7-8 კვ. საყენი. სასამართლოში მხარეები—ბრალდებულები ამბობდნენ: პირველი—კი-არ ვიყიდე, მაჩუქაო და მეორეც ამას ადასტურებდა. მოწმეები ამბობდნენ: ჩვენ გაგონილი გვაქვს, რომ იყიდა 80 მანეთად. ყოველ შემთხვევაში მოსამართლე იღვა დამტკიცებულ ბრალდების წინაშე, ვინაიდან მიწისა არც გაყიდა შეიძლება და არც გაჩუქება, მაგრამ მოსამართლემ მიიღო მხედველობაში ერთი ის, რომ გარიგების საგანი უმნიშვნელოა თავისი ოდენობით (7-8 კვ. საყ.) მეორე რომ ბრალდებულმა უკვე ააშენა ქვიტკირის სახლი, რომლის დაქვევა იქნებოდა გლეხისთვის დიდი უბედურება და დაადგინა ასეთი განაჩენი:

„სასამართლომ მიიღო რა მხედველობაში, რომ ვინაიდან დანაშაული ამ საქმეზე მცირეა და უმნიშვნელო, დაადგინა: თანახმად ს. ს. კ. 14 მუხლისა საქმე ესე წარმოებით მოისპოს“.

საადგილ-მამულო საქმეებში ასეთი ღმობიერი და მიზან-შეწონილი განაჩენი ძლიერ იშვიათია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ მოსამართლეს ხელი შეუწყო რევოლუციური კანონიერების სისწორით გაგებამ და საქმისადმი სწორმა კლასურმა მიდგომამ.

მ. ნახიძე.

## იურიდიული დახმარება

(კითხვა-პასუხი)

### კითხვა.

ორი კომლი არ გასხვავდება ერთმანეთისაგან შემადგენლობის მხრივ, მათ შორის ის განსხვავებაა, რომ ერთი საკუთარი სარგებლობის მიწას პირად ძალეებით ამუშავებს, მეორე კი ასეთ შესაძლებლობას არის მოკლებუ-

ლა და იძულებული ხდება მიწა იჯარით გასცეს. მიუხედავად ამისა, რომ ამ უკანასკნელ კომლს მიწა ნორმაზე მეტი აქვს, ის ვანიცდის გაჭირვებას იმის გამო რომ საიჯარო ქირის სახით იღებს მხოლოდ მოსავლის ერთ მეოთხედს. მეორე კომლი კარგ მდგომარეობაშია, რადგან მთელი მოსავალი მის სრულ განკარგულებაშია. გეკითხებით, ორივე კომლს ერთი და იმავე ზომის მიწები უნდა ჰქონდეს, თუ უნარმოკლებულ წევრთაგან შემდგარ კომლს მეტი, ვიდრე მეორე კომლს?


იოსებ თოდუა.

### პასუხი.

მიწის კოდექსის 63 მუხლის ძალით იმას, ვისაც აქვს უფლება მიწაზე, მიეცემა ან დაეტოვება მიწა შრომით სარგებლობისათვის ოჯახის წევრთა შემადგენლობის მიხედვით. მასთან ნორმა დაწესებულია საშუალო ოჯახზე. მაგრამ ესა თუ ის ოჯახი საშუალო ოჯახზე მეტია, ე. ი. თუ მისი შემადგენლობა 5 სულს აღემატება, თითოეულ ზედმეტ სულზე ნორმას ემატება ნორმის ერთი მეათედი ამის მიხედვით იმ მიწის მოსარგებლეს, რომელსაც აქვს ნორმაზე მეტი მიწა, ეს ზედმეტი მას უნდა ჩამოერთვას (მიწ. კოდ. 143 მუხ.), გარდა იმ შემთხვევისა, როცა მეურნეობის მთლიანობის დაცვის ინტერესი მოითხოვს, რომ მიწის მოსარგებლეს დაეტოვოს ზედმეტი (მიწ. კოდ. 144 მუხ. შენ.). ამავე დროს თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ მიწა სარგებლობისათვის მიეცემა იმას, ვინც მოისურვებს მის დამუშავებას საკუთარი შრომით ან დაეტოვება იმას, ვინც მას ამუშავებს საკუთარი ძალეებით, უნდა მივიღებთ იმ დასკვნამდე, რომ საფუძველი მიწის შრომითი სარგებლობისა არის მისი დამუშავება პირადი შრომით და ეს გარემოება მიწის შრომითი სარგებლობის კანონიერების ძირითადი პირობაა. მაგრამ ამ დებულებიდან გამონაკლისი იცარის დაშვებული შრომით სარგებლობაში მიწა დაეტოვება და არა ნიეცემა შრომის უნარმოკლებული და ქვრივ ობოლთ (მიწ. კოდ. 66 მუხ.). ასეთი ოჯახისათვის ნორმის რაოდენობის განსაზღვრა, როგორც საზოგადოდ არის დაწესებული, უნდა იქნეს შეფარდებული მხოლოდ ოჯახის წევრთა შემადგენლობასთან და არა იმასთან, რომ ასეთ ოჯახს სჭირდება მეტი მიწა, რომ მან მიწის იჯარით გაცემის საშუალებით მიიღოს იმდენი რაც მისთვის საკმარისია არსებობის უზრუნველსაყოფად.

# კ ა ნ ო ნ მ დ ე გ ლ ო გ ი ს ბ ი ბ ო ხ ი ლ ვ ა

აგვისტოს 1-დან აგვისტოს 15-დე



## ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რ. კანონმდებლობა.

### ფინანსები

**О сроках в сдачи дохода казны остатков на зарплату.** (ს. ს. კ. ს-ოს 1928 წ. ივლისის 24 დადგ.—„ზარ. ვოსტ.“ № 180, აგვისტოს 5).

დადგენილებით შეცვლილია ა-კ. ს. ფ. ს. რ-ის ს. კ. ს-ოს 1927 წ. დეკემბრის 1, № 56 დადგენილების (ა-კ. კან. კრ. 1927 წ. № 23, მუხ. 28;) მე-11 მუხ., რომლის ძალითაც ზემოდ აღნიშნული ფული შეიტანებოდა ზაზინის შემოსავლად კვარტალობით.

ახალი რედაქციით 1927—28 წლიდან ასეთი თანხები შეიტანება ყოველი თვის გასვლისას ფინანსკომის დეპოზიტში, ზაზინის რესტრუქტურა ჩასარიცხავად წლის ბოლოში.

### შრომა

**О дополнении постановления Закавказского Центрального Исполнительного Комитета и Совета Народных Комиссаров ЗСФСР от 9 августа 1926 года об условиях труда на сезонных работах.** (ც. ა. კ-ისა და ს. კ. ს-ოს 1928 წ. ივლისის 24 დადგ.—„ზარ. ვოსტ.“ № 177, აგვისტოს 2).

დადგ. გამოცემულია თანახმად ს. ს. რ. კ. ც. ა. კ-ისა და ს. კ. ს-ოს 1928 წ. აპრილის 1 დადგენილების მე-11 მუხ. (ს. ს. რ. კ. კან. კრ. 1928 წ. № 21, მუხ. 187).

შრომისკანონთა კოდექსის 34<sup>ა</sup> მუხლს („სასეზონო სამუშაოთა შრომის პირობების შესახებ“ ამ-კავკ. ს. ფ. ს. რ-ის ც. ა. კ-ის და ს. კ. ს-ოს 1926 წ. აგვისტოს 9 დადგენილება ა-კ. ს. ფ. ს. რ. კან. 1926 წ. № 6 მუხ. 704) რომლითაც გათვალისწინებულია საშრომო ხელშეკრულების დადება სასეზონო სამუშაოსთვის, დამატა შენიშვნა რომლის ძალითაც აღნიშნული მუხლი არ გაგრძელდება სააღმშენებლო სამუშაოზე, ისეთის გარდა, რაც დამხმარე სამუშაოდ ჩაითვლება რაიმე ძირითადი ისეთი არასააღმშენებლო სამუშაოსთვის, რომელზედაც ვრცელდება აღნიშნული მუხლი.

**О дополнении постановления Закавказского Центрального Исполнительного Комитета и Совета Народных Комиссаров ЗСФСР от 26 марта 1927 года об условиях труда временных рабочих и служащих.** (ც. ა. კ-ისა და ს. კ. ს-ოს 1928 წ. ივლისის 24, დადგ.—„ზარ. ვოსტ.“ № 178, აგვისტოს 3).

დადგ. გამოცემულია თანახმად ს. ს. რ. კ. ც. ა. კ-ისა და ს. კ. ს-ოს 1928 წ. აპრილის 4 დადგენილების მე-12 მუხ. (ს. ს. რ. კ. კან. კრ. 1928 წ. № 21, მუხ. 187).

შრომის კანონთა კოდექსის 34<sup>ა</sup> მუხლს („დროებითი მუშა-მოსამსახურეთა შრომის პირობების შესახებ“ ამ-კავკ. ს. ფ. ს. რ-ის ც. ა. კ-ისა და ს. კ. ს-ოს 1927 წ. მარტის 26 დადგენილება, —ა-კ. კან. კრ. 1927 წ. № 7, მუხ. 79) დამატა შენიშვნა რომლის ძალითაც 34<sup>ა</sup>—34<sup>ბ</sup> მუხ., არა ვრცელდება იმ პირობებზე, რომელიც სააღმშენებლო სამუშაოზე მუშაობენ, გარდა ისეთი წვრილი მიწინარე რემონტის სამუშაოსი, რაც დაკავშირებული არ არის ძირითად სააღმშენებლო სამუშაოსთან.

**О дополнении и изменении ст. 82 кодекса законов о труде.** (ც. ა. კ-ის 1928 წ. ივლისის 24 დადგ.—„ზარ. ვოსტ.“ № 179, აგვისტოს 4).

ამ-კავკ. ს. ფ. ს. რ. კ. ც. ა. კ-ის 1928 წ. იანვრის 16 დადგენილებაში „შრომის კანონთა კოდექსის 82 მუხ. შეცვლის შესახებ“ შეტანილია შემდეგი ცვლილება და დამატება:

82 მუხ. დაერთო შენიშვნა, რომლის ძალითაც საკითხი სამუშაოდ სხვა ადგილას ახლად დანიშნულ მუშისა და მოსამსახურისათვის სამუშაო ხელფასის მიცემის შესახებ იმ დროისათვის რაც გაივლის სამუშაო ადგილას მისვლამდე, გადაწყდება მხარეთა შეთანხმებით.

აღნიშნულ დადგენილებას დაერთო, გარდა ამისა ახალი 82<sup>ბ</sup> მუხ., რომლის ძალითაც მუშა-მოსამსახურეს, რომელიც სათანადო პროფესიონალური ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან ადგილობრივი საბჭოსი ან სექციის ინიციატივით საპასუხისმგებლო მუშაობი-

სათვის დაწინაურებასთან დაკავშირებით გადაყვანილ იქნება სხვა ადგილას, მიეცემა გზის და ქონების გადაზიდვის ფული და დღიურები ერთდროული დახმარება ასეთ მუშა-მოსამსახურეს მიეცემა მხარეთა შეთანხმებით.

ამავსე წესით მიეცემა კომპენსაცია იმ პირს, რომელიც ახლად იქნება დანიშნული საპასუხისმგებლო სამუშაოზე ზემოაღნიშნულ ორგანიზაციათა მიერ დაწინაურების წესით, უკეთეს მას დანიშვნასთან დაკავშირებით მოუხდება საცხოვრებელ ადგილის გამოცვლა.

სამუშაო ხელფასი მუშაობის ახალ ადგილას დაწინაურების წესით ახლად დანიშნულ პირს მიეცემა, უკეთეს იგი დანიშვნამდე მუშაობდა დაქირავებით — იმ დღიდან, რაც მას ძველ ადგილას შეუწყვიტეს ხელფასის მიცემა, ხოლო უკეთეს დაქირავებით არ მუშაობდა 84 მუხ. მე-4 შენიშვნის მიხედვით.

**О дополнении постановления № 48 Совета Народных Комиссаров ЗСФСР от 7 июня 1928 года „о директивах по исчислению фонда заработной платы на 1928—29 г.“** (ს. კ. ს-ოს 1928 წ. ივლისის 24 დადგ., „ზარ. ვოსტ.“ № 180, აგვისტოს 5).

დადგენილებით შეცვლილია შენიშვნით აღნიშნული დადგენილების (ა-კ. კან. კრ. 1928 წ. № 14, მუხ. 146) I მუხლის ლიტ. „ა“ ხოლო ლიტ. „ვ“ რედაქცია შეცვლილია.

## საქართველოს ს. ს. რ. კანონმდებლობა სახელმწიფო ფეოდალიზა

**საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისარიატებთან და რესპუბლიკანური მნიშვნელობის სხვა ორგანოებთან საუწყებო საგეგმო კომისიების დაარსების შესახებ.**

(ს. კ. ს-ოს 1928 წ. ივლისის 31 დადგ.—„კომუნისტი“, № 186, აგვისტოს 12).

მიწათმოქმედების, ფინანსთა, შრომის, იუსტიციის, განათლების, ჯანმრთელობის კომისარიატებთან, სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან, ვაჭრობის საბჭოსთან რწმუნებულის სამმართველოსთან, წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან და „საქართველოს ჩი“—ს სააქტ. საზოგადოებასთან არსდება საგეგმო კომისიები; კომისიის შედგენილებას განსაზღვრავს და დამტკიცებს სათანადო უწყების ხელმძღვანელი. ყველა ზემოაღნიშნულ კომისარიატმა და დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს ამა დადგენილების საფუძველზე სპეციალური დებულება მისი ქვემდებარის საგეგმო კომისიისათვის და წარუდგინოს დაამტკიცებლად სახელმწიფო საგეგმო კომისიას.

საუწყებო საგეგმო კომისიის მუშაობა სწარმოებს სახელმწიფო საგეგმო კომისის ხელმძღვანელობით და მისი დირექტივებით; იგი შეიმუშავებს სათანადო უწყების მოქმედების გეგმიანობის საკითხებს, ხელმძღვანელობას გაუწევს ცალკე დარგების საპროსპექტივო და წლიური გეგმების შეიმუშავების საქმეს განიხილავს ამ გეგმებს და შეადგენს საერთო საუწყებო გეგმას და განიხილავს ანგარიშებს ოპერაციული გეგმების შესრულების შესახებ, შეასრულებს სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცალკე დავალებათ და შეიმუშავებს და მისცემს სათანადო უწყების ყველა ორგანოს ინსტრუქციას.

დადგენილება აღსრულებულ უნდა იქნეს ერთი კვირის ვადაზე დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

### კრედიტი

**სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოებისათვის სამშენებლო მუშაობის საწარმოებლად გრძელვადიანი კრედიტის მიცემის პირობების შესახებ.** (ს. კ. ს-ოს 1928 წ. ივლისის 31 დადგ.—„კომუნისტი“, № 188, აგვისტოს 15).

სამაზრო აღმასკომმა და საქალაქო საბჭომ, უკეთეს იგი მოსურვებს მშენებლობისათვის გრძელვადიანი სესხით სარგებლობას, საჭირო თანხა უნდა გაითვალისწინოს ბიუჯეტში, მშენებლობის საჭიროება და საამისო თანხის რაოდენობა დასაბუთებულ უნდა იქნეს ბიუჯეტთან დართულ ახსნა-განმარტებაში, თანაც ბიუჯეტს უნდა დაერთოს საბჭოს სამშენებლო-სატექნიკო კომიტეტის მიერ დამ-



ტიციებული ხარჯთაღრიცხვა. საკითხი კრედიტის მიცემის და მისი რაოდენობის შესახებ წინასწარ შეიმუშავებს ფინსახკომი კომუნალურ ბანკთან ერთად. კრედიტის რაოდენობა საბოლოოდ განისაზღვრება ადგილობრივი ბიუჯეტის დამტიციების დროს. ბიუჯეტის შესრულების პროცესში არ შეიძლება კრედიტის გადიდება.

აჭარის და აფხაზეთის სახკომსაბჭოებმა ერთი თვის ვადაზე უნდა გამოსცენ ანალოგიური დადგენილებანი, ხოლო სამხრეთ-ოსეთის ც. ა. კ-მა სახელმძღვანელოდ მიიღოს ეს დადგენილება.

ფინსახკომს შეუძლიან ამა დადგენილების განსავითარებლად გამოსცენ ინსტრუქცია.

**არმია**

**მუშათა და გლეხთა წითელ არმიის იმ მეთაურთათვის, რომელნიც სამხედრო სკოლებიდან გამოიშვებიან, სათანადო სამოქალაქო სასწავლებელ დამთავრებულითა უფლების მინიჭების შესახებ.** (ს. კ. ს-ის 1928 წ. ივლისის 27 დადგ.—„კომუნისტი“, № 185, აგვისტოს 11).

ქვეითა და ცხენოსანთა ჯარის სამხედრო სკოლებიდან გამოშვებულ მეთაურებს სამოქალაქო უწყების უმაღლეს სასწავლებლებში შესვლისათვის და ყველა სხვა შემთხვევისათვის მიენიჭება სკოლაში ვიდრე და მისი თანაბარ სასწავლებელ დამთავრებულთა უფლება, ხოლო სამხედრო-საინჟინერო, სარტილერიო და სამხედრო-სასპეციალო სკოლებიდან გამოშვებულებს—სკოლაში ვიდრე და მისი თანაბარიც სასწავლებელ დამთავრებულთა უფლება. ასეთ სამხედრო სასწავლებელთა ნუსხას, სამხ. და საზღვაო საქმეთა სახკომის რწმუნებულთა შეთანხმებით, გამოსცემს განათლების სახკომი, სამხედრო-სახზო-სა სასწავლებლებიდან გამოშვებულ მეთაურებს მიენიჭება უმაღლესი ტენიკური სასწავლებლის უფროსს კურსებზე შესვლის უფლება იმ თანაბარი საგნების ჩათვლით, რაც მათ სათანადო მოცულობით გაუფლიათ.

**გადასახადები**

**საქართველოს ს. ს. რ. საკურორტო ადგილებში საკურორტო გამოსაღების დაწესების შესახებ.** (ც. ა. კ-ისა და ს. კ. ს-ის 1928 წ. ივლისის 18 დად. № 55,—„კომუნისტი“, № 173, აგვისტოს 4).

სამაზრო აღმასკომებს და საქალაქო საბჭოებს უფლება აქვთ დააწესონ საკურორტო გამოსაღები და გადახადდებიან იგი მიმსვლელებს მთელი საკურორტო სეზონის განმავლობაში შემდეგ საკურორტო ადგილებში: ბორჯომში, ახასთუმანში, წალკერში, ცემში, ტბაში, ბაკურიანში, ახალ-დაბაში, სურამში, კოჯორში, კიკეთში, წყნეთში, მანგლისში და ალბულალში. საკურორტო გამოსაღების რაოდენობა მთელი სეზონის განმავლობაში არ შეიძლება აღემატებოდეს ბორჯომსა, ახასთუმანსა და წალკერში—5 მან. თითოეულ მიმსვლელზე, ხოლო დანარჩენ კურორტებში—3 მანეთს. დადგენილებაში განსაზღვრულია, თუ ვის ეძლევა შეღავათები—50% რადენობით (მუშა-მოსამსახურეთ. თვითმშრომელთ, ხელოსნებს და სხვ.) და ვინ განთავსდებოდა სრულდებით ამ გამოსაღებზე.

გამოსაღების ყველგან გადახადდებიან ნილიციის ორგანო მისული პირის საცხოვრებელ დავთარში ჩაწერის დროს, გამოაკლისს ამ მხრივ წარმოადგენს აბასთუმანი, სადაც ამ გამოსაღებს გადახადდებიან საკურორტო სამმართველო. აკრფილი გამოსაღები შეიტანება ადგილობრივ სალაროში თვეში ორჯერ მაინც. საკურორტო გამოსაღების შემოსავალი გამოყენებულ უნდა იქნეს მარტოდენ სათანადო კურორტის სასანიტაროს-საჰიგიენო პირობების გაუმჯობესებისა და კეთილმოწყობისათვის. გამოსაღებით შემოსული თანხები გატარდება სათანადო ადგილობრივი ორგანოს ბიუჯეტში და დაიარაღება თვით ამ ორგანოს მიერ. კურორტებში, სადაც შერეული განგებლობაა (ბორჯომი, წალკერი, ცემი, ბაკურიანი და ახალ-დაბა) საკურორტო გამოსაღების შემოსავალი განაწილდება ორივე ორგანოს შორის და დაიხარჯება მათ შორის წინასწარ შეთანხმებით შემუშავებული გეგმისამებრ.

გადაუხდელი გამოსაღები ჩაირიცხება ნარჩენად და გადახადება გადახადდეს საურავის დაიციხვით უდავო წესისამებრ.

ანგარიშების პერიოდულ შემოწმება და მეთვალყურეობა შეადგენს სამაზრო საფინგანის ფუნქციას.

არასწორ დახეგრაზე შეტანილი საჩივარი განიხილება ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთათვის არსებული საერთო წესის მიხედვით.

აფხაზეთის, აჭარის და სამხრეთ ოსეთის ც. ა. კ-ებს შეუძლიან დააწესონ მათ ტერიტორიაზე არსებულ კურორტებზე აღნიშნული გამოსაღები. ფინსახკომმა, ჯანმრთელობის სახ. კომ-თან შეთანხმებით, უნდა გამოსცენ ცირკულარი ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

**სასოფლო მეურნეობა**

**ტრაქტორების რეგისტრაციის და გასხვიების წესის შესახებ.** (ს. კ. ს-ის 1928 წ. ივნისის 19 დადგ.—„კომუნისტი“, № 178, აგვისტოს 3).

ყოველა ტრაქტორი, გარდა ტრაქტორებისა, რომლებიც სამხედრო უწყებას ეკუთვნის და ეს უწყება იყენებს მათ სამხედრო საქაროებისათვის, აუცილებლად უნდა გატარდეს რეგისტრაციაში; რეგისტრაციის აწარმოებს სამაზრო აღმასკომი სამ წითომქმედო განყოფილების ნეშეებით; უკანასკნელი აგროვეს ცნობებს მაზრაში ქონებულ ტრაქტორების პატრონთა შესახებ და იმის შესახებ, თუ რა ადგილას არის ეს ტრაქტორები და შეადგენს დაწვრილებითი საკალენდრო გეგმას, რომლის დამტიციების შემდეგ დაუგზავნის ამ გეგმის მიხედვით ტრაქტორების პატრონთ უწყებებს სარეგისტრაციოდ გამოცხადების დღის შესახებ. თვითველ ტრაქტორზე გაიცემა ცალკე სარეგისტრაციო ნოშინობა, რომელიც წარმოადგენს იმის დამტიციებელ დოკუმენტს, რომ ტრაქტორი ამა თუ იმ პირს ეკუთვნის და რომ ამ პირს აქვს ტრაქტორის ექსპლოატაციის და გასხვისების უფლება, რეპონტო სახელოფსნობაში მოხდება მხოლოდ ამ მოწმობის წარმოდგენის შემდეგ, მოწმობას უნდა წაეწეროს რემონტის დრო, ადგილი და ღირებულება. უკეთუ მოწმობა დაეკარგა პატრონს, იგი მიიღებს სამიწათმოქმედო განყოფილებისაგან, ცნობების შემოწმების შემდეგ, წერილობითი ცნობას, რომ ტრაქტორი განმცხადებელს ეკუთვნის; ეს ცნობა გამოადგება ტრაქტორის ექსპლოატაციის უფლების დამტიციებელ საბუთად და გაიცემა ვადით არა უმეტეს ორი კვირისა, რის შემდეგაც პატრონს მიეცემა მოწმობის დუბლიკატი.

ტრაქტორის გაყიდვის უფლება რამოდენიმედ შეზღუდულია იმით, რომ, როდესაც ტრაქტორს კრძო პირი ყიდულობს, სამიწათმოქმედო განყოფილებას უფლება აქვს, ერთი თვის განმავლობაში დღიდან განცხადების მიღებისა, განაცხადოს, რომ ტრაქტორს იგი ყიდულობს, ან წარადგინოს მესამე პირის (სახელმწ. საწარმოო ან დაწესებულება, კომპერატიული ორგანიზაცია, კრძო სას. სამეურნეო კოლექტივი. მუხ. 19) თანხმობა გასაყიდი ტრაქტორის შეძენაზე უკეთუ მხარეები ვერ შეთანხმდნენ მანქანს ფასზე, ამ ფასს განსაზღვრავს სატრაქტორო კომისია.)

უკეთუ მოვალის ტრაქტორზე მიტყულ იქნება ვალის გადახდევინება, გადახდევინებელი ორგანო საამისო შეტყობინებას გაგზავნის სამიწათმოქმედო განყოფილებაში, რომელსაც ასეთ შემთხვევაში შეუძლიან შეიძინოს ტრაქტორი ან წარადგინოს მესამე პირის (19 მუხ.) თანხმობა ტრაქტორის შეძენაზე. თუ აღნიშნული განყოფილება ამაზე უარს განაცხადებს ან ვერ წარადგენს მესამე პირს, შეიძლება დაინიშნოს საჯარო ვაჭრობა ტრაქტორის გასაყიდად.

ამ დადგენილების დარღვევისათვის სამაზრო აღმასკომს, სამიწათმოქმედო განყოფილების წარდგენით, შეუძლიან გადაუწყვიტოს დანაშავეს აღმინისტრაციული წესით ჯარიმა ორმოცდაათ მანეთამდე ან იმულებითი მუშაობა ორ კვირამდე.

აფხაზეთის და აჭარის სახკომსაბჭოებმა და სამხრეთ-ოსეთის ც. ა. კ-მა უნდა გამოსცენ ანალოგიური დადგენილებანი.

**ზრნება**

**ს. ს. რ. კ-ის საზღვარგარეთ მომქმედ დაწესებულებასა და საწარმოში მომუშავე სპეციალისტების საცხოვრებელ სივრცით უზრუნველყოფისათვის მისაღებ ღონისძიებათა შესახებ.** (ც. ა. კ-ის და ს. კ. ს-ის 1928 წ. ივლისის 11 დადგ. № 53, „კომუნისტი“ № 185, აგვისტოს 11).

ს. ს. რ. კ-ის საგარეო ვაჭრობის და შინა-ვაჭრობის სახკომის ორგანოებში და სხვა სავაჭრო ორგანიზაციებში სამუშაოდ საზღვარგარედ წარვლინებულ სპეციალისტებს შეენარჩუნებათ საცხოვრებელ

1) მუშაობისათვის გამოუსადეგარი ტრაქტორი რეგისტრაციაში გატარდება და გასხვისდება ამა დადგენილებით გათვალისწინებული საერთო წესისამებრ.

ლი სივრცე მთლად იმ ხნის განმავლობაში, რაც იგი წარვლინებულ იქნება, ანდა რა ხნითაც დებულ იქნება მასთან შრომითი ხელშეკრულება, ასეთ პირს უფლება აქვს გადასცეს თავისი ბინა, წარვლინებულ დაწესებულებასთან შეთანხმებით, სხვა პირს მშრომელთა წრიდან, იმ პირობით—კი, რომ ამ უკანასკნელმა წარვლინებულის დაბრუნებისთანავე დაუბრუნოს მას ეს ბინა, წინააღმდეგ შემთხვევაში, წარვლინებული ორგანოს მოთხოვნით, იგი შეიძლება გამოსახლდებულ იქნეს ადმინისტრაციული წესით, ბინის ქირა და კომუნალური მომსახურების სასყიდელი გადახდება დროებით ჩასახლებულს.

შემოაღნიშნული წესი გავრცელდება აგრეთვე იმ საცხოვრებელ სადგომზედაც, რაც დაწესებულებათა და საწარმოთათვის მიკუთვნებულ სახლებშია მოთავსებული.

**მშენებლობა**

**საქართველოს ს. ს. რ. ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სამშენებლო სატექნიკო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.** (ს. კ. ს-ოს 1928 წ. ივლისის 13 დადგ.—„კომუნისტი“ № 183, აგვისტოს 9).

დადგენილებით დამტკიცებულია სამშენებლო-სატექნიკო კომიტეტის დებულება და გაუქმებულია ს. კ. ს-ოს მიერ 1924 წ. იანვრის 18 დამტკიცებული დებულება, 1924 წ. აგვისტოს 6 დადგენილება დებულების ზოგიერთი მუხლის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1924 წელ № 3—4, მუხ. 14, და 1926 წ. თებერვ. 17 დადგენილება—დებულებისათვის 51 მუხლის დაპატების შესახებ (კან. კრ. 1926 წ. № 1, მუხ. 32).

დადგენილებას თანდართული აქვს თვით ახალი დებულება.

**ჯანმრთელობის დაცვა**

**საბავშვო ბაგათა შესახებ.** (ს. კ. ს-ოს 1928 წ. ივლისის 3 დადგ.—„კომუნისტი“, № 180, აგვისტოს 5).

1928 წ. ოქტომბრის 1-დან უნდა დაწესდეს სავალდებულო გადასახადი რესპუბლიკანური და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთათვის, რომლებშიაც ქალთა შრომა თვალსაჩინოდ არის გამოყენებული, სამუშაო ხელფასის ფონდის ერთი მეოთხედი პროცენტის რაოდენობით იმ ბაგათა შესახად, რომელნიც მოსამსახურებლას უწყვენ მარტოოდენ ამა თუ იმ საწარმოს მუშა-ქალებს, ტრესტებში მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესების ფონდის განაწილების დროს გამოიყოფა იმავე მიზნით ამ ფონდიდან არა ნაკლებ 50%/—ისა, ხოლო ისეთ ტრესტებში, სადაც ქალთა შრომა სჭარბობს, გამოსაყოფი თანხაც აუცილებლად სათანადოდ უნდა იქნეს გადიდებული.

ყველა დაწესებულებამ და რესპუბლიკანური მნიშვნელობის საწარმომ ამა დადგენილების გამოკვეყნების დღიდან სამი თვის ვადაზე უნდა გადასცეს მის გამგებლობაში მყოფ ბაგა ჯანმრთელობის სათანადო ორგანოს.

შრომის სახ. კომ-ტმა ამ ბაგათა ყველა მოსამსახურისათვის ექიმების გამოკლებით, უნდა დააწესოს 8 საათის სამუშაო დღე.

**რკინისგზა**

**ამიერ-კავკასიის რკინის გზისათვის ვ. ი. ლენინის სახელის ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურიდან რკინის ჰიდრო ელექტრონის სადგურამდე ელექტრო გადაცემის ხაზის გასაყვანად და ამ მიზნისათვის საჭირო ნაგებობათა და შენობათა მოსაწყობად სათანადო მიწების მიკუთვნების შესახებ** (ს. კ. ს-ოს 1928 წ. ივლისის 13 დად., „კომუნისტი“, № 184, აგვისტოს 10).

ამ-კავკ. რკინის გზას მიეკუთვნა ზოლი ელექტრო-გადაცემის ხაზისათვის სიგანით 10 მეტრამდე და სიგრძით 186 კილომეტრამდე მიწის ნაკვეთები საყრდნობათა ფუძეებისათვის რიცხვით 1000-მდე და სივრცით თვითთელი ნაკვეთი 150 კვ. მეტრამდე, მიწის ნაკვეთები ათი სადარაჯო სახლის ასაშენებლად—2,500 კვ. მეტრ. თვითთელი სახლისათვის კარმიდამოთი, მიწის ზოლი გზისა და ბლიკისათვის ხაზის სამოსამსახურედ იქ, სადაც გზა და ბლიკი სცალდება მთავარ ზოლს. მიწა, რომელზედაც სას.-სამეურნეო კულტურების ნათესია დაეტოვება მიწათ მისარგებლეს, იმ პირობით-კი, რომ რკინის გზის

გამგეობა პასუხისმგებელი არ იქნება მუშაობასთან დაკავშირებული მოსალოდნელი ზარალისათვის.

მიწების ჩამორთმევა და მიკუთვნება მოხდება მიწის კოდ. გავთვალისწინებული მიწათ მოწყობის საერთო წესისამებრ სამიწათ მოწყობო მუშ-ობა (ტექნიკური ხასიათის) სწარმოებს ამ-კავკ. რკინისგზის შტატით და მისივე ხარჯით.

ამა დადგენილებით გამოყოფილი მიწის ნაკვეთის მოსარგებლეს აენაზღაურება მიწისათვის გაწეული და ჯერ კიდევ გამოუყენებელი ხარჯი და ნაკვეთზე მდებარე შენობა და ნაგებობა რკინისგზის ხარჯით, რკინისგზას უფლება აქვს მისაკუთვნებელი მიწის ნაკვეთები დაიკვიროს დაუყოვნებლივ, სამიწათ მოწყობო მუშაობის შესრულებისთანავე.

მომავლისათვის აკრძალულია შენობების აგება და მალალტანინანი ხეების ჩარგვა 15-მეტრიანი ზოლის ფარგალში მთავარი ზოლის ორივე მხარეზე, ხოლო ამ 15-მეტრიანი ზოლში მდებარე შენობები და მალალტანინანი ხეები აღებულ უნდა იქნეს. რკინისგზის გამგეობის მოთხოვნით და მის მიერ მიწსახკომთან ან საქალაქო საბჭოსთან შეთანხმებით დადგენილ ვადაზე.

**ვაჭრობა**

**საბაზრო კომიტეტის შესახებ.** (ს. კ. ს-ოს 1928 წ. ივლისის 27 დადგ.—„კომუნისტი“ № 187, აგვისტოს 14).

დადგენილებით დამტკიცებულია დებულება საბაზრო კომიტეტის შესახებ, რომლებიც ეწყობა ბაზრების ტერიტორიაზე ნორმალური სანიტარული პირობების დასაცავად და ყველა იმ სამეურნეო საკითხის სისწორით გადასაწყვეტლად, რაც კი ბაზარში მოგაქრე პირთა და დაწესებულებათა შორის ფულის ჰოგროვებას შეეხება საჭირო ხარჯების დასაფარავად.

დებულებაში გათვალისწინებულია საბაზრო კომიტეტის ორგანიზაცია, საბაზრო კომიტეტში იმ პირთა რეგისტრაცია, რომელნიც ვაჭრობას ან რეწვას ეწევიან, კომიტეტის უფლება-მოვალეობანი და მოქმედების წესი, საერთო კრების ფუნქციები და კომიტეტის სამომოსავლო წყაროები.

**გადასახლება**

**საქართველოს ს. ს. რ. საგადასახლებლო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.** (ს. კ. ს-ოს 1928 წ. ივლისის 27 დადგ.—„კომუნისტი“ № 182, აგვისტოს 8).

გადასახლების საქმის გასაუჯობესებლად და ამ დარგში განსახორციელებელ ღონისძიებათა შესათანხმებლად და გასაერთიანებლად საქ. მიწსახკომთან ეწყობა საგადასახლებლო კომიტეტი, რომელიც გადასინჯავს გადასახლების საქმის პერსპექტიურ და წლიურ გეგმებსა და ხარჯთაღრიცხვებს და მოსპობს შემჩნეულ პარალელისებს და შეუთანხმებლობას, შეჭქმის სახელმწიფო საგადასახლებო ფონდს: განიხილავს ანგარიშებს, ზედამხეველობას გაუწყვეს უმოწყალო და მცირე მიწის მქონე გლეხთა გადასახლებას და შეუწყობს მათი ახალ ადგილებზე დასახლებას, განიხილავს საქართველოს ს. ს. რ. შემავალ ერთეულების შუამდგომლობებს იძულებითი გადასახლების შესახებ და სხვ.

კომიტეტის თავმჯდომარედ მიწათმოქმედების სახალხო კომისარია, რომელიც კომიტეტის სხდომებს მოიწვევს საჭიროებისამებრ. კომიტეტის სხდომა კანონიერად ჩაითვლება, თუ მას დაესწრო წევრთა რიცხვის ნახევარი მინც. კომიტეტის უფლება აქვს იკონოსო უშუალო ურთიერთ მიმართვა ყველა რესპუბლიკანურ და ადგილობრივ სახელმწიფო დაწესებულებასთან და ორგანოსთან, ხოლო თავისი საჭიროებისათვის გამოიყენოს მიწათმოქმედების საგადასახლებო განყოფილების აპარატი, კომიტეტს აქვს საკუთარი ბექედი წარწერით „საქართველოს ს. ს. რ საგადასახლებო კომიტეტი“.

გ. ქ.

**უადგილობის გამო ამ ნომრისათვის დამზადებული ტერმინოლოგიის მასალა და შენიშვნები - გადადებული იქნა შემდეგი ნომრისათვის.**

რედაქცია.



# ოფიციალური ნაწილი



**შინაარსი:** იუსტიციის სახალხო კომისარიატის ცირკულარები № 13, 23 — იუსტიციის სახ. კომისარიატის განმარტება. — ინსტრუქცია სოფლად მომუშავე მედპერსონალის უფლება-მოვალეობის შესახებ.

## იუსტიციის სახალხო კომისარიატის ცირკულარები.

ცირკულარი № 13.

**სამაზრო პროკურორებს სამაზრო და სახალხო სასამართლოებს.**

**ასლი: უზენაეს სასამართლოს, აჭარის, აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის იუსტიციის სახალხო კომისარიატებს.**

სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის მიზნად უნდა ჩაითვალოს ხელის შეწყობა, გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხის გაცემით, სასოფლო-მეურნეობის და სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის განვითარებისათვის. სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ დაწესებულებათა მუშაობას სოფლად, როგორც ისეთი ორგანიზაციებისა, რომელთაც უშუალო კავშირი აქვთ საბოლოო მსესხებელთან. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო ბანკის ცნობიდან კი ირკვევა, რომ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა გამგებების მუშაობაში, მიუხედავად არა ერთხელ მიცემულ დირექტივებისა ცირკულარების და ინსტრუქციების სახით, ადგილი აქვს შეცდომებს, რასაც თანადევს სასოფლო მეურნეობის კრედიტობის დარღვივა საბჭოთა და პარტიული ხაზის გადახვევა და რაც უკიდურეს საფრთხეს უქადის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოოპერაციის შემდგომ განვითარებას.

უმთავრესად შემჩნეულია შემდეგი დეფექტები:

1. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო ბანკისაგან გრძელვადიანი სესხის გასაცემად მიღებული სესხის მოკლევადიან სესხისათვის გამოყენება.

2. საქართველოს სსრ სასოფლო სამეურნეო ბანკისაგან შემდგომი კრედიტობისათვის მიღებულ სესხის სავაჭრო და სხვა ოპერაციებისათვის მოხმარება;

3. გაცემულ სესხებზე იმაზე მეტი პროცენტების გადახდევინება, რაც გათვალისწინებულია შემდგომი კრედიტორებისათვის სესხის მიღების დროს სასოფლო-სამეურნეო ბანკთან დადებულ ხელშეკრულებით;

4. საბოლოო მსესხებელზე სესხის გაცემის უმიზეზოდ დაგვიანება;

5. საწარმოებლო-სამეურნეო საჭიროებისათვის, ღარიბი და საშუალო ელემენტების ნაცვლად სესხის გაცემა კულაკურ და შეძლებულ ელემენტებზე;

6. სესხის გაცემა ისეთ ელემენტებზე, რომელნიც საკრედიტო ამხანაგობის მოქმედების რაიონში არ ეწყვიან შრომითი სასოფლო მეურნეობის;

7. გრძელვადიანი სესხის გაცემა ისეთ პირებზე (მასწავლებლებზე, სხვადასხვა დაწესებულებათა თანამშრომლებზე), რომელთაც სასოფლო-მეურნეობის გარდა სხვა შემოსავლის წყაროც მოეპოვება;

8. ღარიბთა კოოპერატიულად შეკავშირების და ღარიბ გლეხთა (ყოფილი წითელი პარტიზანების და წითელ-არმიელების) და კოლექტიურ მეურნეობათა კრედიტების ფონდების უძროოდ და არა დანიშნულებისამებრ გამოყენება;

9. ამხანაგობის საოპერაციო თანხიდან თავისი თანამშრომლებისათვის დიდი ავანსების მიცემა;

10. უგულვებელყოფა და უმოქმედობა იმ ვალების დროზე გადახდევინების საქმეში, რაც მართობს სხვადასხვა პირებს და დაწესებულებათ.

ზემოაღნიშნულის მიხედვით და სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა გამგებების მუშაობაში შემჩნეულ არასწორ

მოქმედებასთან საბრძოლველად წინადადება გეძლევა თ ყოველ შემთხვევაში, როდესაც კი აღმოჩენილ იქნება ასეთი არასწორი მოქმედება, პასუხისმგებში მისცეთ დამნაშავე სისხლის სამართლის კოდექსის მე-III თავის (თანამდებობრივი დანაშაული) სათანადო მუხლით. პროკურატურის ორგანო, უკეთეს იგი საერთო ზედამხედველობის განხორციელების დროს, სახელდობრ: გლეხობასთან და გლეხობებთან კავშირის გზით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული დაწესებულების რევიზიაში (სათათბირო ხმით) მონაწილეობით და სხვ. აღმოაჩენს რაიმე ამგვარ არასწორ მოქმედებას, და აგრეთვე უკეთეს სასოფლო-სამეურნეო ბანკისაგან იგი მიიღებს ცნობებს არასწორი მოქმედების აღმოჩენის შესახებ, დაუყოვნებლივ აღძრავს დევნას სისხლის სამართლის წესით წინასწარ გამოძიების სულ მოკლე ვადაში და თავისი პირადი მეთვალყურეობით მოხდენის გზით, არ გააჰიანურებს საქმეს ზედმეტი ექსპერტიზით და შეძლებისდაგვარად დაკმაყოფილებს სათანადო ორგანოს დასკვნითა და სარევიზიო ანგარიშით. სასამართლოებმა ასეთი საქმეები განსახილველად უნდა დანიშნონ, რაც შეიძლება მალე და დამნაშავეებისათვის სათანადო სოციალური დაცვის ღონისძიებებს შეუარაღების დროს მხედველობაში იქონიონ, რომ უკიდურესად, საჭიროა ბრძოლა კანონის ზემოაღნიშნულ დარღვევებთან, რათა ამ გზით უზრუნველყოფილ იქნეს სასოფლო-მეურნეობის დონეს ასაწევად გამოუმუშავებული გეგმის წარმატებით განხორციელება.

იუსტიციის სახალხო კომისარი და რესპუბლიკის პროკურორი **შ. მათიკაშვილი**

1928 წ. აგვისტოს 15.

ცირკულარი № 23.

**პოლონეთის რესპუბლიკის მოქალაქეთა მიერ საქართველო ს. ს. რ. ფარგლებში ქონებრივი ხასიათის ხელშეკრულებათა და გარიგებათა დადების წესის შესახებ.**

1928 წ. იანვრის 9-ის № 567 ცირკულარის დამატებად.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შესახებ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წ. აგვისტოს 18 დადგენილების მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად საქართველოს ს. ს. რ. იუსტიციის სახალხო კომისარიატი, ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რ. მთავრობასთან განწესებულ გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან შეთანხმებით, ადგენს:

პოლონეთის რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, რომელიც მოსურვებს საქართველოს ს. ს. რ. ფარგლებში თავის სახელზე სარეწავო მოწოდების აღებას სამრეწველო, სავაჭრო, საშინაომრეწველო ან სახელოსნო საწარმოსათვის, აღნიშნულ საწარმოთა შექმნას, გაყიდვას, იჯარით აღებას და იჯარით გაცემას, აგრეთვე ამ საწარმოთა ექსპლოატაციაში მონაწილეობის მიღებას სრული ამხანაგის, ნდობის ამხანაგის, მონაბარის ან უბრალო ამხანაგის უფლებით, მუნიციპალიზაცია ქმნილი სახლის ან აგარაკის იჯარით აღებას (ან ასეთი სახლის და აგარაკის იჯარაში მონაწილეობას), კერძო მფლობელობის სახლის ან აგარაკის ყიდვას ან გაყიდვას, იჯარით აღებას ან იჯარით გაცემას, აღნაგობის ხელშეკრულების დადებას სახლის ან აგარაკის ასაგებად, იკისრებს სხვა ვინმე პირის სავაჭრო რწმუნებულობას, მეურვეობას ან მზრუნველობას, ან და მოისურვებს ყოველგვარი სხვა რამ ისეთი ქონებრივი ხასიათის ხელშეკრულების და გარიგების დადებას (ნაყიდობის, ნარდად მუშაობის, ყიდვა-მიწოდების, სესხის და სხვ.), რისთვისაც საჭიროა საწარმოო დამოწმება ანდა რეგისტრაცია ბირჟაზე, შეუძლიან განახორციელოს ყველა ზემოაღნიშნული უფლება და დასდოს აღნიშნული სახის ხელშეკრულება და გარიგება იმ პირობით, თუ ყოველ ცალკე შემთხვევაში წინას-

წარმომადგენს საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის განსაკუთრებულ მოწმობას (ცნობას) იმის შესახებ, რომ კომისარიატის ამის საწინააღმდეგო არაფერი აქვს.

იუსტიციის სახალხო კომისარიატი — **შ. მათიკაშვილი.**

ს. ს. რ. კ. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რ — ის

მთავრობასთან — **კარკლინი.**

1928 წ. აგვისტოს 18.

### გ ა ნ მ ა რ ტ ე მ ბ ა

**იუსტიციის სახალხო კომისარიატისა იმის შესახებ, თუ რა წესით უნდა შეეფარდოს უცხოელ მოქალაქეთ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისარიატის საბჭოს 1928 წ. აპრილის 26-ის № 27 — „მოუფლეთლობის გამო ქალაქადგილას საცხოვრებელ შენობათა მუნიციპალიტეტის წესის შესახებ“.**

აღნიშნულ საკითხზე იუსტიციის სახალხო კომისარიატი განმარტვს, რომ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისარიატის საბჭოს მიერ 1923 წ. აგვისტოს 18-ს „საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის სამოქმედო შემოღების შესახებ“ გამოცემული დადგენილების მე-8 მუხლის 1 ნაწილის თანახმად, უცხოელ მოქალაქისათვის საქართველოს ცაკის და სახ. კომ. საბჭოს 1928 წ. აპრილის 26-ის დადგენილების შეფარდების დროს უნდა მხედველობაში იქნეს მიღებული სსრკ-რისა და სათანადო უცხო სახელმწიფოს შორის დადებული შეთანხმება და ხელშეკრულება და უცხოელ მოქალაქის სახლის გასხვისება № 27 დადგენილების საფუძველზე უნდა მოხდეს იმ წესით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სამოქ. სამ. კოდ. 69 მუხლით.

საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატი

**შ. მათიკაშვილი.**

1928 წ. აგვისტოს 18.

### ინსტრუქცია

**სოფლად მომუშავე მეღებრსონალის უფლება-მოვალეობის შესახებ.**

(შედგენილია თანახმად მე-8 მუხლისა ს. ს. რ. სახკომსაბჭოს 15 ივნისის (კანონტარებული № 6) 1927 წ. დადგენილებისა „სოფლის საექიმო დახმარებით უზრუნველყოფის და სოფლად მომუშავე მეღებრსონალის მატერიალურ მდგომარეობის და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების შესახებ“).

#### 1. ე ძ ი მ ე მ ბ ი.

სოფლის სამკურნალო დაწესებულების ექიმს თანამდებობაზე დანიშნავს ერთი ადგილიდან მეორეზე გადაიყვანს და სამსახურიდან დაითხოვს მასწავლებელსა და ინსტრუქტორს თემდამსკომთან შეთანხმებით და კავშირისთვის ცნობის გაგზავნით თანახმად შრომის კანონთა კოდექსისა.

შენიშვნა. სოფლის ექიმის თანამდებობაზე დანიშნავს, გადაყვანასა და დათხოვნასთან დაკავშირებული უთანხმოება გადაეცემა ჯანმრთელობის ზედა საფეხურის ორგანოს და კავშირს გადასაწყვეტად მომქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

2. სოფლის სამკურნალო დაწესებულებების გამგე ექიმი მკიდრო კავშირს იკერს ადგილობრივ საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მათ მუშაობაში მონაწილეობის მიღებით. იგი პასუხისმგებელია მისდამი რწმუნებული დაწესებულების სამკურნალო, სამკურნალო და სანიტარული საქმის სათანადოდ დაწყებისათვის, მასვე ემორჩილება მთელი პერსონალი.

შენიშვნა. უმცროს პერსონალს დანიშნავს თვით ექიმი. სამკურნალო ნაწილის გამგეს დანიშნავს ექიმი თემდამსკომთან შეთანხმებით. საშუალო მეღებრსონალის დანიშნავს-დათხოვნის წესი გათვალისწინებულია ამა ინსტრუქციის მე-2 თავში.

3. სოფლის სამკურნალო დაწესებულების გამგე ექიმი:

ა) აწესებს სამკურნალო დაწესებულების შინა წესრიგს.

შენიშვნა. შინა წესრიგს ექიმი შემუშავებს, ჯანმრთელობის დაცვის ზედა საფეხურის ორგანოს ინსტრუქციის თანახმად, პროფკავშირის ადგილობრივი განყოფილების წარმომადგენელთან ერთად. ეს წესრიგი დამტკიცდება შრომის ინსპექტორის მიერ (იხ. მუხ. 54 შრომის კანონთა კოდექსისა).

ბ) აწესებს შინა წესრიგის მიხედვით, სამუშაოს საექიმო, სასანიტარო და სამკურნალო პერსონალს შორის, კონტროლს უწევს მათ მუშაობას და თვალყურს ადევნებს მათ მიერ თავისი მოვალეობის სისწორით შესრულებას.

გ) პასუხს აგებს, კანონის თანახმად. იმისათვის, რომ სამკურნალო დაწესებულების საექიმო და სამკურნალო ქონება უკლებლივ და სათანადოდ ინახებოდეს.

დ) განაგებს კრედიტებს თვალყურს ადევნებს, საექიმო სამკურნალო და საფინანსო ანგარიშებს. ადგენს ავადმყოფთა შესაძლებელ ხარჯთ-აღრიცხვებს და ღებულობს მონაწილეობას სათანადო ინსტრუქციებში ამ ხარჯთაღრიცხვების გატარების დროს.

ე) წარადგენს პერიოდულ და ვადიან ანგარიშებს, მოხსენებებს და სხვა ცნობებს თანახმად არსებულ წესებსა და აგრეთვე აღმასრულებელი კომიტეტის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების, მოკვლევის, გამოძიების და სასამართლოს ორგანოთა ცალკე მოთხოვნით.

4. აწარმოებს რა თავის საექიმო მუშაობას პროფილაქტიური მიმართულებით სოფლად მომუშავე ექიმი:

ა) ხელმძღვანელობს თემის სანიტარულ საბჭოს მუშაობას.


ბ) თვალყურს ადევნებს ეპიდემიურ, სოციალურ და ყოფაცხოვრებასთან დაკავშირებულ და პროფესიონალურ ავადმყოფობათა გაჩენას და მიმდინარეობას, იკვლევს მათი გაჩენის მიზეზებს, იღებს ღონისძიებას მათი თავიდან ასაცილებლად და მონაწილეობას იღებს მათთან ბრძოლის საქმეში სანიტარულ ექიმთან შეთანხმებით; გარდა ამისა იგი მონაწილეობს საერთო გამაჯანსაღებელ და ეპიდემიასთან საბრძოლველ ღონისძიებათა ორგანიზაციაში და მათ განხორციელებაში, როგორცაა: აკრის კომპანია, გადამდებ სნეულებათა კერების გამოკვლევა, მეთვალყურეობის გაწევა ბინების მდგომარეობისა, საერთო სარგებლობის ადგილებისა, წყლის მიწოდებელი წყაროების, სუფსათ-სანოვაგის მომზადების, შენახვისა და გასაღების ადგილებითათვის და სხვა.

შენიშვნა. პროფესიონალური მოწამელის ან ავადმყოფის ყოველი ცალკე შემთხვევა ექიმი მოვალეა, თუ ამ მოვლენას მასიური ხასიათი არა აქვს, არა უგვიანეს 7 დღისა, ხოლო თუ ამგვარი ხასიათი აქვს — დაუყოვნებლივ, აცნობოს სამაზრო სასანიტარო ინსპექციას, იქ კი, სადაც ასეთი არ არის — შრომის ინსპექციას.

გ) აწყობს და ცხოვრებაში ატარებს პროფილაქტიურ ღონისძიებებს სასანიტარო სწავლა-განათლების გაგრძელებით, დედათა, ჩვილთა და ბავშვთა დაცვის და სხვა, თანახმად ჯანმრთელობის დაცვის ორგანოთა ინსტრუქციებისა.

5. სოფლის მოსახლეობისათვის საექიმო დახმარების აღმოჩენის მხრივ სოფლად მომუშავე ექიმი ვალდებულია; ა) ყოველდღე, გარდა უქმე და გამოსასვლელი დღებისა, მიიღოს საექიმო პუნქტებზე ამბულატორიული ავადმყოფები. ამასთანავე ავადმყოფთა ჩაწერის და მიღების დროს მტკიცეთ განისაზღვრება სოფლის ექიმის და თემდამსკომის ურთიერთ შეთანხმებით.

შენიშვნა 1. უქმე და გამოსასვლელი დღეს და აგრეთვე მუშაობისაგან თავისუფალ საათებში ექიმს უფლება აქვს წავიდეს პუნქტიდან, მაგრამ ვალდებულია სამკურნალო დაწესებულებაში დასტოვოს ცნობა, თუ სად იქნება იგი, ეს იმ შემთხვევისათვის, თუ საჭირო გახდება მისი სასწრაფოდ გამოწვევა.



შენიშვნა 2. ამბულატორიული მიღების საათების რიცხვი ისეთი ექიმისათვის, რომელიც სტაციონარს არ განაგებს, არ უნდა აღემატებოდეს 5-ს, ხოლო სტაციონარის გამგე ექიმისთვის 4-ს, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს შინა წესრიგით.

შენიშვნა 3. ისეთი ავადმყოფი, რომელსაც თავისი სწეულების გამო, ესაჭიროება სასწრაფო დახმარება, აგრეთვე მძიმე ავადმყოფები, მიიღებიან მიღებისათვის დანიშნულ დროს გარეშეც.

ბ) სამკურნალო დაწესებულებაში ავადმყოფის მიღება-გამოწერა ხდება გამგე ექიმის განკარგულებით. უკეთეს სამკურნალოში რამოდენიმე სხვადასხვა სპეციალური განყოფილება, ავადმყოფთა მიღება-გამოწერა მოხდება სათანადო განყოფილების გამგის განკარგულებით.

გ) სოფლად მომუშავე ექიმი მოვალეა თავის უბნის ფარგლებში ბინაზე აღმოუჩინოს საექიმო დახმარება ისეთს ავადმყოფს, რომელსაც ესაჭიროება სასწრაფო, გადაუდებელი დახმარება და რომლის წაყვანა სამკურნალოში განსაცდელში ჩაადგენს მის სიცოცხლეს ან აშკარა ვნებას მიაყენებს მის ჯანმრთელობას. ასეთი შემთხვევაა: ა) პატოლოგიური მშობიარობა, ბ) მოწამლა, გ) სიცოცხლისათვის საშიში სისხლის დენა, დ) სიცოცხლისათვის საშიში მძიმე ქრილობა, ე) ეპიდემიური სწეულების გაჩენა.

შენიშვნა 1. სამკურნალო დაწესებულებების გამგე ექიმს უფლება ეძლევა, შემთხვევის და მიხედვით, ბინაზე დახმარების აღმოსაჩენად გაგზავნოს საშუალო მედაპერსონალი.

შენიშვნა 2. ექიმი მოვალეა ავადმყოფის ბინაზე, თავისი საცხოვრებელი ადგილის გარეშე დახმარების აღმოსაჩენად წაიღოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის განკარგულებაში იქნება მისვლა-მოსვლის რაიმე საშუალება.

6. ექიმი მოვალეა შემოწმოს იმ პირთა ჯანმრთელობა და მისცეს ამის შესახებ დასკვნა, რომელთაც ამ მიზნით სამკურნალო დაწესებულებაში გამოგზავნიან მილიციის და იუსტიციის ორგანოები და აგრეთვე ამ უკანასკნელთა წინადადებით აწარმოონ გვამების სასამართლო-საექიმო გაკვეთა იმ შემთხვევაში, თუ მაზრაში არ იმყოფება სასამართლო-ექიმი და თუ მას ხელთ ექნება შესაფერი ინსტრუმენტი.

7. დღე და საათი სასამართლო-საექიმო შემოწმებისთვის დაწესდება მოკვლევის ან გამოძიების ორგანოებისა და ექიმის შეთანხმებით.

შენიშვნა. ზემოდაღნიშნულ წინადადებებზე გამოცხადება ექიმისთვის საკვალდებულოა მხოლოდ თავისი უბნის ფარგლებში და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის განკარგულებაში იქნება მისვლა-მოსვლის საშუალება, და თუ თითოეულ წასვლისათვის მას მიეცემა გასამრჯელო თანხმად ჯანმრთელობის და იუსტიციის სახალხო კომისარიატების და სამედიცინო სასანიტარო შრომის მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობის მიერ დაწესებული ნორმებისა.

8. სოფლად მომუშავე ექიმის მოვალეობას შეადგენს მოწმობის ჯაცემა ავადმყოფობის, სწეულის დაზიანების, მკურნალობის, დაბადების და სიკვდილის შესახებ ისეთ შემთხვევებში, რაც გათვალის-

წინებულია ჯანსაჯომისარიატის ინსტრუქციაში „საექიმო მოწმობების გაცემის წესის შესახებ“.

9. ყოველგვარი გაუგებრობა, რასაც ადგილი ექნება ამა ინსტრუქციის შეფარდების დროს, გადაეცემა გადასატრეოდ ჯანმრთელობის დაცვის ზედა საფეხურის ორგანოებს.

შრომის ურთიერთობის ნიადაგზე წარმოშობილი დავა უნდა განხილულ იქნას შრომის კანონთა კოდექსის თანხმად.

II

**საშუალო სამედიცინო პერსონალი (ბებია ქალები, ექიმების თანაშემწეები და სამედიცინო დები).**

1. სოფლის სამკურნალო დაწესებულების საშუალო სამედიცინო პერსონალს სამსახურში დანიშნავს, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაიყვანს და სამსახურიდან დაითხოვს მაზრის ჯანგანყოფილება სამკურნალო დაწესებულების გამგე-ექიმთან შეთანხმებით და მოქმედ შრომის კანონების და კოლექტიურ ხელშეკრულების მიხედვით.

შენიშვნა. საშუალო პერსონალის თანამდებობაზე დანიშნენასა, გადაყვანა-გადმოყვანასა და დათხოვნასთან დაკავშირებული უთანხმოება გადაეცემა მაზრის ჯანგანყოფილებას კავშირის სამსახრო განყოფილებასთან შეთანხმებით გადასაწყვეტად საერთო წესისამებრ.

2. საშუალო სამედიცინო პერსონალი უშუალოდ ემორჩილება სამკურნალო დაწესებულების გამგე-ექიმს, ასრულებს სამუშაოს მისი დავალებით, თანხმად შინა წესრიგისა.

3. საშუალო სამედიცინო პერსონალი, როგორც ექიმის თანაშემწე, მოვალეა მოუაროს ავადმყოფს, თვალყური ადევნოს საკვად მყოფთაში სისუფთავეს და წესრიგს, შეასრულოს ექიმის დავალებით და მისივე მეთვალყურეობით სამკურნალო და სხვა სამუშაო, თანხმად შინა წესრიგისა.

4. იმ შემთხვევაში, თუ ექიმი ადგილზე არ იქნება, საშუალო პერსონალის ერთ-ერთი პირი შეიძლება დატოვებულ იქნას ექიმის მოადგილედ.

5. ბინაზე დახმარებისათვის გაწეულ საშუალო სამედიცინო პერსონალს უნდა მიეცეს მისვლა-მოსვლის საშუალება.

6. უკეთეს საშუალო სამედიცინო პერსონალი განაგებს ისეთ პუნქტს, სადაც შტატით ან სხვა მიზეზით ექიმი არ არის, იგი აღმინისტრაციულ და სამეურნეო საკითხებში ეთანაბრება სამკურნალოს გამგე ექიმს, ხოლო თავის სამკურნალო მუშაობაში ხელმძღვანელობს ჯანსაჯომისარიატის და მის ორგანოების მიერ გამოცემული დებულებებით და ინსტრუქციებით.

7. წინა მუხლში აღნიშნული საშუალო პერსონალი, რომელსაც დაკისრებული აქვს პუნქტის გამგებლობა: ა) აწარმოებს საექიმო, სამეურნეო და საფინანსო ანგარიშგებას, წარადგენს, შემოღებულ წესით და ფორმით პერიოდულ და ვადიან ანგარიშებს, მოხსენებებს და სხვა ცნობებს, ბ) თვალყურს ადევნებს ეპიდემიურ სწეულებათა გაჩენას, დაუყოვნებლივ აცნობებს ამგვარი სენის გაჩენას მაზრის ჯანგანყოფილებას და იღებს მონაწილეობას მასთან ბრძოლაში.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარი **გრ. კუჭაიძე**.  
იუსტიციის სახალხო კომისარი **შ. მათიკაშვილი**.

შრომის სახალხო კომისარი **ს. თოდრაი**.

1928 წ. აგვისტოს 14. ქ. ტფილისი.

**გამომცემელი:**

**საბ. ს. ს. რ. იუსტიციის  
სახალხო კომისარიატი**

პასუხისმგებელი რედაქტორი: **შ. მათიკაშვილი**.  
სარედაქციო კოლეგია: **ა. კაჭარავა**, **პროფ. შ. ნუცუბიძე**, **ი. როინაშვილი**, **კ. მიქელაძე**, **ს. ჯაფარიძე**, **პ. ქავთარაძე**.

# 1928 წლის 1 იანვრიდან

კამოდის ს. ს. ს. რ. იუსტიციის სახალხო კომისარიატის  
ორკვირული ორგანო

## „საბჭოთა სამართალი“

**„საბჭოთა სამართალი“** ისახავს მიზნად გაუწიოს იდეური ხელმძღვანელობა იუსტიციის მუშაკებს და გააშუქოს სასამართლო-უფლებრივი საკითხები, როგორც თეორიული აგრეთვე პრაქტიკული ხასიათისა საბჭოთა კანონმდებლობის და ხელისუფლების პოლიტიკისძირითადი პრინციპების მიხედვით.

**„საბჭოთა სამართალი“** დიდ ყურადღებას აქცევს სასამართლო მუშაობის პრაქტიკულ მხარეს და დაეხმარება სასამართლოს დარგში ყველა მომუშავეთ სათანადო მასალის მიწოდებით, სადაო საკითხების განმარტებით, სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვით, კოდექსების სხვა და სხვა მუხლების ახსნა-განმარტებით და კომენტარიებით

**„საბჭოთა სამართალი“** დიდ ყურადღებას მიაქცევს აგრეთვე სასამართლო დაწესებულებებში ბიუროკრატიზმთან ბრძოლას და დაუნდობლად ამხელს იუსტიციის მუშაკთა უარყოფით მხარეებს.

ჟურნალში დათმობილი აქვს ადგილი **კენიტიანციარულ, სამილიციო და სისხლის სამართლის სამკაბრო მილიციის მუშაობას.**

გარდა თეორიული და პრაქტიკული ხასიათის წერილებისა ჟურნალში არის აგრეთვე  
**შემდეგი განყოფილებები:**

საბჭოთა კანონმდებლობის მიმოხილვა, სასამართლოს ცხოვრება, ტერიტორიული მასალა, პრონიკა, ბიბლიოგრაფია, იურიდიული დახმარება (კითხვა-პასუხი), ოფიციალური ნაწილი (დადგენილებები, განმარტებები, ინსტრუქციები, ცირკულარები), ფოსტა, განცხადებები და სხვ.

### ჟურნალში თანაშორელობაზე შედეგი ამხანაგები:

(ანბანზე)

ალხვი ა., ამალღობელი ს. ანდრონიკაშვილი ლ., ბაზოვი გ., გაბაშვილი დ., გალუხტიანი ა., დოლიძე თ., ვარდანანი ს., ვარძიელი ი., ვაჩიშვილი ა., იუზბაშვილი გ., კაჭარავა ა., კოსტავა ა., კუსიკოვი ა., ლუნკევიჩი ვ., მათიკაშვილი შ., მახარაძე ფ., მესხიშვილი შ., მიქელაძე კ., ნანეიშვილი გ., ნუცუბიძე შ. პავლიაშვილი ი., პლეტნიკოვი კ., როინაშვილი ი., რცხილაძე გ., სიჭინავა ი., სურგულაძე ი., ტალახაძე ი. ტატიშვილი ე., ქავთარაძე პ., ქორქაშვილი მ., შავერდოვი ა., შურღაია ლ., ჩხეიძე ს., ჯაფარიძე ს. და სხვ.

პასუხისმგებელი რედაქტორი: შ. მათიკაშვილი.

სარედაქციო კოლეგია: ა. კაჭარავა, ი. როინაშვილი, პროფ. შ. ნუცუბიძე, კ. მიქელაძე ს. ჯაფარიძე, პ. ქავთარაძე.

ხელის მოწერის ფასი: წლიურად—10 მან., 6 თვით—5 მ. 50 კაპ., 3 თვით—3მ.  
ფასი თითო ნომრისა—50 კაპ.

სამ თვეზე ნაკლები ხელისმომწერა არ მიიღება.

რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, ტრიბუნალის ქ., № 32, ტელეფონი № 10—51.